ლელო

№031
(12 408)

8 თებერვალი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხვალ, მიხეილ მესხზე: 16:00. რაგბი, საქართველო-რუმინეთი

# ანტიმოზის დასაცავად

## მეტოქე უკვე თბილისშია



11

## ახალი სახეები სიონში

ჩასემი, შესაძლოა, დასაჯონ 2




## ფაჩულიას ფლეი ოფში თამაშის შანსი აქვს 12



## ზვიადაური-ცირეკიძე პარიზში გაგრძელდება

ქართველ ძიუდოისტთა ნაკრები პარიზში გაფრინდა, სადაც შაბათ-კვირას მსოფლიოს სუპერთასზე იჭიდავებს 11

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

სამზადისი

# ბოლნისში ახლები გამოჩნდნენ

## წაიყვანენ თუ არა ჩასემს შეკრებაზე?



კახა ჩხეტიანი

"ამერთან" მარცხის მერე "სიონმა" მეორე წრისათვის მზადება ბოლნისში გააგრძელა. დღეს კი ქვემოქართლელები მოსამზადებელ შეკრებაზე ურეკში გაემგზავრებიან. წამსვლელთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

მეკარეები: **ბობლიაშვილი, გ. იაშვილი.**

მცველები: **ქურასბედიანი, ბოიომო, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, რაქვიაშვილი, ვაშაკიძე, ნაყოფია.**

ნახევარმცველები: **შავგულიძე, სანიკიძე, ბაჯელიძე, ბ. ნოზაძე, უგულავა, ზ. ჭელიძე, ავალიანი, კვიტაიშვილი, კ. ჩხეტიანი.**

თავდამსხმელები: **შ. ჯიქია, ქარდავა, მ. ოქროპირიძე, ჩასემი.**

როგორც ხედავთ, სიაშია კამერუნელი ფორვარდი **ერიკ რომეო ჩასემი**, თუმცა "სიონის" მენეჯერ **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, გაჰყვება თუ არა გუნდს ურეკში ჩასემი, ჯერ კიდევ გასარკვევია და საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს. საქმე ისაა, რომ ბოლოხანს ჩასემის საქმისადმი დამოკიდებულება "სიონის" მესვეურებს არ მოსწონთ. ამის გამო, შესაძლოა კამერუნელი ფეხბურთელი დასაჯონ კიდეც...

ბოლნისელთა სიაშია ნახევარმცველი **კახა ჩხეტიანიც**, რომელიც აქამდე არაერთი წელი "ზესტაფონში" ასპარეზობდა და ბოლოს გუნდის კაპიტანიც იყო. ჩვენი ინფორმაციით, ჩხეტიანს უცხოური ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ ბოლოს მისი ტრანსფერი არ შედგა და ფეხბურთელიც როგორც იტყვიან ჰაერში დარჩა.

ჭიპაშვილის თქმით, შესაძლოა გუნდს ურეკში კიდევ ორი ფეხბურთელი შეუერთდეს. ერთი, მცველი **ლაშა ჭელიძე** გახლავთ, რომელიც "სიონში" ადრეც თამაშობდა. ლაშა თურქეთში, ერთ-ერთ გუნდშია ტესტირებაზე და თუ უკან დაბრუნება მოუწია, მაშინ ბოლნისელთა გუნდში აპირებს კარიერის გაგრძელებას. მეორე მოთამაშე კი **გია მეგრელაძე** გახლავთ. ბოლო პერიოდში ის აზერბაიჯანში თამაშობდა, ახლა კი უკლუბოდაა.

ურეკში "სიონი" რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარებას გეგმავს. 9 თებერვალს ბოლნისელები რუსთავის "ოლიმპს" გაეჯიბრებიან. **ანატოლი პისკოვეცის** გუნდი შავიზღვისპირეთშია შეკრებაზე და აღმოსავლეთისკენ გამომგზავრებამდე დასკვნით ტესტ მატჩს სწორედ "სიონთან" გამართავს. ამის მერე ყიფშიძის გუნდი 12 თებერვალს გორის "დილას" ეთამაშება, 15-ში "ბათუმს", ხოლო 18 თებერვალს ზუგდიდის "მგლებთან" მოსინჯავს ძალებს.

გუშინ ბოლნისს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომისია სტუმრობდა. 7 ექსპერტისგან შემდგარმა კომისიამ, რომელსაც **ბაქარ ჟორდანია** ხელმძღვანელობდა ბოლნისში სტადიონი და მთლიანად ინფრასტრუქტურა შეამოწმა.

*"იყო შენიშვნები, რომელიც ყურად ვიღეთ და გავითვალისწინებთ კიდეც. თუმცა მოხარულები ვართ, რომ კომისია თლიანობაში კმაყოფილი დარჩა ნანახით. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ბოლნისში, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე შეიძლება საერთაშორისო მატჩების ჩატარება. ჩვენი სტადიონი ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაშია ჩასმული. შესაბამისად არენის კეთილმოწყობა კვლავ გაგრძელდება და უკეთესი სტადიონი გვექნება"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ჯემალ ჭიპაშვილმა.

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე კვახაძე

ვიტ ჯორჯია

## მარცხი მინსკელებთან

ქართული კლუბებიდან თურქეთში ყველაზე გვიან "ვიტ ჯორჯია" გაემგზავრა. ვეტერინარები ქემერში სამი დღის წინათ ჩავიდნენ, გუშინ კი პირველი საკონტროლო მატჩი გამართეს. მათი მეტოქე მინსკის "ლოკომოტივი" იყო. "ჯორჯია" 1:2 დამარცხდა, ერთადერთი, რაც ქართველებმა გაახერხეს, 87-ე წუთზე **ლაშა ჯაფარიძის** მიერ გატანილი პრესტიჟის გოლი იყო. აღსანიშნავია, რომ **ნესტორ მუმლაძის** გუნდს **ალექსანდრე კვახაძე** თამაშამდე ორი საათით ადრე შეუერთდა. შეგახსენებთ, "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი საქართველოს ეროვნულ გუნდში იყო გამოძახებული, ლატვიასთან მატჩს კვახაძემ 90 წუთის განმავლობაში სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი.

"ვიტ ჯორჯიამ" "ლოკომოტივთან" ამ შემადგენლობით ითამაშა:

**ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე (78. კასრაძე), ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (70. ინჯგია), გ. დათუნაიშვილი (75. ვასაძე), კლიმიაშვილი (75. ჯანელიძე), მელქაძე (66. კვალინიძე), ლუქაშვილი (57. ბერიაშვილი), სახოკია (70. ლიპარტია).**

11 თებერვალს "ვიტ ჯორჯია" ასევე ბელარუსულ "ბრესტთან" ითამაშებს.

ჩაშლილი ტრანსფერის შემდეგ

## მაკლიში ცქიტიშვილის გამო წუხს

ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტის გადაწყვეტილებამ **ლევან ცქიტიშვილისთვის** სამუშაო ვიზა არ მიეცათ, "ბირმინგემის" მწვრთნელი **ალექს მაკლიში** იმდანად გაანაწყენა, ჩაშლილი ტრანსფერი, მერე სულ ამაზე საუბრობს.

*"მართალი გითხრათ, ერთობ გამაოცა გადაწყვეტილებამ ლევან ცქიტიშვილზე სამუშაო ვიზის არგაცემასთან დაკავშირებით. მან ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარადგინა, მაგრამ უარით გაისტუმრეს. ვფიქრობ, ეს იმ ოფისში მომუშავეთა გულუბრყვილობით იყო განპირობებული. იმ ფეხბურთელს არ მისცეს ვიზა, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 53 მატჩი აქვს ჩატარებული, ამჟამად კარგ ფორმაშია და საკმაოდ გააძლიერებდა ჩვენს გუნდს. ჩვენ შეგვეძლო აპელაცია შეგვეტანა, მაგრამ ბოლოს ეს ნაბიჯი არ გადაგვიდგამს, რადგან სატრანსფერო ფანჯარა უკვე დახურული იყო. ჩვენ მაღალი კლასის ფეხბურთელები გვესაჭიროება და სწორედ ასეთია ლევან ცქიტიშვილი. სამწუხაროდ ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას ჩვენ ამ ფეხბურთელის დამატების საშუალება არ მოგვეცა"*, - აცხადებს ბირმინგემელთა მწვრთნელი.

**დავით ცაბაძე**



ლევან ცქიტიშვილი

## ცხადაძე მეტალურგს დაუზავდა

კახა ცხადაძის "სტანდარდი" მზადებას თურქეთში განაგრძობს. ქართველი მწვრთნელის შეგირდებმა მორიგი ამხანაგური მატჩი რუსეთის პირველი ლიგის წარმომადგენელ ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ კუზბასთან" გამართეს. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

## გოგობერიშვილი და მუჯირი სტამბოლში დატოვეს

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს აზერბაიჯანული "ბაქის" ერთბაშად 7 ფეხბურთელი გუნდმა სტამბოლში დატოვა. ეს მაშინ მოხდა, როცა "ბაქი" თურქული შეკრებიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. ამის შესახებ ცნობა აზერბაიჯანულმა წყაროებმა გაავრცელეს. სააგენტოები ყოველივე ამას გაუგებრობითა და ტექნიკური შეცდომით ხსნიან. სტამბოლში დატოვებულ შვიდეულში კი ორი ქართველი ლეგიონერია...

თურქეთში ყოფნა ცოტა ხნით კიდევ მოუწევთ შემდეგ ფეხბურთელებს ელნურ აბასოვი, ტარლან ხალილოვი, ასიფ აბასოვი, დეიან ბრანკოვიჩი, ალექსანდრე გოგობერიშვილი და ამირან მუჯირი არიან დარჩენილები.

## არველაძემ ლევანტეს უჩივლა

გასულ ზაფხულს ესპანურ "ლევანტეში" გადასული **შოთა არველაძე** კლუბს უჩივის. ცნობა გუშინ გაავრცელეს. როგორც ირკვევა, კლუბი არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და ფეხბურთელს ხელფასს არ უხდის.

"ესპანური "ლევანტეს" ქართველმა ლეგიონერმა თავის კლუბს უჩივლა. არველაძემ სასამართლოში უკვე შეიტანა სარჩელი. ქართველი თავდამსხმელი კლუბს ვალდებულებათა შეუსრულებლობასა და ხელფასის გადაუხდელობაში ადანაშაულებს. შოთამ მუხლზე ორი ოპერაცია გადაიტანა და ახლახან შეუდგა ვარჯიშს. "ლევანტეს" რამდენიმე ფეხბურთელი აპირებს არველაძეს მიბაძოს და უჩივლოს კლუბს ხელფასის გადაუხდელობის გამო", - აი, ასეთი გახლდათ გუშინ გავრცელებული ინფორმაცია.

**დავით ცაბაძე**




შოთა არველაძე

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე ფედერაციის პრეზიდენტს მურად ანჯაფარიძეს ძმის,

**ანზორ ანჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მურად ანჯაფარიძეს ძმის,

**ანზორ ანჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო.

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გასხენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მეტოქეები

# ასე არავინ შერცხვენილა...



იტალია-პორტუგალია

გუშინწინდელი სანაკრებო დღე ჩვენი ჯგუფის თითქმის ყველა ბინადარმა გამოიყენა. მათ საკონტროლო მატჩები განსხვავებული წარმატებით ჩაატარეს, მაგრამ ჩვენნაირად უსახურად არავის უთამაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმა, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს.

**იტალია-პორტუგალია 3:1**

1:0 ტონი (45), 2:0 პირლო (51), 2:1 კუარეშმა (77), 3:1 კვალიარელა (80)

იტალია: ამელია, ბარძალი (53. გამბერინი), კანავარო, ოდო (81. კასეტი), ძამბროტა (29. გროსო), ამბროზინი, დე როსი (53. პეროტა), პირლო, დი ნატალე, პალადინო (79. კვალიარელა), ტონი (71. ბორიელო).

პორტუგალია: რიკარდო, ბრუნო ალვეში, მარკო კანეირა, რიკარდო კარვალიო, ბოსინგვა (69. ჟორჟე რიბეირო), დეკუ (46. ნანი), პეტიტი (46. ფერნანდო მეირა), მანიშე, მაკუკულა (57. უგო ალმეიდა), კუარეშმა, კრისტიანო რონალდო.

მაყურებელი: 30 500

ეს შეხვედრა შვეიცარიაში გაიმართა. იტალიელთა თავკაცმა **რობერტო დონადონიმ** ნაკრებში ახლახან დაწინაურებულ ახალგაზრდებს ისევ მისცა თავის გამოჩენის შანსი და მათაც მწვრთნელს იმედები არ გაუცრუეს. განსაკუთრებით ბოლო გოლის ავტორი **რიკარდო კვალიარელა** გამოირჩეოდა, თავი არც **ანტონიო დი ნატალესა** და **რაფაელე პალადინოს** შეურცხვენიათ. შესაძლოა, საევროპისჩემპიონატო განაცხადში ყველა მათგანი ვერ მოხვდეს, სამაგიეროდ, მომავალ შესარჩევ ტურნირში მათ ალბათ, უფრო ხშირად მიეცემათ მოედანზე გასვლის საშუალება.

მატჩი საკმაოდ საინტერესო საცქერი გამოდგა. პირველი ტაიმი გარდამავალ ბრძოლაში წარიმართა, ზედ შესვენების წინ **ლუკა ტონიმ** გაიბრწყინა და "სკუადრა აძურა" წინ გაიყვანა. შეხვედრის მეორე ტაიმში აპენინელთა უპირატესობა გამოიკვეთა. მართალია, ცდა არც პორტუგალიელებს დაუკლიათ, მაგრამ დონადონის გუნდის დომინირება წუთითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. იტალიელთაგან საუკეთესო ალბათ, **ანდრეა პირლო** იყო, გუნდის ნახევარდაცვის ლიდერი ამჯერადაც ძალიან სასარგებლო გახლდათ.

ნამატჩევს დონადონიმ შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც კმაყოფილება გამოთქვა და დაბეჯითებით განაცხადა, რომ მის გუნდს ევროპის ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს. პორტუგალიასთან იტალიელთა მთავარი დანაკლისი ტრავმირებული **ჯანლუიჯი ბუფონი** იყო. თუმცა მისმა დუბლიორმა **მარკო ამელიამ** ბოძებული შანსი შესანიშნავად გამოიყენა და შეხვედრა უშეცდომოდ ჩაატარა.

**ჩრ. ირლანდია-ბულგარეთი 0:1**

0:1 მ. პეტროვი (38)

ჩრ. ირლანდია: ტეილორი (83. მანუსი), ევანსი (46. კრეიგანი), ა. ჰიუზი, მაკოლეი, მაკარტნი (46. ბერდი), ბრანტი, კლინგენი, გილესპი (78. ტომპსონი), ჯონსონი (46. ს. დევისი), ჰილი, ლაფერტი (60. პატერსონი).

ბულგარეთი: გ. პეტკოვი (46. ივანკოვი), ანგელოვი, მილანოვი, ტომაშიჩი, ტუნჩევი (66. კარასლავოვი), ვენკოვი (73. ზანევი), გეორგიევი, იანჩევი (46. დიმიტროვი), ბერბატოვი (82. დომოვჩიისკი), ლაზაროვი (66. პოპოვი), მ. პეტროვი.

მაყურებელი: 13 000

ბულგარელებმა მომავალი მეტოქე ირლანდიის ჩრდილოელ მეზობლებთან მოსინჯეს ძალები. მატჩი არცთუ სანახაობრივი გამოდგა. ვერ ვიტყვით, რომ **პლამენ მარკოვის** შეგირდებმა ბრიტანელები გვარიანად დაჯაბნეს, მაგრამ რიგ ეპიზოდებში მათი უფრო მაღალი კლასი ნათლად იგრძნობოდა. **მარტინ პეტროვის** გოლის შემდეგ ჩრდილოირლანდიის ნაკრებს თამაშის გადასარჩენად ორიოდე ნახევრად მომენტი შეექმნა, მაგრამ ბულგარული დაცვა და მეკარე უშეცდომოდ ირჯებოდნენ. თამაშის შემდეგ მარკოვმა იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო შეხვედრებს მისი გუნდი კიდევ უფრო მაღალ დონეზე ჩაატარებს, უფრო მეტად შევთამაშდებით, სხვადასხვა კომპონენტს დავხვეწთ და გუნდი უფრო გამართულ ფეხბურთს ითამაშებსო.

**ირლანდია-ბრაზილია 0:1**

0:1 რობინიო (67)

ირლანდია: გივენი, დანი, კელი, ო'ში, კარსლი, დაფი, კილბეინი, მაკგიდი, მილერი (46. პოტერი), დოილი (72. ჰანტი), კინი.

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, ალექსი, ანდერსონ ლუიზაო, ჟილბერტო სილვა, ჟულიო ბაპტიშტა, ჟოსუე (83. ლუკაში), დიეგო (78. ანდერსონი), რიჩარლისონი, რობინიო, ლუიშ ფაბიანო (84. რაფაელ სობისი), ლეონარდო და სილვა.

მაყურებელი: 38 000

ბრაზილიასთან მარცხი ირლანდიის კალიბრის გუნდისთვის დიდი ტრაგედია არაა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პენტაკამპეონებმა დუბლინში ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს. იმ კონტინგენტიდან, რომელიც **კარლოს დუნგამ** ირლანდიას დაუპირისპირა, ოპტიმალურ თერთმეტეულში თამაშის პრეტენზია მხოლოდ **რობინიოს, ჟილბერტო სილვას, ალექსს, ჟულიო სეზარსა** და **ჟულიო ბაპტიშტას** თუ შეიძლება ჰქონდეთ. სამაგიეროდ, ირლანდიის ეროვნული გუნდი მოედანზე, ფაქტობრივად, საუკეთესო კადრებით გავიდა. სამხრეთამერიკელებს დიდი უპირატესობა ნამდვილად არ ჰქონიათ, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით მასპინძლები აშკარად დაჯაბნეს. ყველაფერი კი ბრწყინვალე ფორმაში მყოფი რობინიოს ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა.

**კვიპროსი-უკრაინა 1:1**

1:0 ეფსტატიოსი (20-პენ), 1:1 მილევსკი (71)

კვიპროსი: გიორგალიდი, საციასი (67. ხრისტაკისი), ხარალამბუსი, ოკარიდესი (46. ლამბრუ), პარასკევასი, ხრისტოსმუსი (46. გარპოცისი), ხარალამბიდესი, მარკიდისი (60. გეორგიოსი), მარიოსი, იასუმისი (60. გეორგეადისი), ეფსტატიოსი (80. ალეკუსი).

უკრაინა: შოვკოვსკი, კუჩერი, ტიმოშჩუკი, რუსოლი, როტანი (46. მილევსკი), გუსევი (60. გაი), ვორობეი (46. გლადკი), შევჩუკი (75. ფედოროვი), დოპილკა (75. ეზერსკი), მიხალიკი (89. მანძიუკი), ნაზარენკო.

კვიპროსელები უკრაინელებს ღირსეულად შეებრძოლნენ და რომ მოეგოთ, ეს შედეგი დაუმსახურებელი ნამდვილად არ იქნებოდა. კუნძულელები სულაც არ აპირებენ შესარჩევი ქვეჯგუფის აუტსაიდერობას, ნათელია, რომ საქართველოს ნაკრებს კვიპროსთანაც ძალიან გაუჭირდება, განსაკუთრებით გასვლით დაპირისპირებაში. თამაშის მიმოხილვიდან ჩანს, რომ მასპინძლებმა არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, თორემ სლავებს შინ დამარცხებულებს გაუშვებდნენ. თამაშის შემდეგ კუნძულელთა მწვრთნელი განბილებული იყო თამაშის მოგება რომ ვერ შეძლო, შანსი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ირლანდია-ბრაზილია

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

იუბილე

# მეკარის ტრაგიკული შარავანდედი

## დღეს გამორჩენილ მეკარეს ვლადიმერ მარღანიას 80 წელი შეუსრულდებოდა

**მოკლე სტატისტიკური მონაცემები:**

ვლადიმერ მარღანია 8.02.1928 - 6.9.1958. მეკარე. 175 სმ. 68 კგ. სპორტის დამსახურებული ოსტატი (1952). თამაში დაიწყო სოხუმში 1944 წ. საფეხბურთო სკოლაში. თამაშობდა სოხუმის "დინამოში" (1945), სტალინოს "სტახანოვეცში" (1946), თბილისის "დინამოში" (1947-57). სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 180 მატჩი. დაჯილდოებულია ვერცხლის მედლებით 1951, 1953 (სსრკ ჩემპიონატები) და 1956 (სსრკ ხალხთა სპარტაკიადა), "33"-თა შორის (1950), სსრკ ნაკრების ნევრი (1952). დაიღუპა ავტოკატასტროფაში. სოხუმში მრავალი წლის მანძილზე ტარდებოდა ვ.მარღანიას სახელობის ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი.



ვლადიმერ მარღანიას გამორჩეული ადგილი უკავია ქართველ მეკარეთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედში. გულშემატკივართა მეხსიერებაში იგი დარჩა, როგორც უნიჭიერესი, იშვიათი სპორტული მონაცემების ფეხბურთელი, რომლის დაუვიწყარი სათამაშო ოსტატობისა და ხელოვნების მთავარ კოზირს მისი, მართლაც რომ უნიკალური რეაქცია, სისხარტე შეადგენდა.

ოჩამჩირელი ჭაბუკი — 19 წლის **ვლადიმერ მარღანია** თბილისის "დინამოში" 1947 წელს მიიწვიეს, მაგრამ იმ წელს "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში მას არ უთამაშია, სამაგიეროდ, ხშირად ვხედავთ სათადარიგოში, სადაც, წარმოიდგინეთ, რამდენჯერმე მარჯვენა გარემარბად(!) ითამაშა. იმ წელს "დინამოს" ძირითადმა მეკარემ, ოცდათოთხმეტი წლის **სერგო შუდრამ** შესანიშნავად ჩაატარა სეზონი (გუნდმა ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა), მაგრამ ცხადი იყო, რომ დღეს თუ ხვალ მას ახალგაზრდა შემცვლელი დასჭირდებოდა. მართლაც, 1948 წლიდან მარღანიამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც გუნდის ძირითადმა მეკარემ – მან ოცდაექვსიდან ოცდაორი შეხვედრა ჩაატარა. უნდა ითქვას, რომ მარღანიას ოსტატობის სრულყოფაში მნიშვნელოვანი როლი მისმა უფროსმა კოლეგამ სერგო შუდრამ შეასრულა. მაყურებელმა უმალვე შეიყვარა ეს არაჩვეულებრივად ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლის თამაშს, როგორც ითქვა, იშვიათი სისხარტე, საოცარი რეაქცია შეადგენდა. მან ეს თვისებები კიდევ უფრო დახვეწა მომდევნო წლებში.

მარღანიას სპორტული კარიერის "ოქროს ხანა" 1949-1953 წლების სეზონებია, რისი დამადასტურებელიც იყო მისი მიწვევა სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში. 1952 წელს იგი მსოფლიო ოლიმპიადაზეც (ფინეთში) წაიყვანეს, თუმცა თამაშებში მონაწილეობა არ მოუწია, რადგან შესანიშნავ ფორმაში იყო ძირითადი მეკარე **ლეონიდ ივანოვი**.

1951 წლის სექტემბერში "დინამომ" საგასტროლო მატჩები გამართა პოლონეთში და პირდაპირ მუსრი გაავლო იქაურ უძლიერეს გუნდებს (რა დრო იყო!). 4 თამაშში გაიტანა 10 ბურთი და გაუშვა ერთი! კარს ვ. მარღანია იცავდა. ვფიქრობ, კომენტარები ზედმეტია!

მარღანიას საფეხბურთო კარიერის მეორე ნახევარი – 1954-1958 წლებში, სამწუხაროდ, დაემთხვა ჩვენი გუნდის ხანგრძლივი, ღრმა კრიზისის პერიოდს. ერთადერთი ნათელი მომენტი იყო მეორე, ძალიან საპატიო ადგილის მოპოვება სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადაზე 1956 წელს. მაშინ ვოვაც, თანაგუნდელებთან ერთად, ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

ახლა კი მინდა შევჩერდე რამდენიმე დაუვიწყარ ეპიზოდზე, რომელთა გმირი მარღანია გახლდათ. მას ისეთი სისხარტე ახასიათებდა, რომ ზოგჯერ ბურთზე ადრე აღმოჩნდებოდა ხოლმე "დანიშნულების ადგილზე"!

1951 წლის 27 მაისს მოსკოვის "სპარტაკთან" 3:1 მოგებულ შეხვედრაში ასეთ ეპიზოდს ვიგონებ — მოსკოველთა ცნობილმა ფორვარდმა **ნიკოლაი დემენტიევმა** უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარის მარცხენა ზემო კუთხეში — "ცხრიანში", მაგრამ ცაციაშემართული მეკარე იქ ბურთზე ადრე აღმოჩნდა და იძულებული გახდა, მიწაზე დაშვებისას ბურთი მარჯვენა ხელით მოეგერიებინა. ამის მსგავსი არაფერი მინახავს არც მოედანზე და არც ტელეეკრანზე.

მეორე შემთხვევა იმავე "სპარტაკთან" შეხვედრა. 1950 წლის 31 ივლისს, მძიმე ბრძოლაში, თბილისელები ამარცხებენ ძლიერ მოწინააღმდეგეს – 1:0. მოსკოველები შეუპოვრად იბრძვიან ანგარიშის გასათანაბრებლად. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთიღა რჩება. ამ დროს მოსკოველთა შუამარბი **ვიქტორ ტერენტიევი** უსხლტება მცველებს და პირისპირ გადის მარღანიასთან. მანძილი მათ შორის დაახლოებით სამი-ოთხი მეტრია. ფორვარდი ძლიერად ურტყამს მარჯვენა კუთხეში... ახლაც თვალწინ მიდგას ვოვას ელვისებურად გაწვდილი ხელი და კუთხურზე გადავარდნილი ბურთი. თამაშის დამთავრების შემდეგ მოედნის ცენტრში თბილისელთა კაპიტანი, ლეგენდარული **ბორის პაიჭაძე** ეხვევა მეკარეს, რომელმაც გუნდისთვის ესოდენ საჭირო ქულა გადაარჩინა...

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მარღანიას კიდევ ერთი გამორჩეული თვისება. იგი უბადლო იყო და, ვფიქრობ, ახლაც შეუდარებელი რჩება კუთხურებიდან ჩაწოდებული ბურთების "მოხსნაში". ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მე ახლაც თვალწინ მიდგას ვოვას მიერ იუველირის სიზუსტით "მოხსნილი" (და არა უბრალოდ მოგერიებული) ბურთები.

საზოგადოდ, თუ თბილისის "დინამოს" მეკარეებს შორის ვინმეს შეეფერება გამოთქმა "კატისებური ნახტომი" — ეს, პირველ რიგში, ვლადიმერ მარღანიაა.

ვლადიმერ მარღანიას ტრაგიკული დაღუპვა 1958 წლის 6 სექტემბერს (იგი მხოლოდ ოცდაათი წლის იყო), მწარედ განიცადა მთელმა საფეხბურთო საზოგადოებამ. მისი სახელი სამუდამოდ დარჩა ქართული ფეხბურთის მატიანეში.

**გულბათ ტორაძე**

გულშემატკივარი

# ალო, სტადიონზე არ გვიშვებენ!

6 თებერვალს, საქართველო-ლატვიის საფეხბურთო მატჩი ახალი დაწყებული იყო "ლელოს" მთავარი რედაქტორის მობილურმა რომ დარეკა. აღშფოთებული ახალგაზრდა კი არ ლაპარაკობდა, პირდაპირ ყვიროდა: *"ვუყურებთ სტადიონზე ტრიბუნები ცარიელია, ბილეთებს კი არ ყიდიან, გვეუბნებიან, გათავდაო, აგერ მეგობრებთან ერთად ვართ და არ გვიშვებენ. დაწერეთ, ძალიან გთხოვთ"*...

*"კარგით, გავარკვევთ, ხუთ წუთში დაგვიკავშირდით"*, - იყო პასუხი ჩვენგან.

ხუთი წუთი გასულიც არ იყო, რომ ისევ ის ახალგაზრდა შეგვეხმიანა: *"უკაცრავად, ჩვენ აღშფოთებას ყური მოკრეს და ბილეთებს გვაძლევენ, დიდი მადლობა"*.

არა, ეს ჩვენი დამსახურება, ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ იყო, ჯერ ხმაც არ გვქონდა მიწვდენილი სტადიონის დირექციასთან. სხვა საქმეა, გაზეთის ხსენებამ თუ გაჭრა. და მაინც, რა ხდება?

ირაკლი მეძმარიაშვილი - ეროვნული სტადიონის გენერალური დირექტორი: *"ჩვენ არანაირი შეხება არ გვაქვს მაყურებელთან. სტადიონს ქირაობს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია. მათ მოჰყავთ მოლარეები, მათია ბილეთებიც, დაცვაც, ისინი არეგულირებენ ყველა პროცესს, ასე რომ..."*

რეზო შენგელია - საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც ევალება ზემოხსენებული პროცესების მართვა სტადიონზე: *"ჩვენი მაყურებლის ხასიათი ხომ იცით, ბევრი აგვიანებს მატჩზე. იმ დღესაც, თამაში დაიწყო თუ არა, პირადად ჩამოვიარე სალაროები და მოლარეები გავაფრთხილე, რომ სალაროს ნუ დაკეტავდნენ, კიდევ რამდენიმე წუთი ემუშავათ, ვიდრე სალაროსთან ხალხი იდგა. ასე რიგრიგობით იკეტებოდა სალაროები. თუ ვინმემ 10-15 წუთი და მეტი დააგვიანა და მიადგა სალაროს, ცხადია, შეიძლება დახვდა დაკეტილი, მაგრამ სხვა სალარო იქნებოდა ღია, ჯერ კიდევ ცოტა ხნით. საერთოდ, ხომ არ შეიძლება ბილეთები იყიდებოდეს მატჩის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. ყველაფერს თავისი წესი აქვს. არც იმას დაგიმალავთ, რომ ადრე მაყურებელთა ერთი ჯგუფი მიჩვეული იყო შეღავათს, - დაელოდებოდნენ მატჩის დაწყებას, მერე გაიღებოდა სტადიონზე შესასვლელი კარი და გულშემატკივრებს უფასოდ უშვებდნენ ტრიბუნებზე. ასე აღარ იქნება. აი, ესეც იწვევს გაუგებრობებს. ყველა უნდა მიეჩვიოს წესრიგს. ამიერიდან იძულებული გავხდებით გამოვაცხადოთ, რომ სტადიონის სალაროებში ბილეთების გაყიდვა შეწყდება მატჩამდე ერთი საათით ადრე. იმედია, ჩვენი ფეხბურთის ქომაგები კარგად გაგვიგებენ და წესრიგს ერთობლივად დავამყარებთ. სანერვიულოდ საქმე ნამდვილად არ უნდა გავიხადოთ"*.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა ხანგრძლივი გადავადებით
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ამხანაგური მატჩი

# კაპელო გამარჯვებით იწყებს

## პირველ ტაიმში უემბლიზე სტვენა და ბექჰემის სახელის სკანდირება ისმოდა...



ფაბიო კაპელოს წარმატებული დებიუტი ჰქონდა

**ინგლისი–შვეიცარია 2:1**

**ინგლისი:** ჯეიმსი, ბრაუნი, ე. კოული (73. ბრიჯი), ფერდინანდი, აპსონი, ბერი (73. პარგრივზი), ბენტლი, ჯ. კოული (57. კრაუჩი), ჯერარდი, ჯენასი (57. რაიტ-ფილიპსი), რუნი (87. იანგი).

**შვეიცარია:** ბენალიო, ეგიმანი, ლიხტშტაინერი (46. ბეჰრამი), სენდეროსი (55. გრიხტინგი), შპიხერი, ბარნეტა, ჟელსონი (84. ჰუგელი), ჟიგაქსი (46. ფონლანტენი), ინლერი, ჰ. იაკინი (63. მარგაირასი), ნკუფო (46. დერდიოკი).

**გოლები:** 1:0 ჯენასი (40), 1:1 დერდიოკი (58), 2:1 რაიტ-ფილიპსი (62)

**მაყურებელი:** 86 857

**შონ რაიტ-ფილიპსის** გოლმა შვეიცარიასთან მატჩის ბედი ინგლისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. **ფაბიო კაპელომ** ინგლისური კარიერა გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ ეს არ იყო დამაჯერებელი გამარჯვება. იტალიელ მწვრთნელს "უემბლის" გულის მოსაგებად კიდევ ბევრი შრომა მოუწევს. პირველი ტაიმის ცალკეულ ეპიზოდებში თავისიანებით თამაშით უკმაყოფილო გულშემატკივარი უსტვენდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ, ყველა კმაყოფილი დარჩა. დასაწყისისთვის გამარჯვება, თუნდაც ნაკლებად შთამბეჭდავი თამაშით, უკვე კარგია.

კაპელომ აღიარა, რომ მისი შეგირდები უჩვეულოდ ნერვიულობდნენ. მათ ძალიან სურდათ, ხორვატიასთან ფიასკოთი დასრებული მატჩის შემდეგ ფანების თვალში რეაბილიტაციის მოხდენა. უემბლი ტრადიციულად პირთამდე შეივსო. მაყურებელი თავისი გუნდისგან გამარჯვებას ელოდა. ფეხბურთელები დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ. ნერვიულობაც ამის შედეგი იყო.

კაპელო: *"როგორც ჩანს, ფეხბურთელებს უჭირთ იმის დავიწყება, რომ ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ. ნერვიულობდნენ, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს. ის, რომ ორ გოლზე მეტი ვერ გავიტანეთ, შვეიცარიელთა მეკარის დამსახურებაა. მან ჩინებულად ითამაშა. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ მეტოქეს ჩვენი მეკარე ძალიან არ შეუწუხებია."*

ანგარიში **ჯერმეინ ჯენასმა** შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე გახსნა. ეს ტოტენჰემელი ნახევარმცველის პირველი სანაკრებო გოლი იყო. კაპელომ ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა, დაცვასა და ნახევარდაცვაში პირველი ვიოლინოები გამოცდილი **რიო ფერდინანდი** და **სტივ ჯერარდი** იყვნენ. მათ მინდორზე 90 წუთი გაატარეს. შესაძლოა, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" მწვრთნელებმა უკმაყოფილება გამოთქვან იმის გამო, რომ მათ ლიდერებს დასვენების საშუალება არ მისცეს, მაგრამ კაპელოს კლუბებისთვის ანგარიშის გაწევა საერთოდ არ უფიქრია. მან გუნდი 4-1-4-1 სქემით ათამაშა. ნახევარდაცვაში **დევიდ ბექჰემის** ადგილზე ბლექბერნელმა **დევიდ ბენტლიმ** ითამაშა.

ნამატჩევს მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მის განკარგულებაში საკმაო რაოდენობით არიან მაღალი კლასის ფეხბურთელები. ეს გარემოება მწვრთნელს საშუალებას მისცემს, დრო და დრო შემადგენლობა შეცვალოს. სტივ ჯერარდმა თქვა, მწვრთნელს სურდა, მოგვეგო, მისი მითითება შევასრულეთ, მაგრამ საუკეთესო თამაშის ჩასატარებლად დიდი გზის გავლა მოგვიწევსო. *"დრო საკმარისად გვაქვს. მსოფლიო ჩემპიონატამდე ორწელიწადნახევარია. დარწმუნებული ვარ, იმ დროისთვის ბევრად უკეთესი გუნდი გვეყოლება,"* - დასძინა ლივერპულელმა კაპიტანმა, რომელიც გუშინწინ ინგლისის ნაკრების კაპიტანიც იყო.

ინგლისელთა პირველი გოლისას სამუშაოს თითქმის 90 პროცენტი **ჯო კოულმა** შეასრულა. მან მარცხენა ფლანგზე გაიბრწყინა, მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, მეტოქის მცველი ფინტებით გააბრუა და უმეთვალყურეოდ დატოვებულ ჯენასს გაუგორა ბურთი. ამ უკანასკნელს ბურთისთვის ფეხის მირტყმაღა დარჩენოდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, რომ კაპელომ გოლის ავტორები, ჯენასი და კოული შეცვალა. თამაშში **პიტერ კრაუჩი** და შონ რაიტ-ფილიპსი ჩაერთნენ. ისინი გახურებულებიც კი არ იყვნენ, როცა შვეიცარიელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ეს 58-ე წუთზე მოხდა. გოლი დებიუტანტმა **ერენ დერდიოკმა** გაიტანა. ის თავადაც შეცვლაზე შემოსული იყო.

გაშვებული გოლის მიუხედავად, ინგლისელები არ დაიბნენ და მეორედ აიღეს მეტოქის კარი. შეტევა კრაუჩმა ცენტრიდან წამოიწყო. მან მეტოქეს საჰაერო დუელში სძლია და ბურთი **უეინ რუნის** გადაუგდო. რუნიმ ჯერარდი მოძებნა. ჯერარდმა მეტოქის საჯარიმოში რაიტ-ფილიპსს ჩაუკიდა. ჩელსელმა ნაევარმცველმაც ძალიან ადვილი გოლი შეაგდო.

**მაიკლ ოუენმა** მთელი თამაში თადარიგში გაატარა. თავდაპირველად, კაპელო ნიუკასლელი თავდამსხმელის ძირითადში დაყენებას აპირებდა. მატჩის წინა სალამოს მან ფეხბურთელი სკამზე გადასვა. მატჩის დროს კი მისთვის ერთი წუთიც ვერ გაიმეტა. კაპელოს, რომელსაც წინა პრესკონფერენციაზე განუწყვეტლივ დევიდ ბექჰემზე ეკითხებოდნენ, ახლა ოუენის გამო მოუხდა თავის მართლება. მკითხველს შევახსენებთ, რომ სტატისტიკის თანახმად, ოუენი ინგლისის ნაკრების ყველაზე მრისხანე თავდამსხმელია. მას 88 მატჩში 40 გოლი აქვს გატანილი. ეს მოქმედ ფეხბურთელებს შორის საუკეთესო მაჩვენებელია. ინგლისის ნაკრების ისტორიაში კი მეოთხე ადგილი უჭირავს.

კაპელო: *"ჩემი აზრით, იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრებში ითამაშო, დიდი ფეხბურთელი უნდა იყო და მერე სათამაშო პრაქტიკა უნდა გაგაჩნდეს. შესაძლოა, რეგულარულად თამაშობდე, მაგრამ ნაკრებისთვის საჭირო კლასი არ გქონდეს და პირიქით: მაღალი კლასის მოთამაშე იყო, მაგრამ ფორმაში არ იყო."* კითხვაზე, რატომ არ გამოიყვანა ოუენი, მწვრთნელმა მიუგო: *"ცვლილებებს თამაში გკარნახობს. გადაწყვეტილებას იმის მიხედვით ვიღებ, თუ რა ხდება მინდორზე. თუ ფეხბურთელი ჩემს დავალებას ზედმიწევნით სწორად ასრულებს, ის თამაშში რჩება. თუ ვერა – მაშინ იცვლება და მინდორზე შედის ის, ვისაც მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია."*

დონ ფაბიოს ჰკითხეს, თუ გაიგონეთ, ტრიბუნები ბექჰემის სახელს რომ სკანდირებდაო, მწვრთნელმა უპასუხა: *"ასეთი შეძახილებით გავლენის ქვეშ არასოდეს ვექცევი. მიხარია, რომ გულშემატკივარს დევიდი უყვარს. გადაწყვეტილებები, რომელთაც მე ვიღებ, ლოგიკური განსჯის შედეგია და არა პიროვნული მოტივით ნაკარნახევი."*



მირკო ვუჩინიჩს სარფიანი შეთავაზებები არ აკლია

რომა. ტრანსფერები

# ვუჩინიჩი კონტრაქტს ელოდება

## ჯილარდინო რომისთვის ემზადება, მანსინი ნამდვილად რჩება...

იტალიური სააგენტოების ცნობით, თუ "რომა" უმოკლეს დროში არ გაუფორმებს კონტრაქტს **მირკო ვუჩინიჩს**, თავდამსხმელი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავა. ჩერნოგორიელი თავდამსხმელის სატრანსფერო უფლებების ნახევარი "ლეჩეს" ეკუთვნის. "ჯალოროსის" ამ 50 პროცენტის გამოსყიდვა სურს, მაგრამ მოლაპარაკებების დაწყებას აჭიანურებს. "მუნიუ" კი ამასობაში, მოვლენებს გაფაციცებით აკვირდება და მზადაა, პირველივე ხელსაყრელი შემთხვევისას, "ლეჩეს" სარფიანი პირობები შესთავაზოს.

რომაელ თავდამსხმელებზე კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. "კორიერე დელო სპორტი" გვაუწყებს, რომ ზაფხულის ტრანსფერებისას მილანელი **ალბერტო ჯილარდინო** დედაქალაქში გადავა. გასულ უქმეებზე რომაელთა მარცხმა სიენაში (0:3) "ჯალოროსის" ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ აუცილებელია კვალიფიციური თავდამსხმელის შეძენა. ჯილარდინოს "ფიორენტინაც" ეპატიჟება. "რომა" აიაქსელ **კლაას იან ჰუნტელაარზეც** ფიქრობს. ამ უკანასკნელის შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსაც" უნდა.

და კიდევ, **ამანტინო მანსინიმ** თქვა, რომ "რომას" ახალ კონტრაქტზე, ფაქტობრივად, მოურიგდა. დასაზუსტებელია რამდენიმე დეტალი, რომლის შემდეგ დოკუმენტი იურიდიულად გაფორმდება. კონტრაქტის ფინანსური დეტალები და ხანგრძლივობა არ ხმაურდება, თუმცა მანსინის ნამდვილად არ გადაუხდიან იმდენს, რამდენსაც **ფრანჩესკო ტოტი** და **დანიელე დე როსი** იღებენ. "ჯალოროსიში" სახელფასო ლიმიტია დაწესებული. ფეხბურთელებს წელიწადში მაქსიმუმ 2.7 მილიონ ევროს უხდიან. ტოტი და დე როსი, როგორც კლუბის სიმბოლოები, ორჯერ მეტს იხვეჭენ.

### პალადინო ჟილბერტოს ნაცვლად

"იუვენტუსი" "არსენალთან" გარიგებას აპირებს. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. ტურინელებს ნახევარდაცვის გაძლიერება უნდათ. მათ ლონდონელთა ბრაზილიელ ლეგიონერს **ჟილბერტო სილვას** დაადგეს თვალი. სილვა 31 წლისაა. ის "მეთოფეების" სკამზე ზის. ძირითადში მის ადგილზე **სესკ ფაბრეგასი** და **მატიო ფლამინი** თამაშობენ. ჟილბერტო არ მალავს, რომ სეზონის დასრულებისთანავე ახალ კლუბში აპირებს გადაბარგებას. ეს ახალი კლუბი შეიძლება "იუვენტუსი" აღმოჩნდეს. "არსენალს" ტურინელთა თავდამსხმელის **რაფაელე პალადინოს** შეძენა სურს. პალადინო "ქალბატონის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამიტომ "იუვე" მზადაა, ის ტრანსფერზე დააყენოს. ტურინელები ლონდონელებს პალადინოს ჟილბერტოში გაცვლას შესთავაზებენო, წერს "გაძეტა დელო სპორტი".

### ცსკამ სპონსორი შეინარჩუნა

მოსკოვის ცსკამ ბანკ ვე-ტე-ბესთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. უმსხვილესი რუსული ბანკი წლევანდელ სეზონშიც არმიელთა გენერალური სპონსორი იქნება. მოსკოველები მისგან 5.7მილიონ ევროს მიიღებენ. თავდაპირველად დაგეგმილი იყო სამწლიანი ხელშეკრულების გაფორმება. სანაცვლოდ საფეხბურთო კლუბის ანგარიშზე 13 მილიონი ევრო უნდა ჩარიცხულიყო, მაგრამ შარშან ცსკაში გამეფებულმა კრიზისმა ვე-ტე-ბეს ხანგრძლივი თანამშრომლობა გადააფიქრებინა. ბანკირები ვითარებას დააკვირდებიან. თუ ცსკა შთამბეჭდავად ათამაშდება, წელიწადის ბოლოს კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდება.

### ნზოგბიას ლონდონში უხმეს

"ნიუკასლის" მარცხენა ნახევარმცველ **შარლ ნზოგბიას** "არსენალმა" და "ტოტენჰემმა" დაადგეს თვალი. ნზოგბია 21 წლისაა. იგი საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს. გასულ ზაფხულს შარლმა ჯორდებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "ნიუკასლი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს. "ტოტენჰემს" ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგის გასაძლიერებლად მიდლსბროელი **სტიუარტ დაუნინგის** შეძენა სურდა, მაგრამ ის გაცილებით ძვირად დაუფასეს.

### მილანი მეკარეს ესპანეთში ეძებს

"მილანი" მეკარეს ეძებს. "როსონერიმ" "ვილიარეალის" კარის დარაჯ **დიეგო ლოპესს** დაადგა თვალი. ლოპესი "რეალის" ყოფილი ფეხბურთელია. გაძეტა დელო სპორტის ცნობით, მილანელებს მისი შეძენა **ფაბიო კაპელომ** ურჩია. ვილიარეალს მეკარის დათმობა არ სურს, მაგრამ თუ იტალიურ გრანდთან ვერაფერს გახდება, ლივერპულელ **ხოსე რეინას** შესთავაზებს კონტრაქტს. ძნელი სათქმელია, მოისურვებს თუ არა ეს უკანასკნელი "ენფილდიდან" აბარგებას. მილანელთა თვალთახედვის არეში მოხვდა "ალმერიის" ბრაზილიელი მეკარე **დიეგო ალვეშიც**. ის 22 წლისაა. ალვეშს მადრიდის "ატლეტიკოც" ეპატიჟება.

### 8 მილიონი როსის სანაცვლოდ

"ინტერი" მზადაა, "ვილიარეალთან" მოლაპარაკებები წამოიწყოს. "ნერაძურის" იტალიელი თავდამსხმელის, **ჯუზეპე როსის** შეძენა უნდა. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა პიერლუიჯი კაზირაგიმ როსის მსოფლიოს კლასის ფეხბურთელი უწოდა. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "ინტერი" ყმაწვილის ტრანსფერისთვის 8 მილიონ ევროს ამზადებს. როსი "ვილიარეალში" "მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადავიდა. კლუბებს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაუკეთებიათ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დროგბამ თქვა: ბარსელონა ან მილანი

## გარიგება ზაფხულში იგეგმება, კლუბებს კომენტარები არ გაუკეთებიათ

**დიდიე დროგბა** "ჩელსიდან" მიდის. კოტდივუარელმა თავდამსხმელმა ამის შესახებ "გაძეტა დელო სპორტს" განუცხადა. ფეხბურთელი უფრო შორსაც წავიდა. მან იმ ორი კლუბის ვინაობა გაამხილა, ვისთანაც მისი წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ახლა უკვე დაზუსტებით შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ ლონდონელი ვარსკვლავი "მილანში" ან "ბარსელონაში" გადავა. *"ლონდონს სეზონის დასრულებისთანავე დავტოვებ. ჩემი მომავალი მილანში, ან ბარსელონაშია,"* – თქვა დროგბამ. "გაძეტას" მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ უფრო სავარაუდოა დიდიეს იტალიაში ტრანსფერი. "მილანის" გარდა, მასზე "ინტერიც" აცხადებს პრეტენზიას. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ჩამოთვლილ კლუბებს კომენტარები არ გაუკეთებიათ. "მილანთან" დაკავშირებით მხოლოდ ის ვიცით, რომ გუნდი საგაისოდ თავდასხმის გაძლიერებას აპირებს. განიხილება **ალბერტო ჯილარდინოს** "ფიორენტინაში" გაყიდვის საკითხი. მის ადგილს, როგორც ჩანს, დროგბა დაიკავებს. დიდიეს "ჩელსისთან" კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. ზაფხულში მის ხელშეკრულებაში ორი წელიწადი იქნება დარჩენილი. ახალი სატრანსფერო კანონმდებლობის თანახმად, მას კონტრაქტის გამოსყიდვა დარჩენილი ხელფასის საფასურად შეუძლია. ეს კი ისეთი თანხაა, რომლის გადახდა არც მილანური გრანდებისათვის და არც ბარსელონისთვის პრობლემა არ იქნება. დროგბას განცხადებას, ჯერჯერობით, მხოლოდ მისი თანაგუნდელი **მიკაელ ესიენი** გამოეხმაურა. მან მეგობარს "ბარსელონაში" წასვლა ურჩია. ესიენის აზრით, დიდიეს ტრანსფერის შემთხვევაში, კატალონიური გრანდი შეუჩერებელი გახდება.



დიდიე დროგბამ დამაინტრიგებელი განცხადება გააკეთა

ინტერვიუ პეტრ ჩეხთან

# როცა გოლს მიტანენ, სინდისი მქენჯნის, რომ მთელ გუნდს ვულალატე

## არისტოკრატები ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმიზნებენ, ჩეხ მეკარეს საჩემპიონო შანსებიც რეალურად მიაჩნია...



პეტრ ჩეხი

**გასულ სეზონში პეტრ ჩეხმა თავის უმძიმესი ტრავმა მიიღო. მას თითქმის ნახევარი სეზონი გაუცდა, თუმცა ამას ვინ ჩივის: „ჩელსის" გოლკიპერი სიკვდილს გადაურჩა. ლონდონელი ექიმები ამბობდნენ, რედინგელი სტივენ ჰანტის მუხლი ოდნავ გვერდზე რომ მოხვედროდა, უძლურნი ვიქნებოდითო. ეს ამბავი 2006 წლის ოქტომბერში მოხდა. ჩეხი მინდორს ზუსტად ერთი წლის წინ, 2007 წლის თებერვალში, მორაგბის ქუდით დაუბრუნდა. მას შემდეგ ეს ქუდი მისი განუყრელი ატრიბუტი გახდა. პეტრს ძირითადში ხელახლა დამკვიდრება არ გასჭირვებია. ის ჩვეული სტაბილურობით გამოირჩევა. ჩეხი ლეგიონერი „არისტოკრატების" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია. მას ავრამ გრანტიც ისევე ენდობა, როგორც მისი წინამორბედი ჟოზე მოურინიო, რომელმაც ის 2004 წელს, ფრანგული „რენიდან" გადაიყვანა. პეტრ ჩეხი ყოველკვირეულ ბრიტანულ გამოცემა, „სპორტ მეგეზინს" გაესაუბრა.**

**- საუბარს დავიწყებ კითხვით, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ბევრი გულშემატკივარი დაგისვამდათ: როდემდე აპირებთ ამ ქუდით თამაშს?**

- ექიმებმა მითხრეს, რომ ის სეზონის ბოლომდე უნდა ვატარო, შეიძლება, გაისადაც დამჭირდეს. მართალია, გამოვჯანმრთელდი, მაგრამ ექიმები მუდმივად აგრძელებენ ჩემზე დაკვირვებას. ესეც არ იყოს, ქუდს ისე მივეჩვიე და ოდნავ დისკომფორტსაც კი აღარ მიქმნის.

**- ესე იგი, ტრავმისაგან სრულად განიკურნეთ...**

- დიახ, აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ. შარშან კარიერაში ყველაზე მძიმე სეზონი მქონდა. ადრეც არაერთხელ დავშავებულვარ, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. თავის ტრავმის შემდეგ ძალიან შევიცვალე. ცხოვრებას სულ სხვა თვალით შევხედე. ყურადღებას აღარ ვაქცევ ისეთ დეტალებს, რის გამოც ადრე მოსვენება მეკარგებოდა. ვისწავლე იმით დაკმაყოფილება, რაც გამაჩნია. ადრე ყოველთვის მეტი მინდოდა. სინამდვილეში, ბედნიერებისათვის ისიც საკმარისია, რომ ჯანმრთელი ვარ.

**- ტრავმის შემდეგ უფრო ფრთხილი ხომ არ გახდით?**

- კარში დგომისას სიფრთხილე დიდი ფუფუნებაა. საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას, რა თქმა უნდა, ვერ მივცემ. 90 წუთის განმავლობაში მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რაც მინდორზე ხდება. არც გულშემატკივრების ხმა მესმის და ხანდახან ჩემი ცოლიც მავიწყდება, რომელიც ტრიბუნაზე ზის და ნერვიულობს. როცა მეტოქის თავდამსხმელს ვხედავ, მის სახეს ვერ ვარჩევ. მას თვალებში საერთოდ არ ვუყურებ. თავდამსხმელსა და ბურთს ვხედავ, როგორც ერთ მთლიანს. თუ ბურთს ვიგერიებ, ესე იგი სამუშაოს კარგად გავართვი თავი და კმაყოფილი ვარ. თუ გოლი გამიტანეს, ეს პირველ რიგში ჩემი ბრალია. ასეთ დროს სინდისი მქენჯნის ხოლმე, რომ მე მთელ გუნდს ვულალატე.

**- როგორი დამოკიდებულება გაქვთ კრიტიკის მიმართ? განიცდით, როცა საჯაროდ გაკრიტიკებენ?**

- კრიტიკა არასოდეს მიყვარდა, არა მგონია, ის ვინმეს სიამოვნებდეს. ვერ ვიტან იმ ადამიანების კრიტიკას, რომელთაც ფეხბურთი ძალიან ცუდად ესმით. კარში დგომა იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ადამიანების უმრავლესობას წარმოუდგენია. წარმოიდგინეთ ჩვეულებრივი საფეხბურთო ეპიზოდი: ინიშნება საჯარიმო და მეტოქე ბურთს კარისაკენ აწვდის. ამ დროს საჯარიმო მოედანში უთვალავი ადამიანი ირევა. თითქმის ყველა ბურთის დაუფლებას ცდილობს. ათამდე ადამიანი მაღლა ხდება. ბურთს თითოეული მათგანი შეიძლება შეეხოს და კარში გადაგზავნოს. მეკარე კი ერთია. ასეთ ეპიზოდებში კარის გადარჩენის ასპროცენტიან გარანტიას ვერც ერთი გოლკიპერი ვერ მოგცემთ. მაგრამ მაინც გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლების მიწასთან გასწორებენ. ზოგიერთი კომენტარისათვის ყურადღების მიქცევაც კი ზედმეტად მიმაჩნია.

**- მეკარეს მინდორზე უჩვეულო პოზიცია უკავია. ის დანარჩენი გუნდის ნაწილია. ამავე დროს, გუნდისაგან ცალკეა. მინდორზე თავს მარტო ხომ არ გრძნობთ ხოლმე?**

- დიახ, მეკარე გუნდის წევრია, მაგრამ კარში მარტო დგას. სიმართლე გითხრათ, მე სწორედ ეს მომწონს. იმ სპორტსმენთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც გუნდში ყოფნა სიამოვნებთ, მაგრამ მთლად გუნდში ათქვეფაც არ უნდათ.

**- 25 წლის ხართ. მეკარისათვის საკმაოდ ახალგაზრდული ასაკია. როგორ ფიქრობთ, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინეთ? თუ საუკეთესო მატჩებს სამომავლოდ გვპირდებით?**

- ვფიქრობ, დღეს საუკეთესო ფეხბურთს ვთამაშობ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარი პოტენციალი ბოლომდე გამოვავლინე. შემიძლია, კიდევ მოვუმატო. ამისათვის ძალ-ღონეს არ ვზოგავ.

**- ეს სეზონი „ჩელსისათვის" საკმაოდ უჩვეულო გამოვიდა. როგორ ფიქრობთ, ჟოზე მოურინიოს წასვლამ გუნდზე ძალიან იმოქმედა?**

- ასეთი მასშტაბის ცვლილებები გუნდზე ყოველთვის ახდენს გავლენას. ახალ რეალობაში გარკვევა და ადაპტირება ძნელი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი იყო პირველი რამდენიმე მატჩის მოგება, რაც მოვახერხეთ. შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

**- საყოველთაო შეფასებით, მოურინიო ქარიზმატური მწვრთნელი და გამორჩეული პიროვნება იყო. მისი შემცვლელის, ავრამ გრანტის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, მიუხედავად იმისა, რომ ის ლონდონში უკვე რამდენიმე თვეა, მუშაობს. თქვენი აზრით, მოურინიო დაგრანტი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან?**

- ვფიქრობ, დასკვნების გაკეთების დრო მაშინ დადგება, როცა სეზონი დასრულდება. სწორედ მაშინ გამოჩნდება, თუ რამდენად იმოქმედა გუნდზე მოურინიოს წასვლამ.

**- „ჩელსიმ" სეზონი მძიმედ დაიწყო, მაგრამ ბოლოდროინდელი სტაბილური ასპარეზობის შედეგად, პოზიციები თანდათან განიმტკიცეთ და საჩემპიონო რბოლაშიც ჩაებით, თუმცა რბოლის ფავორიტად სხვა გუნდები ითვლებიან.**

- „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედისაგან" საკმაოდ ცოტა ქულა გვაშორებს. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობისათვის ბრძოლა ახლა იწყება. წელს უფრო დიდი კონკურენციაა. შარშანდელისაგან განსხვავებით, მასში ორზე მეტი კლუბია ჩართული. „ჩელსის" გაჩემპიონების რეალური შანსი აქვს. ჩვენს ამ შანსის გამოყენებას შევეცდებით.

**- ჩემპიონთა ლიგაზე რას გვეტყვით? შეუძლია თუ არა ჩელსის ჩემპიონთა თასის მოპოვება?**

- რა გითხრათ? ჩვენ სამჯერ გავედის ნახევარფინალში. შარშან ტურნირს პენალტებით გამოვეთიშეთ. მგონი, მზად ვართ, ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ და ჩემპიონები გავხდეთ. წელს ლიგის ფინალში გასვლას ვაპირებთ. თუ ამას მოვახერხებთ, მერე ყველაფერი ჩვენს ხელში იქნება.

რეალი

# კრისტიანო რონალდო: ერთ მშვენიერ დღეს სამეფო კლუბში ვითამაშებ

## პორტუგალიელი ვარსკვლავი დედას ოცნებას აუსრულებს, თუმცა ჯერ არ იცის, კონკრეტულად როდის



კრისტიანო რონალდო რეალში გადასვლას მაინც აპირებს, ოღონდ დიდი ხნის შემდეგ

**კრისტიანო რონალდო** მადრიდის "რეალის" გულშემატკივრებისთვის ყველაზე სასურველი მოთამაშეა. აბსოლუტურად ყველა გამოკითხვის მიხედვით, პორტუგალიელი ფორვარდი სამეფო კლუბის ინჩადის უდიდესი უმრავლესობის საოცნებო ფეხბურთელია. მოგეხსენებათ, ესპანური გრანდის მესვეურებმა რამდენჯერმე სცადეს საზოგადოების შეკვეთის შესრულება, მაგრამ ყოველ ჯერზე "მანჩესტერ იუნაიტედის" მედგარ წინაალმდეგობას წააწყდნენ. ბრიტანელებმა ამ თემასთან დაკავშირებით წინასწარი მოლაპარაკებების გამართვაც კი არ ისურვეს. ახლა ირკვევა, რომ "რეალის" შანსები კიდევ უფრო შემცირდა. მანჩესტერელები კრისტიანო რონალდოს 2014 წლამდე დატოვებას აპირებენ. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ფიქრობდნენ, რომ აქამდე ყველაზე რთული **კაკას** გადაბირება იყო, თუმცა ნისლიანი ალბიონიდან მიღებული ამ ინფორმაციის შემდეგ დაასკვნეს, რომ რონალდოს შეძენა კაკას ხელში ჩაგდებაზე გაცილებით რთული გახდა. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, "რეალს" წარმატების მიღწევის შანსი ფაქტობრივად, აღარ გააჩნია. მიუხედავად ამისა, თავად კრისტიანო რონალდო სრულიად მოულოდნელ განცხადებას აკეთებს. აი, რა უთხრა მან "დიარიო ასის" კორესპონდენტებს: *"დღეს "მანჩესტერში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, ერთ მშვენიერ დღეს ესპანეთის ჩემპიონატში ვიასპარეზებ. თქვენს ქვეყანასა და საფეხბურთო პირველობაზე ჭკუას ვკარგავ. როცა ვამბობ, ესპანეთში ვითამაშებთქო, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ, რომ მადრიდის "რეალის" წევრი გავხდები. ეს არის გუნდი ლეგენდა. ყველაზე დიდი ტიტულების მქონე საფეხბურთო იმპერია. ჩემთვის უაღრესად სასიამოვნო და საამაყოა, რომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი გრანდი მეპატიჟება, თუმცა ჯერ-ჯერობით მას უარს ვეუბნები. უახლოეს წლებს მანჩესტერში გავატარებ. შემდეგ კი ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს."*

"დიარიო ასის" კორესპონდენტი ამის შემდეგ რესპოდენტის პირადი ცხოვრებითაც დაინტერესდა. ბოლო დროს, პორტუგალიელის მომხიბვლელ გარეგნობაზე სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ. მრავალი გაზეთისა თუ ჟურნალის მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგებით ვიგებთ, რომ რონალდო მანდილოსნებში სექს სიმბოლოს იმიჯით სარგებლობს. "მანჩესტერის" სუპერვარსკვლავს ეს ყველაფერი ძალიან არ მოსწონს: *"მიკვირს, სექს სიმბოლოდ რატომ მიმიჩნევენ. შესაძლოა, ვინმესთვის მომხიბვლელი ვიყო, ამისათვის დიდი მადლობა, მაგრამ მე არც ბრედ პიტი გახლავართ და არც ტომ კრუზი. ჩემი საქმე ფეხბურთის თამაშია. ბურთის დევნით ფეხები მომელუნა. ასე რომ, არც ისეთი ლამაზი ვარ, როგორც გონიათ. ჩემი აზრით, ის მოთამაშე, რომელიც სარკეში ხშირად ყურებას დაიწყებს და ლამაზმანი გოგონებისკენ თვალს საჭიროზე მეტად გააპარებს კარიერას დაილუპავს. პროფესიონალმა ფეხბურთელმა მთელი დრო და ენერგია ვარჯიშს უნდა მოახმაროს. დიახ, თუ არ ივარჯიშებ, მოედანზე ვერაფერს გააკეთებ. რა თქმა უნდა, ურთულესი ხვედრი გვაქვს. ახალგაზრდებს იმის საშუალება არ გაგვაჩნია, რომ ღამის კლუბებში წავიდეთ, დისკოტეკებზე გავერთოთ... თუმცა, ჩვენთვის ხომ არავის არაფერი დაუძალებია. თავშეკავებული ცხოვრებისთვის კოლოსალურ ხელფასს გვიხდიან. იმდენს, რამდენიც ქვეყნების პრეზიდენტებსა და ნობელის პრემიის ლაურეატებს არ დაესიზმრებათ. განა ყოველივე ამის შემდეგ საიმისო ძალა არ უნდა აღმოგვაჩნდეს, რომ თავი შევიკავოთ და პროფესიული მოვალეობები პირუთვნელად შევასრულოთ? მოკლედ, არ მინდა, რომ სექს ბიჭუნას იმიჯი შემექმნას. მირჩევნია, ხალხი კრისტიანო რონალდოს ფეხბურთით გამოხატავდეს აღფრთოვანებას."*

საუბრის მიწურულს "დიარიო ასის" კორესპონდენტი კვლავ "რეალს" დაუბრუნდა და რესპოდენტს დედის ოცნება გაახსენა. სხვათა შორის, "ლელოს" მკითხველებსაც მოვახსენეთ, რომ რონალდოს დედის ოცნება მისი შვილის "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშია: *"დედაჩემის ინტერვიუ წავიკითხე და ახალი არაფერი გამიგია. ისედაც ვიცოდი, რომ მას მადრიდში ჩემთან ერთად ცხოვრება და "ბერნაბეუზე" სიარული სურს. დედა ჩემთვის წმინდა ხატებაა. ამიტომაც ვამბობ დარწმუნებით, რომ ერთ მშვენიერ დღეს სამეფო კლუბში ვიასპარეზებ. ჯერ 23 წლის ვარ. ასე რომ, იმედს ნუ დაკარგავთ. მე ყოველთვის ვცდილობ, სიტყვა სიტყვად არ დავტოვო და მას ხორცი შევასხა. მოკლედ, სათქმელი ამოვწურე. წინ მთელი ცხოვრებაა."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A

# ტიფოზები სტადიონებს უბრუნდებიან

## იძლევა თუ არა ციფრები სიტუაციის რეალურ სურათს?

**2 თებერვალს იტალიამ კატანიური ტრაგედიის წლისთავი აღნიშნა. შეგახსენებთ, რომ სიცილიური დერბის შემდეგ, „კატანიისა" და „პალერმოს" ქომაგებმა ქუჩებში არეულობები მოაწყვეს, რომლის დროსაც დაიღუპა პოლიციელი ფილიპო რაჩიტი. ნათქვამია, როცა ურემი გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. კატანიურმა ტრაგედიამ აპენინურ სტადიონებზე წესრიგის პრობლემა გაამძაფრა...**

ამას მოჰყვა მთავრობის მიერ ზომების გამკაცრება, რის შემდეგაც არენათა ერთ ნაწილს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა (პირველ რიგში, უსაფრთხოების თვალსაზრისით), დროებით ბოქლომები დაადეს, ზოგზე მხოლოდ სეზონური აბონემენტის მფლობელებს უშვებდნენ... მართალია, ერთი ტრაგედია ნოემბერშიც მოხდა, როცა პოლიციელმა „ლაციოს" ქომაგი მოკლა, მაგრამ საერთო ჯამში, იტალიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორდა. სტადიონების უმრავლესობა, რომელიც თავის დროზე სამთავრობო კომისიამ დაიწუნა, სტანდარტებს მიუახლოვეს. დამონტაჟდა ელექტროტურნიკეტები, სათვალთვალო კამერები... სხვათა შორის, ბოლო ხანებში იტალიის სტადიონებზე გულშემატკივართა მატება შეინიშნება. ამაზე უკვე სტატისტიკაც მეტყველებს, არადა, უკანასკნელ წლებში, ხულიგნობის გახშირებული ფაქტების გამო, ჭეშმარიტმა ქომაგებმა სტადიონს ზურგი აქციეს და ტელევიზორებს მიუსხდნენ...

ამასობაში კი, იტალიის პროფესიულმა ლიგამ, პირველი წრის მაჩვენებლების მიხედვით, სტადიონებზე დასწრების მონაცემები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ საშუალოდ ერთი მატჩი 22 504 მაყურებელს იზიდავს. ეს 3 ათასით მეტია, ვიდრე გასული სეზონის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელი - 19 181 ქომაგი საშუალოდ მატჩზე, რაც ბოლო 45 წლის მიხედვით ყველაზე ცუდი შედეგია. ვარაუდობენ, რომ დასწრება უფრო მეტი იქნებოდა, რომ არა ნოემბრის ხსენებული ამბები, წლის რიგით მეორე ტრაგედია. საინტერესოა, რომ ამ მოვლენებამდე დასწრების საშუალო მაჩვენებელი 23 125 მაყურებელს უტოლდებოდა. სწორედ ამის შემდეგ აღინიშნა მცირედი ვარდნა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ გამოქვეყნებულ ციფრებს იტალია ეიფორიის გარეშე შეხვდა. ჯერ ერთი, ნესიერი ქომაგები თავაშვებულთა წინააღმდეგ ზომების მიღებას დღემდე ითხოვენ. ფედერაციამ მარტივ გამოსავალს მიაგნო. ეგრეთ წოდებული „რისკის ჯგუფის" მატჩები სტუმარი ფანების გარეშე და დღისით ტარდება. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საფეხბურთო ჩინებს სხვა, უფრო ქმედითი ზომებისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ. შესაბამისად, იტალიელებს ისღა დარჩენიათ, იოცნებონ იმ დროის (1990/91 წ. სეზონი) დაბრუნებაზე, როცა საშუალოდ ერთ მატჩს 34 205 მაყურებელი ესწრებოდა.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტორიც, რომელიც, ჩვენი აზრით, გადამწყვეტია აუდიტორიის მატების საკითხი, ვგულისხმობთ სერია A-ში პოპულარული კლუბების - „იუვენტუსის", „ნაპოლისა" და „ჯენოას" დაბრუნებას. დიახაც, არ გავიზიარებთ იტალიური ფეხბურთის ბოსების ოპტიმიზმს და აღვნიშნავთ, რომ ხალხმა სტადიონებს, პირველ რიგში, ახალი „იუვენტუსის" სანახავად მიაშურა. სხვანაირად, ეს წარმოუდგენელია იმ ფონზე, როცა ქვეყანაში, თითქმის ერთწლიან ინტერვალში, ორი მძიმე ტრაგედია ხდება. „იუვენტუსი", რომელსაც ყველა მეტი ქომაგი, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ტურინს გარეთ ჰყავს, ყველა გასვლით მატჩზე თითქმის ანშლაგს უზრუნველყოფს. განა ასე არ იყო შარშან, სერია B-ში, სადაც „იუვეს" ფაქტორმა დასწრება არნახულ მასშტაბებს გაუტოლა? აქ ერთი პრობლემა თითქოს ისაა, რომ ტურინის „ოლიმპიკო" მხოლოდ 27 000 მაყურებელზეა გათვლილი, მაგრამ აბა, გავიხსენოთ ის დრო, როცა „დელე ალპიზე" (ტევადობა 69 000) **მარჩელო ლიპისა და ფაბიო კაპელოს** „იუვეს" სანახავად 25-30 ათას მაყურებელზე მეტი არ დადიოდა. საშინაო მატჩებზე მაყურებლის დასწრების მიხედვით „ბებერი ქალბატონი" მოკრძალებულ მე-9 ადგილს იკავებს. ამ მხრივ, „მილანი", „ინტერი" (რა თქმა უნდა, „სან სიროს" დიდი ტევადობის გამო) და „რომა" ლიდერობენ.

ბუნებრივია, „იუვენტუსის", „ნაპოლისა" და „ჯენოას" დაწინაურებამ სერია B-ს დასწრების შკალა კატასტროფულად დასცა. მიმდინარე სეზონში ამ მაჩვენებელმა ისტორიულად უარეს ზღვარს - 1 371 მაყურებელს უწია. მანამდე, 2005/06 წლების სეზონი „ლიდერობდა" - 2 215 ქომაგით. აქ აღარაფერს ვიტყვით იტალიის თასის მატჩებზე, რომლის პრესტიჟიც წლიდან წლამდე ეცემა და მას სულ უფრო ნაკლები ტიფოზი სდებს პატივს. თუმცა აქ დამნაშავენი თავად კლუბები არიან, პირველ რიგში, „ბობოლები", რომლებიც სათასო ბატალიებში დუბლშემადგენლობებს ათამაშებენ. ცხადია, ეს მაყურებელს ვერ მიიზიდავს.

მოდით, ახლა ეს ყველაფერი „დიდი ხუთეულის" წევრი სხვა ქვეყნების მაგალითებს შევადაროთ. ინგლისში, 1951 წლის შემდეგ, ამ სეზონში საუკეთესო მაჩვენებელია. პრემიერლიგის მატჩებს საშუალოდ 36 020 ფანი ესწრება. საფეხბურთო ბუმი გრძელდება გერმანიაშიც, სადაც ბუნდესლიგა 38 529 მაყურებელს უყრის თავს. მაგრამ ამასაც თავისი ახსნა აქვს. არა გვგონია, გერმანული ბატალიები იტალიურს ხარისხობრივად სჯობდეს, უბრალოდ, იქ სტადიონების ტევადობაც დიდია და კომფორტზე ხომ საერთოდ ზედმეტია სიტყვების დახარჯვა.

ბოლოს კი ამ სეზონის ზოგიერთი ციფრები მეტი თვალსაჩინოებისთვის...



იტალიური სტადიონები. მოჩვენებითი თუ რეალური წესრიგი?

### საშუალო დასწრება საშინაო მატჩებზე

| გუნდი | მაყ/საშ |
|---|---|
| 1. მილანი | 57 317 |
| 2. ინტერი | 47 639 |
| 3. რომა | 40 167 |
| 4. ნაპოლი | 39 179 |
| 5. ფიორენტინა | 32 107 |

### საშუალო შევსება საშინაო მატჩებზე

| გუნდი | შევ/საშ |
|---|---|
| 1. იუვენტუსი | 89.51% |
| 2. კატანია | 79.79% |
| 3. ტორინო | 79.39% |
| 4. მილანი | 69.09% |
| 5. ინტერი | 57.43% |

### საშუალო დასწრება ევროპის წამყვან ლიგებში

| ქვეყანა | მაყ/საშ |
|---|---|
| 1. გერმანია | 38 529 |
| 2. ინგლისი | 36 020 |
| 3. ესპანეთი | 29 900 |
| 4. იტალია | 22 504 |
| 5. საფრანგეთი | 21 119 |

ამხანაგური მატჩი

# არაგონესმა მცირე რევანში აიღო



ტიერი ანრი სესკ ფაბრეგასის წინააღმდეგ

| ესპანეთი-საფრანგეთი | 1:0 |
|---|---|

**ესპანეთი:** კასილიასი, რაულ ალბიოლი, კაპდევილა, მარჩენა (50. მარკოს სენა/74. იონას გუტიერესი), სერხიო რამოსი (46. პაბლო იბანიესი), ალბელდა (66. ჩაბი ალონსო), ფაბრეგასი, ინიესტა, რიერა (52. ვილია), ჩავი, ფერნანდო ტორესი (21. ხოაკინი).

**საფრანგეთი:** კუპე, აბიდალი, გალასი, სანიოლი, ტურამი (47. ესკუდე), ლ. დიარა, ტულალანი, ვიერა (85. ბენ არფა), ანელკა (59. ბენზემა), ანრი, მალუდა.

**გოლი:** 1:0 კაპდევილა (79)

**მაყურებელი:** 37 000

**ოთხშაბათს,** მალაგაში „ლა როსალედაზე" ესპანეთის ნაკრებმა საფრანგეთის ეროვნულ გუნდს მოუგო. პირენეელები ამ გამარჯვებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. როგორც გახსოვთ, 2006 წლის მუნდიალის მერვედფინალში **რაიმონ დომენეკის** ბიჭებმა „სელექსიონს" სძლიეს. როგორც ჩანს, ეს წარუმატებლობა მათ დღემდე სტკივათ და ფრანგების დამარცხებას ამიტომაც მიანიჭეს გრადიოზული მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრას ეხებოდა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრები თავიდან ძალიან კომფორტულად გრძნობდნენ თავს. თუმცა მოგვიანებით, **ჩავის, ინიესტასა და სესკის** ტრიომ საქმეს ძალიან სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და მატჩში გარდატეხა შეიტანეს. მთელი ესპანეთი **ბოიან კრკიჩის** დებიუტს ელოდა, მაგრამ ახალგაზრდა ბარსელონელს სასტიკად არ გაუმართლა. უკვე გესაუბრეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ კვირას „ბარსამ" მშობლიურ „კამპ ნოუზე" „ოსასუნას" დიდი წვალებით მოუგო. მოედნიდან გასვლიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ კრკიჩმა თავი შეუძლოდ იგრძნო. მას კუჭი აეშალა და კლუბის შიდა განაწესის მიხედვით ექიმებს დახმარებისთვის მიმართა. ფორვარდს მწვავე დიარიის დიაგნოზი დაუსვეს. **ჟოან ლაპორტამ** გადაწყვიტა ბოიანი ნაკრებში არ გაეშვა, მაგრამ ფეხბურთელმა პრეზიდენტს უმორჩილესად სთხოვა, მისთვის ხელი არ შეეშალა. სენიორ ჟოანმა მის ავადმყოფობაზე თვალი დახუჭა და „სელექსიონისკენ" მიმავალი გზა დაულოცა. **ლუის არაგონესს** იმედი ჰქონდა, რომ კრკიჩი დროულად გამოჯანმრთელდებოდა და სადებიუტო შეხვედრას ჩაატარებდა. ოპტიმისტური პროგნოზი არ გამართლდა და ბოიანი განაცხადში ვერ შეიყვანეს. შედეგად მას ისტორიაში შესვლის შესაძლებლობა მოესპო. ოთხშაბათს მას მინდორზე ერთი წუთიც რომ გაეტარებინა, ესპანეთის ეროვნული გუნდის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდებოდა.

არაგონესს მატჩის 23-ე წუთზე სერიოზული პრობლემა შეექმნა. **ფერნანდო ტორესმა** ტრავმა მიიღო და ადგილი **გუისას** დაუთმო. შესაძლოა, ამის გამოც იყო, რომ მასპინძლები აღელდნენ და შეცდომებს უმატეს. სიმართლე ითქვას, ფრანგები ამით დიდად ვერ სარგებლობდნენ. მხოლოდ **ნიკოლა ანელკასა და ფლორენ მალუდას** ჰქონდათ გატანის შანსი. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველი ტაიმი სანახაობრიობით არ გამოირჩეოდა.

შესვენების შემდეგ კი თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა. შეცვლაზე შესულმა **დავიდ ვილიამ** „სელექსიონის" თავდასხმას ხალისი შემატა. ვალენსიელმა რამდენიმე მწვავე იერიში მოაწყო და **გრეგორი კუპეს** დიდი თავსატეხი გაუჩინა. სხვათა შორის, ვილიამ საჯარიმოც ეფექტურად შეასრულა, მაგრამ არ გაუმართლა და ბურთი ძელს გაარტყა. ამასობაში, 79-ე წუთიც დადგა. ფრანგებს ჩაეძინათ და დაცვაში სერიოზული შეცდომა დაუშვეს. **კაპდევილამ** ამ არეულობით ძალიან კარგად ისარგებლა და გამარჯვების გოლი შეაგდო. ამის შემდეგ **პაბლო** აღმოჩნდა მოვლენათა ეპიცენტრში, თუმცა მიზანს მცირე მანძილით ააცილა.

ბუნებრივია, შედეგმა გუნდების მთავარ მწვრთნელებს განსხვავებული განწყობა შეუქმნა. თქვენს სამსჯავროზე თავდაპირველად ლუის არაგონესის სიტყვებს გამოვიტანთ. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამხანაგური გახლდათ, „სელექსიონის" ასაკოვანმა დამრიგებელმა გამარჯვებით უზომოდ გაიხარა. თითქოს, საქმე სასიცოცხლო მნიშვნელობის დაპირისპირებას ეხებოდა. აი, რა განაცხადა მან: „შეუძლებელია, სიტყვებით გამოვხატო ის სიხარული, რომელსაც ახლა მე ვგრძნობ. ჩვენ უდიდეს გუნდს მოვუგეთ და რა თქმა უნდა, ეს ძალიან მახარებს. ალბათ, ჟურნალისტები იტყვიან, „სელექსიონი" დიდი დროის განმავლობაში უსახურად თამაშობდაო. ამ ადამიანებს წინასწარვე უნდა ვუპასუხო, რომ საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარდაცვა და დაცვა ჰყავს. მისი წინააღმდეგობის გადალახვა კი ჯოჯოხეთურად რთულია. მიუხედავად ამისა, ესპანეთის ნაკრებმა შეძლო და გამარჯვების გოლი გაიტანა. მადლობა ღმერთს, დაცვაში ჩვენც გამართულად ვიასპარეზეთ. იმედია, ობიექტური ჟურნალისტები დამეთანხმებიან, რომ „სელექსიონი" აშკარად გაიზარდა. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც დავინახე. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დროა დარჩენილი. დარწმუნებული ვარ, შევძლებთ ეს ხარვეზები აღმოვფხვრათ და კონტინენტის პირველობაზე უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძოლოთ. ეს მიზანი ცხადია, ევროპის ჩემპიონობაა. დიახ, დღესვე ვამბობ, რომ ყველა სხვა შედეგი ჩემთვის წარუმატებლობად შეფასდება. ბუნებრივია, ვაცნობიერებ, უდიდესი კონკურენციის გადალახვა მოგვიწევს, მაგრამ არაფრის მეშინია. მრავალი ლანძღვის, უსამართლო თუ სამართლიანი კრიტიკის შემდეგ გუნდი მომწიფდა იმისთვის, რომ ყველა დაბრკოლება გადალახოს და ბოლოს და ბოლოს დიდ ტიტულს დაუფლოს."

არაგონესისგან განსხვავებით **რაიმონ დომენეკი** შორსმიმავალ გეგმებზე არ საუბრობდა. ის ძირითადად მოწინააღმდეგეთა კომპლიმენტებით შემოიფარგლა: „მასპინძლებს გამარჯვებას ვულოცავ. მათ აბსოლუტურად თანაბარი შეხვედრის მოგება შეძლეს. საფრანგეთში საფეხბურთო წრეებში ხშირად მეკითხებიან, კი მაგრამ როგორ შეუძლია არაგონესს რაული არ გამოიძახოსო. არ ვიცი, მე ჩემი კოლეგის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, თუმცა იმას კი ვიტყვი, რაც დღეს საკუთარი თვალით დავინახე. ესპანეთის ნაკრები რაულის გარეშეც ძალიან ძლიერია. დღეს „სელექსიონმა" გამაოცა. გუნდმა შესაშური გამძლეობა და შეუპოვრობა გამოამჟღავნა. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ ესპანელები გასაოცრად გამართულად და დისციპლინირებულად თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, დაგვჩაგრეს-თქო, მაგრამ გამოგიტყდებით, მასპინძელთაგან ასეთ სწორ თამაშს არ ველოდი. წაგების მიუხედავად ჩემს ბიჭებს ვერ ვუსაყვედურებ. მათ ყველაფერი გააკეთეს. კარგი მომენტებიც გვქონდა, მაგრამ დღეს ესპანეთმა გაიმარჯვა. ცუდია, თუმცა საფრანგეთის ნაკრებისთვის ამით ცხოვრება არ სრულდება. მუშაობას ვაგრძელებთ. დღევანდელი ხარვეზები ხვალ აუცილებლად აღმოიფხვრება."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# დიახაც, გერმანიას მეკარის პრობლემა აქვს!

## და საერთოდ: ლიოვი მშვიდად ვერ იქნება, სამუშაო ძალიან ბევრია...



იენს ლემანმა სამი უპატიებელი შეცდომა დაუშვა

**ავსტრია-გერმანია 0:3**

**ავსტრია:** მანინგერი, პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეტცი, შტანდფესტი, აუფჰაუზერი (69. პრაგერი), ზოიმელი, ფუხსი, ივანშიტცი, ჰარნიკი (73. კინასტი), ლინცი (82. კავლაკი).

**გერმანია:** ლემანი, ვესტერმანი, მერტეზაკერი, მ. ფრიდრიხი (74. ჰილბერტი), ლამი, ბალაკი (87. როლფესი), ჰიტცლშპერგერი (82. ჯონსი), ბ. შნაიდერი (59. პოდოლსკი), შვაინშტაიგერი, კლოზე, კურანი (59. გომესი).

**გოლები:** 0:1 ჰიტცლშპერგერი (53), 0:2 კლოზე (63), 0:3 გომესი (80).

**გაფრთხილება:** 2-3.

**მაყურებელი:** 48 500.

3:0 ავსტრიასთან - გერმანიის ნაკრებმა 2008 წელი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ გამარჯვების დამაჯერებლობა მხოლოდ ანგარიშში აისახა, რადგან გერმანელი ქომაგები ბუნდესგუნდის თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილები არ დარჩენილან.

ყოველ შემთხვევაში, ეს გახლდათ რიგით მე-20 გამარჯვება ავსტრიასთან ჩატარებულ 34-ე მატჩში. ჩვენი გერმანელი კოლეგები ყურადღებას განსაკუთრებით იმაზე ამახვილებენ, რომ **იოახიმ ლიოვის** გუნდმა პირველ ტაიმში, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად ითამაშა. პირველ 45 წუთში ავსტრიელები ისე თამაშობდნენ და ისე იბრძოდნენ, როგორც მაღალი კლასის გუნდი და მათ არაფერი ეტყობოდათ იმისა, რომ ფიფას რეიტინგში ძალიან ქვემოთ, 90-ე ადგილზე არიან. მოკლედ, "ერნსტ ჰაპელ შტადიონზე" პირველ ტაიმში გერმანიას და ავსტრიას როლები გაცვლილი ჰქონდათ.

მაგალითად, 22-ე წუთზე ავსტრიელებმა ხეირიანი კომბინაცია გაითამაშეს და მოულოდნელად, **იენს ლემანმა** კარი დატოვა. **მარტინ ჰარნიკმა** ბუნდესმეკარე მოატყუა და **ლინცს** უპასა და რომ არა **პერ მერტეზაკერი**, რომელმაც ლინცის დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, ავსტრიელები დაწინაურდებოდნენ და ეს სწორედ ლემანის ბრალი იქნებოდა.

23-ე წუთი: ავსტრიელებმა კუთხური ჩააწოდეს, ლემანმა უხეიროდ ითამაშა, მაგრამ მისი ბედი, რომ **პოგატეტცის** თავური დარტყმა კარს ასცდა. რამდენიმე წამის შემდეგ გერმანიის კართან კიდევ ერთი კუთხური დაინიშნა, ლემანმა გამოსვლაზე ისევ ვერ ივარგა, მაგრამ ვერ ივარგა ჰარნიკმაც, რომელმაც ბურთი იენსის კარის ძელს მოარტყა. მოკლედ, იენსი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, მაგრამ მიმომხილველებს მხოლოდ მისდამი როდი აქვთ პრეტენზიები - კარგად არც ბუნდესგუნდის სხვა ფეხბურთელები გამოიყურებოდნენ. 39-ე წუთზე **ბასტიან შვაინშტაიგერმა** მორიგი არაზუსტი, ყოვლად უმისამართო პასი გააკეთა - ლიოვმა აქ კი ველარ მოითმინა და ყვირილი მორთო. შესვენებამდე გერმანელების საუკეთესო მომენტი **მიხაელ ბალაკმა** შექმნა: მე-15 წუთზე **მანინგერს** თავით დაურტყა, მაგრამ ააცილა.

ბალაკმა ნორმალურად ითამაშა და მეტიც: მას დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ მეორე ტაიმში გერმანელები მნიშვნელოვნად გამოსწორდნენ და საბოლოო ჯამში 3:0 იმარჯვეს. გერმანელებმა ანგარიში 53-ე წუთზე გახსნეს: **პრიოდლი** ბურთის საჯარიმოდან გამოტანას შეეცადა, მაგრამ ბურთი **თომას ჰიტცლშპერგერს** მიუვიდა. ამ უკანასკნელმა კი 18 მეტრიდან ჩვეულებისამებრ ძლიერად დაჰკრა - მანინგერი უძლური გახლდათ. ეს ჰიტცლშპერგერის მე-5 სანაკრებო გოლი გამოდგა. გოლს ავსტრიელ ქომაგთა უხამსი შეძახილები მოჰყვა. "Schwuler DFB!" - ყვიროდნენ ფანები და გეტყვით, რომ Schwul ჰომოსექსუალისტს ნიშნავს, DFB კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის ინიციალებია.

63-ე წუთზე სხვაობა ორამდე გაიზარდა: ბალაკმა ულამაზესი პასით **კლოზე** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი 6 მეტრიდან რიგით 37-ე სანაკრებო გოლი გაიტანა. მესამე გოლი კი, რომელიც **მარიო გომესის** ანგარიშზეა, მე-80 წუთზე გავიდა - შტუტგარტელი **პოდოლსკის** ჩაწოდებას გამოეხმაურა და ბურთი მანინგერის კარში ახლო დისტანციიდან თავით გადაგზავნა. ეს "სუპერმარიოს" მერვე სანაკრებო გოლი გახლდათ. რაც შეეხება პოლდის - ის თამაშში 59-ე წუთზე **შნაიდერის** ნაცვლად ჩაერთო და ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ. ამიტომაც, რეალურია ვიფიქროთ, რომ თავდამსხმელი პოდოლსკი უკვე წარსულს ჩაბარდა.

■ ■ ■

ამრიგად, გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატამდე 3 ტესტმატჩი დარჩა. შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნდესგუნდმა მოსალოდნელზე ცუდად ითამაშა. არადა, იოახიმ ლიოვის გუნდის მეტოქე იყო გუნდი, რომელიც ფიფას რეიტინგში 90-ე ადგილზეა. მატჩის შემდეგ "ბილდი" წერდა, 3:0 კი კარგია, მაგრამ თამაშის მხრივ უნდა გვრცხვენოდესო. გერმანელ ექსპერტთა უკმაყოფილების მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ავსტრიის ნაკრები მთელ რიგ მომენტებში აშკარად სჯაბნიდა გერმანიისას, გუნდს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. შესაბამისად ცხადია, რომ ლიოვს კიდევ ბევრი სამუშაო აქვს.

მაგალითად, ავსტრიასთან მატჩმა გამოაჩინა, რომ გერმანიას, ქვეყანას, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამეკარეო სკოლა აქვს, დღესდღეობით სწორედ ამ პოზიციაზე აქვს პრობლემა. ლემანი, რომელსაც ლონდონის "არსენალში" სათამაშო პრაქტიკა არ გააჩნია, ხშირად ძალიან არადამაჯერებლად თამაშობდა. ლემანმა სამი დაუშვებელი შეცდომა დაუშვა. ამიტომაც, ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ დისკუსია თემაზე, ღირს თუ არა გარისკვა და ევროპის ჩემპიონატზე ლემანის თამაში, ამიერიდან კიდევ უფრო გამძაფრდება.

*"სიმართლე გითხრათ, აქამდე მეგონა, რომ ლემანის უთამაშებლობა ნაკრებისთვის სერიოზული პრობლემა არ იქნებოდა, რადგან იენსი გამოცდილი გოლკიპერია, მაგრამ ავსტრიასთან ის იმდენად თავდაუჯერებელი იყო, რომ სერიოზულად შევშფოთდი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სათამაშო პრაქტიკა უბრალოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ვშიშობ, ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბი ამ საკითხს ასე მიუდგება: არა უშავს, დღეს ცუდად ითამაშა, ხვალ ისევ ძველი ლემანი იქნება. მე ვამბობ: ეს დაუშვებელია! მეკარის პრობლემა თვალსაჩინოა და ამ საკითხზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ!"* - ეს ლეგენდარული **გიუნტერ ნეტცერის** სიტყვები გახლავთ. პოზიტიურია ის, რომ ლემანმა გერმანიის ნაკრებში 531 წუთიანი მშრალი სერია გამოაცხო, რაც ახალი რეკორდი გახლავთ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

გარდა ამისა, ავსტრიასთან მატჩი აშკარად ჩააგდო დებიუტანტმა **ჰაიკო ვესტერმანმა**, რომელმაც ახალ გარემოს ალღო ვერაფრით აუღო. და ფაქტია ისიც, რომ ასეთ ფორმაში მყოფი შვაინშტაიგერი ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშს არ იმსახურებს.

**გოტფრიდ ლენცი**

მწვრთნელი

# ჰიტცფელდი: შვეიცარია გადაწყვეტილია!

## კონტრაქტი თვის ბოლოს გაფორმდება, ოტმარის მიზანი 2010 წლის მუნდიალია



ჰიტცფელდი უკვე შვეიცარიაზე ფიქრობს

**ოტმარ ჰიტცფელდს** შვეიცარიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ მიუნხენის "ბაიერნის" დამრიგებელმა, რომელიც რეკორდმაისტერს ზაფხულში დატოვებს უკვე ისაუბრა იმ მიზნებზე, რაც შვეიცარიის ნაკრებში ექნება. გერმანელი სპეციალისტი პირდაპირ ამბობს, ჩემი მიზანი ის იქნება, რომ შვეიცარიის 2010 წლის მუნდიალზე გავიყვანო და იქ კარგად წარმოვაჩინოო. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ უკვე ეჭვი ალარავის ეპარება იმაში, რომ ჰიტცფელდი "ბაიერნიდან" პირდაპირ შვეიცარიაში წავა - ოტმარი უკვე თვითონვე საუბრობს კონკრეტულ მიზნებზე და მკითხველს ისიც კარგად მოეხსენება, თუ როგორ უნდათ შვეიცარიელებს ის, რომ მათი ნაკრები "გენერალმა" ჩაიბაროს.

*"ჩემი გეგმა ასეთია: მინდა, რომ შვეიცარიის ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გავიყვანო და ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება იმ ფეხბურთელებთან მუშაობა, რომლებიც დღეს შვეიცარიის ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ,"* - განუცხადა ჰიტცფელდმა "ბილდს". ამავე გამოცემის ინფორმაციით, ჰიტცფელდი უკვე მოურიგდა შვეიცარიელებს და კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობაა, რომელიც თვის ბოლომდე მოგვარდება. ოტმარი ამ პოსტზე **იაკობ კუნს** შეცვლის, რომელიც შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობას ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს.

*"ეს ჩემთვის შესანიშნავი და ფაქტობრივად იდეალური სიახლეა, უდიდესი გამოწვევა, რომელსაც სიამოვნებით მივილებ. ამასთან, შვეიცარიის ნაკრების გაწვრთნა უდიდესი მოტივაციაცაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან მინდოდა, რომ ოდესმე ნაკრების დამრიგებელი ვყოფილიყავი და მიხარია, რომ ასე იქნება,"* - განაცხადა ჰიტცფელდმა. შეგახსენებთ, რომ ოტმარმა, რომელიც გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნევა, სამწვრთნელო მოღვაწეობა სწორედ შვეიცარიაში დაიწყო. 59 წლის ჰიტცფელდმა 1985 წელს "არაუს" შვეიცარიის თასი მოაგებინა, რის შემდეგაც ციურიხის "გრასჰოპერი" ორჯერ გახადა ქვეყნის ჩემპიონი. 1991 წელს კი ოტმარმა ბუნდესლიგას მიაშურა, სადაც დორტმუნდის "ბორუსიას" ჩაუდგა სათავეში, რომელსაც 1997 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. 1998 წელს ჰიტცფელდმა "ბაიერნს" მიაშურა და მას მერე ოტმარი მხოლოდ მიუნხენში მოღვაწეობდა.

*"ერთი სიტყვით, წრე შეიკრა,"* - ამბობს ჰიტცფელდი, - *"სამწვრთნელო კარიერა შვეიცარიაში დავიწყე და შვეიცარიაშივე დავამთავრებ."* ფაქტია, რომ ჰიტცფელდს შვეიცარიაში არ ექნება ისეთი ხელფასი, როგორიც "ბაიერნში" აქვს და ეს მისთვის აბსოლუტურად მისაღებია. ოტმარი: *"კარგად მესმის, რომ ნაკრების მწვრთნელის რანგში ისეთივე ანაზღაურება ვერ მექნება, როგორიც "ბაიერნში" მაქვს."* გარკვეულია, რომ ჰიტცფელდს მისი მუდმივი თანაშემწე **მიხაელ ჰენკე** შვეიცარიაში არ გაჰყვება.

"გენერალს" მომავალ საქმიანობაზე უშუალოდ პოსტზე დანიშვნამდე დეტალურად საუბარი არ სურს. მისი თქმით, ამით ის მხოლოდ ხელს შეუშლის გუნდის მომზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის - კუნს და მის შეგირდებს ახლა სიმშვიდე სჭირდებათო. შვეიცარიელები კი აღფრთოვანებულები არიან. გამოცემა "თაგესანცაიგერი" წერდა, ჰიტცფელდი ჩვენთვის ბედნიერი შემთხვევააო. "ბაზლერ ცაიტუნგში" კი ასეთ კომენტარს ამოიკითხავდით: *"შვეიცარიის ნაკრებს ასეთი დონის მწვრთნელი არასდროს ჰყოლია!"*

**გოტფრიდ ლენცი**



ზე რობერტო

ბაიერნი

# ზე რობერტო: 2009 წელს მიუნხენიდან წავალ!

## ბრაზილიელი კარიერას აშშ-ში დაასრულებს

"ბაიერნის" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ზე რობერტომ** განაცხადა, რომ რეკორდმაისტერთან კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ გუნდს დატოვებს და სავარაუდოდ აშშ-ში გადავა, სადაც კიდევ მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში ითამაშებს, მერე კი კარიერას დაასრულებს. 33 წლის ზე რობერტოსთვის მიმდინარე სეზონი ბუნდესლიგაში რიგით მეათეა. ხსენებული განცხადება კი მან "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

*"2009 წელს კონტრაქტი მიმთავრდება და სიმართლე გითხრათ, ასეთ მაღალ დონეზე თამაშის გაგრძელება აღარც მინდა და აღარც შემიძლია. დიდი ხანია, ევროპაში ვთამაშობ და ვფიქრობ, მოვიდა დრო, რომ ნელ-ნელა კარიერის დასრულებაზე ვიფიქრო,"* - უთხრა ზე რობერტომ "კიკერს".

ბრაზილიელის უკანასკნელი მოტივაცია მომდევნო სეზონია - ზეს ჩემპიონთა ლიგაში თამაში და მოგება სურს. ის მიუნხენურ კლუბში გასული წლის ზაფხულში დაბრუნდა, მანამდე კი, "ბაიერნში" 2002-დან 2006 წლამდე თამაშობდა. უფრო ადრე კი ლევერკუზენის "ბაიერის" ღირსებას იცავდა. *"ამერიკაში მეპატიჟებიან და ალბათ დავთანხმდები. MLS-ში სავარაუდოდ ერთ წელს დავყოფ, მერე კი ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ,"* - ამბობს ზე რობერტო, რომელიც ბუნდესლიგაში 1998 წლიდან თამაშობს.

ინტერვიუ რიკარდო იზეკსონ კაკასთან

# ოლიმპიადაზე, უკვე ოლიმპიური ოქროსთვის...

**კაკას ახალი გამოწვევა: ბრაზილიას მხოლოდ ეს ჯილდო აკლია და ამასაც მოვიგებთ. მსოფლიო საკლუბო მუნდიალზე გამარჯვების აღსანიშნავად, მილანმა თავის მაისურაზე ახალი სიმბოლო გამოსახა**

**2007 წელმა კაკას ნიშნით ჩაიარა. ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა არა ერთი გამოკითხვა მოიგო, თან ისე, რომ დამსახურებულ წარმატებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არავისთვის მიუცია. ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ფიფას ოფიციალურმა ვებ-გვერდმა მოამზადა და მიეძღვნა ფაქტს, რომელიც გუშინ მოხდა: "მილანმა" უკვდავყო მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატზე გამარჯვება და ეს, ტურნირის სიმბოლოს სახით, საკუთარ მაისურაზე გამოსახა...**

**- რიკარდო, რას ფიქრობთ იმის თაობაზე, რა გადაწყვეტილებაც "მილანის" ხელმძღვანელობამ მიიღო?**

- დიდებული იდეაა. ფანტასტიკურია ასევე ისიც, რომ იტალიური კლუბი პირველია, ვინც ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო. სხვათა შორის, იტალიაში არის ტრადიცია, რომ კლუბებმა ყოველი მეათე სკუდეტო მაისურაზე ერთი ვარსკვლავით აღნიშნონ. ახლა, ამას მსოფლიო ჩემპიონის სიმბოლოც დაემატა. კარგია, როცა ხალხი შემოგვხედავს, დაინახავს ამ სიმბოლოს და იტყვის, რომ "მილანი" მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. მომავალ დეკემბრამდე ამ ტიტულს ვერავინ წაგვართმევს. მთავარია, ამ სეზონშიც მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგა, რათა დავიცვათ ეს ტიტული თუ სიმბოლო.

**- რაკი ეს სიმბოლო თქვენს იაპონურ თავგადასავალს გვაგონებს, იქნებ გაიხსენოთ კიდეც ის ამბები...**

- ამ ფორმატით ჩვენ პირველად ვმონაწილეობდით ტურნირში. უნდა ვთქვა, რომ ფიფას ნოვაციამ მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატს მეტი ეშხი შესძინა. რაც უფრო მეტი გუნდია, მეტია სანახაობაც. 2003 წელს მხოლოდ ერთი მატჩი ჩავატარეთ და წავაგეთ, ანუ ყველაფერი ძალიან მალე დასრულდა. ახლა, გუნდები ტურნირზე ადრე ჩადიან, ემზადებიან, უყურებენ პოტენციურ მეტოქეებს... შესაბამისად, ეს არის ფიფას მსოფლიო თასის ერთგვარი მოდელი. ამიტომაცაა საინტერესო.

**- თუ შეადარებთ "ურავასთან" ნახევარფინალს, "ბოკა ხუნიორსთან" წინააღმდეგ ჩატარებულ დასკვნით მატჩს, რომელი იყო ყველაზე ძნელი?**

- ორივე ძნელი იყო, მაგრამ ამავე დროს, სახალისოც. ჩვენ ვთამაშობდით ტურნირის მასპინძელთან, რომელიც "მილანის" წინააღმდეგ სათამაშოდ უდიდესი ენთუზიაზმით გამოვიდა. მერე იყო "ბოკა", რომელმაც ოთხი წლის წინ დაგვამარცხა. ეს ორი, სხვადასხვა ტიპის გამარჯვება იყო.

**- ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ახლაც თამაშობთ, თქვენი წვლილი და დამსახურება გადამწყვეტია. რაშია აქ ბედნიერების მუხტი?**

- საერთოდ, ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული მოტივაციაა. რა თქმა უნდა, ყველა მატჩისთვის ერთნაირი მონდომებით ვემზადებით, მაგრამ დიდი ფინალები ყოველთვის დამატებით ფსიქოლოგიურ სტიმულს იძლევა.

**- 2006 წლის მუნდიალი კარგად დაიწყეთ, მაგრამ მერე ტემპი დაკარგეთ. რა მოხდა?**

- ვცდილობდი, კარგად მოვმზადებულიყავი. ყოველ შემთხვევაში, მეთექვსმეტედფინალამდე ყველაფერი ნორმალურად იყო, მაგრამ განის ნაკრებთან მატჩის დროს ტრავმა მივიღე და მომდევნო შეხვედრამდე მხოლოდ სამი დღე მქონდა მის მოსარჩენად. არადა, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ უნდა მეთამაშა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი აზრით, ფიზიკური კონდიციების მხრივ საქმე გაცილებით უკეთ იყო.

**- ახლა, თვალი ოლიმპიადისკენ გიჭირავთ. რამ გიბიძგათ, რომ ბეიძინის თამაშებში მონაწილეობაზე დათანხმებულიყავით?**

- ოლიმპიადაზე ერთი მარტივი მიზეზის გამო მივდივარ: ბრაზილიის ნაკრებს ყველაფერი აქვს მოგებული, ოლიმპიური ოქროს გარდა. მოვიდა დრო, ეს ჯილდოც დავაგემოვნოთ და მჯერა, მასაც მოვიგებთ. მე მზად ვარ, ამაში ჩემი წვლილი შევიტანო. მაშინ, როცა ასაკი ისედაც მაძლევდა ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლებას, ბრაზილია საგზურის მოპოვებას ვერ ახერხებდა. ახლა ყველა პირობაა იმისთვის, რომ ოლიმპიური ტრიუმფიც ვიზეიმოთ.

**- ნაკრების ტექნიკურ შტაბთან უკვე შეთანხმდით ყველაფერზე?**

- მე ვუთხარი, რომ მზად ვარ, მეტი არაფერი. ბრაზილიის ნაკრებს ასაკგადაცილებული მოთამაშე ადრე არასოდეს გამოუყენებია. ამ კუთხით, ქვეყნის საფეხბურთო კონფედერაციის გადაწყვეტილება ჩემში მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს. მაგრამ აქ ერთი უხერხულობა შეიძლება იყოს. დარწმუნებული ვარ, "მილანი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვდება. ეს ეტაპი კი ოლიმპიადის დღეებს ემთხვევა. ამაშია საქმე... თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ბეიძინის თამაშებში მონაწილეობის პერსპექტივა ძალიანაც მხიბლავს.

**- ნაკრები ძალიან გიყვართ. ასე არ არის?**

- რა თქმა უნდა, ასეა. რაც უფრო დიდხანს ვითამაშებ ეროვნულ გუნდში, მით უკეთესი. ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო მასშტაბის ბრენდია. ამას ყველა აღიარებს და ჩემში, როგორც ბრაზილიელში, ეს უდიდეს სიამაყეს იწვევს. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ მე და ჩემს თანაგუნდელებს სამშობლოში თამაშის საშუალება ნაკლებად გვაქვს.

**- თქვენ თანამედროვე ბრაზილიური ფეხბურთის სიმბოლო ხართ, "მილანში" კი რონალდოსა და პატოსთან ერთად თამაშობთ. ერთი, დღევანდელი ისტორიაა, მეორე კი მომავალი. რას ფიქრობთ მათზე?**

- პატო მართლაც მომავალია, ის ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, განვითარების სტადიაშია. რონალდო კი უკვე დიდი ხანია, პირველია. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ბრაზილიურ ფეხბურთში პელეს შემდეგ სწორედ რონალდოა.

**- ჩემპიონთა ლიგა მსოფლიო საკლუბო მუნდიალის კარიბჭეა. რას ელოდები "არსენალთან" მერვედფინალური დაპირისპირებისგან?**

- მათი რამდენიმე მატჩი ვნახე. "არსენალი" სანახაობრივ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. ვიტყოდი, რომ დღესდღეობით ეს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ლონდონელებს ბევრი ახალგაზრდა ტალანტი ჰყავთ. მაგრამ აქვე, ერთსაც ვიტყოდი: ძლიერი კლუბების წინააღმდეგ თამაში "მილანის" სტიქიაა. ეს ყოველთვის კარგად გამოგვდის და ასე იქნება ახლაც.

**- აფრიკის ერთა თასის შეხვედრებს თუ ადევნებთ თვალყურს?**

- სამწუხაროდ, ბევრი მატჩი არ მინახავს, ამისთვის დრო ნაკლები მაქვს. მხოლოდ კვირას, ვიდრე "ფიორენტინასთან" ვითამაშებდით, განა-ნიგერიის შეხვედრის რაღაც ნაწილი ვნახე. აფრიკული ფეხბურთი ძალიან მომწონს. მათ მოთამაშეებს ისეთივე ტექნიკური მონაცემები აქვთ, როგორც ბრაზილიელებს. ერთადერთი, რაც მათ წარმატებების მიღწევაში უშლის ხელს, დაბალი კონცენტრაციაა... ასევე, შეიძლება ითქვას ტაქტიკურ სილარიბეზეც.

**- რას შეიძლება მიაღწიოს აფრიკულმა ფეხბურთმა? 2010 წელს მუნდიალი ხომ ამ ქვეყანაში ტარდება...**

- დააკვირდით, რა კარგად თამაშობენ აფრიკული გუნდები ოლიმპიადებსა თუ ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე. მშვენივრად მახსოვს ატლანტის ოლიმპიადა, როცა ნიგერიამ არგენტინა დაამარცხა. 20-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას განელებთან მომიწია დაპირისპირება. მათ დაგვამარცხეს და ტურნირიდან გამოგვთიშეს. ამ ასაკში, აფრიკელებს ფიზიკურად ძლიერი ნაკრებები ჰყავთ და ეს ქმნის სწორედ განსხვავებას. აქედანვე მოთხოვნა მათ ფეხბურთელებზეც. ეს ნიშნავს, რომ აფრიკული ფეხბურთი სწორ გზაზეა.

**- 2007 წელს, აბსოლუტურად ყველა დონეზე, ყველაფერი მოიგეთ. მართალია, რომ ამბობენ, თითქოს ფეხბურთელები ამ პრიზებს დიდ ყურადღებას არ აქცევენ?**

- არა, არანაირად! ინდივიდუალური ჯილდო ჩემთვის უდიდესი წარმატებაა. ეს ნიშნავს, რომ შენ უკვე ელიტური ფეხბურთელების კოჰორტაში ხარ, იმ ფეხბურთელების, რომლებმაც ისტორია შექმნეს.

**- როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება კაკას შემდეგ ის, რომელიც ერთ წელიწადში ყველა ჯილდოს მოიგებს?**

- საამისო პოტენციალი ლეო მესის აქვს. პატოც იმსახურებს ყურადღებას, თუმცა ცოტა უფრო შორეულ მომავალში. ის ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ მისი უსაზღვრო ტალანტი სახეზეა. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში, ფეხბურთელი, რომელიც ყველა ჯილდოს ერთ წელიწადში მოიგებს, ან ბრაზილიელი იქნება, ან არგენტინელი.

**- ფაბიო კაპელომ, რომელიც ახლა ინგლისის ნაკრების მწვრთნელია, თავისი ფეხბურთელებისთვის კანონები შეიმუშავა. რას ფიქრობთ ამაზე, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე?**

- თითოეული სიტუაცია ცალკე აღებული უნდა შევაფასოთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი ან მცირეა ნდობა მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის. მახსენდება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, როცა თითოეული მატჩის შემდეგ ერთდღიანი დასვენება გვქონდა და მაშინვე სამბას საცეკვაოდ გავრბოდით, უფლება გვქონდა, გვესარგებლა მობილური ტელეფონებით... და როგორც იცით, ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები გავხდით. აქ მთავარია პროფესიონალიზმი. უნდა იცოდე ზომა და ზღვარს არ უნდა გადააბიჯო. 2006 წელს განსხვავებული სიტუაცია იყო. მხოლოდ რაღაც განსაზღვრულ დროს შეგვეძლო სადმე გასეირნება... და შედეგი? მუნდიალზე წარუმატებლად გამოვედით. მაგრამ ეს ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მწვრთნელი ტყუოდა, ან მეორე მართალი იყო. მთავარია, მწვრთნელმა კარგად იცოდეს თითოეული შეგირდის ხასიათი და ამის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილებები. ეჭვი არ მეპარება, რომ კაპელოს კომპეტენცია მის წინაშე მდგომი ამოცანების ადეკვატურია. ანუ, მან იცის, რასაც აკეთებს.



კაკა მსოფლიო საკლუბო მუნდიალის მოგების შემდეგ



ანგელა მერკელი

კოტბუსი

## ანგელა და ენერგი

ბუნდესლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი კოტბუსის "ენერგი" მნიშვნელოვნად გაძლიერდა. არა, კოტბუსელებს მაღალი დონის ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, არ უყიდიათ, მათ გერმანიის ნომერ პირველი და ყველაზე ძლიერი ქალბატონი, ქვეყნის კანცლერი **ანგელა მერკელი** გადაიბირეს. 53 წლის ლიდერი "კოტბუსის" საპატიო წევრი გახდა. ეს ინფორმაცია გუშინ კოტბუსელთა პრეზიდენტმა **ულრიხ ლეპშმა** დაადასტურა, რითაც გუნდის ყველა ქომაგი ძალიან გაახარა. 16 თებერვალს ფრაუ მერკელი კოტბუსში ჩავა და წევრის რანგში ოფიციალურად გაფორმდება, რის შემდეგაც მოკრძალებული კლუბის ოფიციალურ მატჩს დაესწრება - ხსენებულ დღეს "ენერგი" საკუთარ "ფროინდშაფტზე" დორტმუნდის "ბორუსიას" მასპინძლობს.

რას მოუტანს "კოტბუსს" კანცლერის წევრობა და ქომაგობა? დღესდღეობით **ბოიან პრასნიკარის** გუნდი ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა. მერკელი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, რაც 2006 წლის მუნდიალზე გამოჩნდა, სადაც კანცლერს გერმანიის ნაკრების არცერთი მატჩი არ გამოუტოვებია. კოტბუსელები ამბობენ, ფრაუ მერკელს მუნდიალზე კარგი ფეხი ჰქონდა - გერმანია მესამე ადგილზე გავიდაო და დარწმუნებულები არიან, რომ ბუნდესკანცლერინს (რაკი ქალია კანცლერინ და არა კანცლერ) "კოტბუსისთვისაც" იღბლიანი ფეხი ექნება. აღსანიშნავია, რომ მერკელის წინამორბედი **გერჰარდ შრიოდერიც** "კოტბუსის" საპატიო წევრი გახლდათ, მაგრამ შრიოდერი "ენერგისთვის" იღბლიანი წევრი არ გამოდგა - იმ წელს გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა...

მწვრთნელი

## რეჰაგელი ავსტრიაში?

აი, ამბავი: დიდი შანსია, რომ **ოტო რეჰაგელი** ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს. ეს თემა ავსტრიისა და გერმანიის ნაკრებების ამხანაგური მატჩის დროს წამოტივტივდა და როგორც ირკვევა, "მეფე ოტოს" ავსტრიაში ხილვა რეალურია. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ავსტრიის ეროვნული გუნდის ამჟამინდელი თავკაცი **იოზეფ ჰიკერსბერგერი** პირადადაა დაინტერესებული იმით, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ის რეჰაგელმა შეცვალოს.

ჰიკერსბერგერი ოტოს ახლო მეგობარია - 70-იან წლებში ის რეჰაგელის ხელმძღვანელობით დიუსელდორფის "ფორტუნაში" თამაშობდა. როგორც ირკვევა, ავსტრიის საფეხბურთო კავშირმა ოტოსთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. ჰიპერსბერგერი ძალიან აქტიურობს, მისი თქმით, რეჰაგელი ავსტრიისთვის იდეალური ვარიანტი იქნება. გერმანული პრესა კი იტყობინება, რომ წინა კვირაში რეჰაგელი მეუღლე **ბეატესთან** ერთად ვენაში იმყოფებოდა. ჰიკერსბერგერის იდეაა ისიც, რომ რეჰაგელის თანაშემწედ **ანდრეას ჰერცოგი** დაინიშნოს, რომელიც "ვერდერში" სწორედ იმ დროს თამაშობდა, როცა ბრემენულ კლუბს "მეფე ოტო" წვრთნიდა. შეგახსენებთ, რომ რეჰაგელის კონტრაქტს ვადა ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გასდის.

*"ჯერჯერობით მხოლოდ საბერძნეთის ნაკრებზე ვფიქრობ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გუნდმა ტიტული შეინარჩუნოს. ვფიქრობ, ეს რეალურია. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კი დავსხდებით და ვილაპარაკებთ,"* - ეს თვითონ რეჰაგელის სიტყვებია. დიდი შანსია, რომ ექვსწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ოტოს საბერძნეთში დარჩენა აღარ უნდოდეს...

## ხელბურთი



სერგო დათუკაშვილი

ლეგიონერები

# დათუკაშვილმა ერთით გახსნა

ახალი სეზონი ერთი გოლით გახსნა საქართველოს ნაკრებისა და გერმანული "ლიუბეკეს" ხელბურთელმა **სერგო დათუკაშვილმა.** მართალია, მან 20 იანვარს, "ჩელენჯ ტროფის" ფინალში 10 გოლი შეაგდო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ წლის პირველ საკლუბო მატჩს ერთი ბურთით შეხვდა.

გერმანიის ჩემპიონატი 9 თებერვალს განახლდება, იქამდე კი ლიუბეკეელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს მეოთხეადგილოსან "ნორდჰორნთან". აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები პირველი წრის ბოლოს შეხვდნენ ერთმანეთს და დათუკაშვილის გუნდმა 31:30 მოიგო. ახლა .კი "ნორდჰორნმა", მართალია, არაოფიციალური მაგრამ რევანში აიღო - 31:26. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერგო ერთადერთ გოლს დასჯერდა.

შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შემდეგ, "ლიუბეკე" 18-გუნდიან ბუნდესლიგაში მე-17 ადგილზე იმყოფება და მისი მთავარი ამოცანა უძლიერესთა რიგებში ადგილის შენარჩუნებაა. ამიტომაც გუნდის ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს. ახლახან, მათ "მელზუნგენიდან" გადმოიყვანეს გამოცდილი ხელბურთელი - 36 წლის **პეტერ ჰაცლი,** რომელსაც სეზონის ბოლომდე გაუფორმეს კონტრაქტი. როგორც "ლიუბეკეს" ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, ჰაცლი საკმაოდ ძლიერი და კლასიანი მოთამაშეა, რომელსაც გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.



რეზო ჭანტურია

# ჭანტურიას მეორე ტიტული

წლის დასაწყისში, **რეზო ჭანტურიამ** საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, "ჩელენჯ ტროფის" ფინალი მოიგო. ახლახან, მან სეზონის პირველი საკლუბო ტიტულიც გაიფორმა. ჭანტურიას მაკედონიურმა "მეტალურგმა" სერბეთის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მოიგო. სამწუხაროდ, ტურნირის შესახებ დეტალური ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. "მეტალურგის" ვებ-გვერდიდან მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ფინალამდე, ჭანტურიამ სლოვენიურ "პივოვარნას" 2 გოლი გაუტანა, ფინალში კი "მეტალურგებმა" ბოსნიის "ბორაჩს" 23:21 მოუგეს.

მაკედონიის ჩემპიონატში კი პირველი წრის შემდეგ, "მეტალურგი" 5 ქულით უსწრებს უშუალო კონკურენტ "ვარდარს" და სერიოზული შანსი აქვს, რომ შარშან დაკარგული ჩემპიონობა დაიბრუნოს.

სხვა გუნდების მსგავსად, ზამთრის არდადეგებზე ჭანტურიას გუნდიც აძლიერებს შემადგენლობას. "მეტალურგმა" 2 ახალი ხელბურთელი დაიმატა - ბულგარელი **ვესელინ ჩაკმაკოვი** და სერბი მეკარე **სლავიშა სტოინოვიჩი.** სხვათა შორის, ჭანტურიას შარშან ჩაკმაკოვის წინააღმდეგ უთამაშია, როდესაც საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ბულგარეთს დაუპირისპირდა.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი

# მწვერვალის გამოწვევა...

რუსეთის დედაქალაქში მიმდინარე დიდ საჭადრაკო ფესტივალ - "მოსკვაოუფენზე", ხუთი ტური გაილია, რაც ტურნირის ნახევრის გავლას ნიშნავს. ასეთ დროს, მართალია გაცვეთილი ფრაზით, მაგრამ ფიგურალურად მაინც ამბობენ - შეჯიბრებამ და მონაწილეებმა ეკვატორი გადალახესო. ნახევარი გზის უკან მოტოვება ბევრისთვის ნახევარი საქმის გაკეთებას ნიშნავს, მაგრამ მთავარი მაინც ძლიერად "დაფინიშებაა" და ვისაც ბოლოსკენ ენერგია სხვებზე მეტად შერჩენია, გამარჯვებულიც ის ხდება.



ბადურ ჯობავა უკვე ლიდერია

მოსკოვში ხუთი ქართველი მოჭადრაკე თამაშობს: ოთხი ქალბატონი და ერთიც - მამაკაცი. ხუთივეს დიდი საჭადრაკო ამბიციები აქვს და ეს ტურნირიც ერთ-ერთი იმ საჯილდაო ქვათაგანია, სადაც ოსტატობის შეფასება-დაფასება ხდება. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ქართველები ფავორიტებად ინოდებიან და თუკი ხუთი ტურის შედეგებს გადავხედავთ, ყველა მათგანს შერჩენია უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი.

განსაკუთრებით წარმატებული იყო მეოთხე და მეხუთე ტურები ქართველი ქალებისთვის: **სალომე მელიამ,** რომელმაც მესამე ტურში ანა უშენინასთან წააგო, მომდევნო ორში გამარჯვება შეძლო და 4 ქულით ლიდერებში გაერია. აღვნიშნავთ, რომ 4,5 ქულით გუშინდლამდე კვარტეტი ლიდერობდა - **ანა უშენინა, ელენა ტაიროვა, ანა მუზიჩუკი** და **სვეტლანა ვასილკოვა;** 4 ქულიანი კი 12 მონაწილე იყო, მათ შორის - **სოფიო გვეტაძე** და **სალომე მელია.**

სამწუხაროდ, საკუთარ შესაძლებლობაზე თამაშობს **ლელა ჯავახიშვილი** - მას 3,5 ქულა აქვს და ეს მარაგი ჯერაც იძლევა საბოლოო წარმატების შანსს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლელამ ქულები არცთუ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში დაკარგა და თუ ღირსეულის მიღება უნდა, დარჩენილ ოთხ შეხვედრაში ბევრად უნდა გააუმჯობესოს თამაშის ხარისხი და მაქსიმალურად აიცილოს თავიდან ქულათა კარგვა...

მთლად საუკეთესოდ ვერც **ნაზი პაიკიძე** თამაშობს, მაგრამ 15 წლის ქართველისთვის ამ ეტაპზე მოგროვილ 3 ქულას ცუდ შედეგს ვერ ვუწოდებთ - მთავარია ტურნირის მეორე ნახევარი განვლოს წარმატებულად და თუკი ამდენივეს შემატებს საკუთარ ქულათა მარაგს, მშვენიერი იქნება...

მთავარ ტურნირში საქართველოს პირველი ნომერი მოჭადრაკე **ბადურ ჯობავა** თამაშობს და მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენთ. ბადურს გუშინდელი ტურის წინ 4 ქულა ჰქონდა და ხუთკაციან ჯგუფს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა. ერთ-ერთ მათგანს ბადური მეექვსე ტურში თეთრებით ხვდებოდა. მისი მეტოქე უკრაინელი **მიხაილო ოლექსიენკო** (2590) იყო. რახან ჩვენებურიც და უკრაინელიც ცხრილის ზედა ნაწილში არიან, მათი პარტია პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.

ამასთან ერთად, კიდევ 19 პარტიისათვის შეგვეძლო თვალის დევნება, სადაც ხუთ დაფაზე ქალთა დაპირისპირებას წარმოგვიდგენდნენ. საბედნიეროდ, მათ შორის მოხვდა **სალომე მელიას** პარტიაც, - მისი მეტოქე ამერიკელი **ირინა კრუში** გახლდათ. ამერიკელი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია - მეხუთე რეიტინგი აქვს (2473) და, ცხადია, ამ შეხვედრაშიც ფსონს მასზე უფრო ჩამოდოდნენ. თუმცა ირინამ უკვე ითამაშა გვეტაძესთან და მართალია შავებით, მაგრამ გამარჯვება ვერ შეძლო - ყაიმი. კრუშმა ვერც გუშინ შეძლო ქართველის დამარცხება, სალომემ შავებით მშვენივრად გაართვა თავი სირთულეებს და 30-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა მეტოქეს.

ჯობავამ კი თეთრებით, 61-ე სვლაზე დაამარცხა ოლექსიენკო და ლიდერებს დაეწია. იგი 5 ქულით, რამდენიმე სხვა მოჭადრაკესთან ერთად ლიდერობს.

**ზვიად შათირიშვილი**

# ჟენევიდან ოქროს მედლებით

შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში **ოლეგ ტაკტაროვის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა სამბოში, რომელშიც 25 ქვეყნის ფალავნები მონაწილეობდნენ. საქართველოდან იასპარეზეს ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ვეტერან სამბისტთა შორის **თეიმურაზ გიორგაძემ,** 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა ახალგაზრდათა შორის **ბექა იმერლიშვილმა.**

68 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს მედალს დაეუფლა ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი **თეიმურაზ გიორგაძე,** ხოლო 74 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში - **ბექა იმერლიშვილი.**

*"ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მონაწილეთა ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ორთაბრძოლები საინტერესოდ ჩატარდა. ტურნირის საუკეთესო მსაჯად დასახელდა ვეტერანთა შორის მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი ოთარ ყურაშვილი"* - გვითხრა თ. გიორგაძემ.

**დურმიშხან ხარშილაძე**





ხვალ ანთიმოზ ივერიელის თასი გვექნება დასაცავი

# მეტოქე უკვე თბილისშია

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, რუმინეთის ეროვნული გუნდი თბილისში გამთენიისას ჩამოვიდა. მუხის ფოთლების ზელანდიელმა მწვრთნელმა **ელის მიქენმა** ბორჯღალოსნებთან საპაექროდ საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობა ჩამოიყვანა.

ოცდაორი მორაგბიდან, ვინც შაბათს საქართველოს ნაკრებს ანთიმოზ ივერიელის თასისთვის დაუპირისპირდება, რუმინეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო თასზე მხოლოდ ექვსი თამაშობდა: ოთხი უკანახაზელი - **ფლორინ ვლაიკუ, ჩაბა გალი, კატალინ დასკალუ, კატალინ ფერკუ** და ორიც შერკინების მოთამაშე - **კოსტიცა მერსოიუ** და **იონ პაულიცა**. ზელანდიელმა თან არ იახლა საფრანგეთიდან სპეციალურად საქართველოსთან სათამაშოდ დაბრუნებული პირველხაზელი **მარიუს ტინკუ**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**რუმინეთის ნაკრები:**

(15-9) **ფლორინ ვლაიკუ** (სტიაუა, 14კ), **გეორგიტა ბიჯუ** (დინამო, 1კ), **ჩაბა გალი** (კლუჟი, 14კ), **კატალინ დასკალუ** (სტიაუა, 12კ), **სტეფან ჩუნტუ** (კლუჟი, 3კ), **დან ვლადი** (სტიაუა, 10კ), **ვალენტინ კალაფეტიანუ** (დინამო, 14კ); (1-8) **რადუ ბასალაუ** (სტიაუა, 1კ), **ბოგდან ზებეგა** (სტიაუა, 18კ), **იონ პაულიცა** (ბასი, 23კ), **ვალენტინ პოპარლანი** (დინამო, 1კ), **ალინ კოსტე** (ნარბონი, 1კ), **მიჰაი მაკოვეი** (ბაია მარი, 5კ), **სტელიან ბურჩა** (დინამო, 6კ), **კოსტიცა მერსოიუ** (კაპ, სტიაუა, 30კ); (16-22) **მარსელ მიჰალაკე** (სტიაუა, 1კ), **მიჰაი ადასკალიტეი** (დინამო, 1კ), **ვასილი რუსი** (სტიაუა, 2კ), **დანიელ კარპო** (ფარული, 0კ), **ჩიპრიან კაპლესკუ** (დინამო, 4კ), **კატალინ ფერკუ** (სტიაუა, 19კ), **მარინ ალექსანდრუ** (დინამო, 1კ).





ანა ტატიშვილი

# ტატიშვილი მარცხით იწყებს

საქართველოს მეორე ჩოგანმა, 18 წლის **ანა ტატიშვილმაც** დაიწყო ახალი საჩოგბურთო სეზონი. სამწუხაროდ, სტარტი მარცხიანი გამოდგა - ანა პირველივე წრიდან დაემშვიდობა მიდლენდის საერთაშორისო ტურნირ "ტენის კლასიკს", რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. ტურნირი ჰარდის საფარზე დარბაზში იმართება. ანა, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში 285-ე პოზიციაზეა, პირველ წრეში მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ **სანდრა კლოზელს** ხვდებოდა. 28 წლის გერმანელი მსოფლიოს 122-ე ჩოგანია. ტატიშვილი პირველ სეტში გაუძალიანდა მეტოქეს, თუმცა მას ვერაფერი დააკლო - 4:6, 2:6.

**ნ. ნ.**

# სიხარულიძის აზიური ტურნე

17 წლის **სერგი სიხარულიძე** ITF-ის ახალგაზრდულ, 18-წლამდელთა ასპარეზზე პირველად შარშან გამოჩნდა, როდესაც "ბაბოლატის თასის" გათამაშებაში თბილისში, ყველასთვის მოულოდნელად, ნახევარფინალში გაალწია. ივლისის მერე მას არსად უთამაშია, წლეულს კი მან აზიური ტურნე დაიწყო. სიხარულიძემ სამ ინდურ ტურნირში სცადა ძირითად ბადეში გაღწევა, თუმცა წარუმატებლად. ამას მოყვა ბანგლადეშის მე-4 კატეგორიის ტურნირი, სადაც ქართველმა არამარტო ძირითად ბადეში გასვლა შეძლო, არამედ იქ მესამე წრემდეც მიაღწია. სერგი სიხარულიძე კვლავ ბანგლადეშში იყო, სადაც რაჯშაშის საერთაშორისო ტურნირში (მე-3 კატეგორია) იღებდა მონაწილეობას. საკვალიფიკაციო ბადეში მან ორი წრე წარმატებით გაიარა, ფინალში კი ჰონკონგელ **ჩინ იენ ჰოსთან** დამარცხდა - 4:6, 6:0, 4:6. თუმცა მას გაუმართლა და ძირითად ბადეში "იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით მოხვდა. პირველ წრეში სიხარულიძემ კორეელ **იონ-ლუნ ლის** მოუგო - 6:4, 6:4. მეორეში ქართველი მე-4 ნომრად განთესილ **ანტონიო ლოს სანტოსთან** დამარცხდა - 2:6, 3:6 და რაჯშაშის ტურნირს დაემშვიდობა.

**ნ. ნ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზის მსოფლიო სუპერთასი

# ზვიადაური-ცირეკიძე პარიზში გაგრძელდება

ამ დილით, გამთენიისას, ქართველ ძიუდოისტთა ნაკრები პარიზში გაფრინდა, სადაც შაბათ-კვირას მსოფლიოს სუპერთასზე იჭიდავებს. შემადგენლობა ასეთია: **ბეთქილ შუკვანი** (60), **ნესტორ ხერგიანი** (66), **ზაზა კედელაშვილი** და **დავით კუპრაშვილი** (73), **გრიგოლ შინჯიკაშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** და **ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ყორყოლიანი** და **ლევან რაზმაძე** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** და **ადამ ოქრუაშვილი** (+100). პარიზში **დავით ქევხიშვილი** (73) და **ვალერი ლიპარტელიანიც** (90) მიდიან, მაგრამ - მხოლოდ ერთობლივ ვარჯიშებზე დასასწრებად, ტურნირში კი არ იჭიდავებენ.

პარიზის ტურნირის მნიშვნელობასა და სიძლიერეზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან არ გვეგულება ქომაგი, რომელსაც ამისი ახსნა სჭირდებოდეს. თანაც, არაერთხელ დაგვიწერია. სწორედ ტურნირის სიძლიერის გამო წაიყვანა ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** იქ უძლიერესი შემადგენლობა. მართალია, მწვრთნელს 81-ში ლიცენზიაც ადარდებს, მაგრამ, ვფიქრობ, მისთვის მთავარ დილემად მაინც 90 კილოგრამში შექმნილი უმწვავესი კონკურენცია რჩება, სადაც ოლიმპიური გუნდის წევრი მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონს შორის უნდა აარჩიოს. ამიტომაც მიჰყავს ორივე ლიდერი და არაა გამორიცხული, ეს დავა მნიშვნელოვანწილად პარიზშივე გადაწყდეს. არანაკლებ საყურადღებოა ჩვენი სხვა ლიდერების გამოსვლებიც. როგორც ვხედავთ, მწვრთნელი ხერგიანს და კედელაშვილს წონას არ აკლებინებს და ისინი ზედა წონებში იჭიდავებენ.

ბუნებრივია, მშობლიურ ტურნირზე მასპინძლები უძლიერესი შემადგენლობით იჭიდავებენ. მოგეხსენებათ, მათ წონაში ოთხი კაცის დაყენება შეუძლიათ: **ჟერემი კადო-დუკი, სირილ სოიერი, ჟერომ გუოტი** და **დმიტრი დრაგინი** (60), **ბენჟამენ დარბელე, სებასტიან ბერტოლოტი, დავიდ ლაროსე** და **ჟერემი ენდრიუ** (66), **დანიელ ფერნანდესი, მიქაელ რემილიენი, ჟილ ბონომი** და **ნიკოლას მუსარდი** (73), **ანტონი ფრიჩი, ალექსანდრ ლომე, ბენჟამინ რუ** და **ალან შმიტი** (81), **ნიკოლა ბრისონი, ვინსენტ მასიმინო, ფრედერიკ შტიგელმანი** და **ერვ ფიშო** (90), **ფრედერიკ დემონფოკო, ტიერი ფაბრი, კრისტოფ იუმბერი** და **იან-დომინიკ ვანბევერი** (100), **ტედი რინერი, პიერ რობენი, ადრიან პენი** და **ჟან-სებასტიან ბონვუაზენი** (+100).

ტიტულოვანთაგან ფრანგებს მხოლოდ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ანტონი როდრიგესი** (81) აკლიათ - მას საგზურის პრობლემა არ აწუხებს და ჩანს, ოლიმპიადისთვის საგანგებო გრაფიკით ემზადება. სხვათა შორის, მას არც საფრანგეთის ჩემპიონატში უჭიდავია, როგორც დრაგინს, დემონფოკოს, ფერნანდესს, დარბელესა და ბერტოლოტის. რინერმა იჭიდავა და ფინალში წმინდად დაამარცხა რობენი. ამაში გასაკვირი არაფერია - რინერი ნამდვილი ტალანტია, მაგრამ აი, 60-ის ფინალში ევროპის ჩემპიონ სოიერის ასევე სუფთა წაგება გუოტისთან კი ნამდვილად გასაკვირია.

აქვე შეგვიძლია იაპონელთა შემადგენლობაც შემოგთავაზოთ: **ჰიროაკი ჰიროაკა** (60), **მასატო უჩიშიბა** (66), **მასაჰიკო ოცუკა** (73), **ტაკაში ონო** (81), **ჰიროში იზუმი** (90), **ტაკამასა ანაი** (100) და **კოსეი ინუე** (+100). თუმცა ეს წინასწარი შემადგენლობაა და არაა გამორიცხული, ოლიმპიური ჩემპიონი **მასატო უჩიშიბა** თბილისის ტურნირზე წარუმატებლობის გამო შეცვალონ.

**ირაკლი თავაძე**



თბილისის ტურნირზე ზვიადაურმა დაამარცხა ცირეკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვითა-თსუ

საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. მე-15 ტური

# ენერჯიმ ენერგია მოიკრიბა

**7 თებერვალი. ვერის პარკი**

**დინამო–მაკაბი 77:75**

23:20, 11:29, 22:12, 21:14

დინამო: გულისაბედაშვილი (16 ქ. 4 პ), ნანიტაშვილი, ჟღენტი (29 ქ. 3 პ. 3 ჩ), ლაფანაშვილი (4 ქ), კუჭავა, სიგუა (1 ქ. 3 პ), მაისურაძე (5 ქ. 9 მ), ათანელიშვილი (8 ქ. 9 მ), ახალკაცი (14 ქ. 13 მ)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (21 ქ. 3 პ), სორდია (3 ქ), გ. შერმადინი (26 ქ. 19 მ), ვაშაკიძე (5 ქ. 6 მ), კორკოტაძე (8 ქ), კოლუაშვილი (8 ქ. 10 მ. 4 პ), ს. შერმადინი (4 ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

**ავიამშენი–ენერჯი 71:77**

18:39, 20:11, 24:9, 9:18

ავიამშენი: ხოშტარია (12 ქ), ნიკოლაძე (25 ქ. 5 პ), კვიმსაძე, ტულუში (14 ქ. 5 პ. 3 ჩ), იმნაძე (9 ქ. 7 მ. 3 პ), მათიაშვილი (9 ქ. 7 მ. 4 დ), მინაშვილი (2 ქ. 6 მ), სუხიშვილი

ენერჯი: ბაბიაშვილი (12 ქ), სტეფანოვი (10 ქ. 9 მ), ბოისა (14 ქ. 12 მ. 4 პ), დიდია (2 ქ), ლეჟავა (16 ქ. 7 პ), ლიპარტელიანი (3 ქ), გოგობერიშვილი (2 ქ), ტუჯანი (4 ქ), ჩიტაშვილი (14 ქ. 8 პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

**ვითა–თსუ 81:91**

27:25, 17:36, 9:22, 28:8

ვითა: ძიძიგური, ნ. ნოზაძე (2 ქ), ბეჟანიშვილი (10 ქ, 6 მ), მ. ბერიშვილი (8 ქ, 4 მ), მარკოიშვილი (5 ქ, 3 პ), მარხვაშვილი (9 ქ, 7 მ), ბერძენიშვილი (14 ქ), წივწივაძე (9 ქ, 6 მ, 8 პ), გვიმრაძე (16 ქ), გასიტაშვილი, ლ. ნოზაძე (8 ქ, 4 მ)

თსუ: არწივიძე (4 მ), ფანჩულიძე (4 ქ, 5 პ), დ. ბერიშვილი (17 ქ, 5 პ, 4 ჩ), ბარბაქაძე (28 ქ, 9 მ, 7 პ), კოხრეიძე (3 ქ), ყველაშვილი (8 ქ, 9 მ), კეიდია (7 ქ, 3 პ), ხეცურიანი (15 ქ, 4 პ, 4 ჩ) ტყეშელაშვილი (8 ქ, 5 მ), ბ. ნოზაძე (1)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 15 | 13 | 2 | 28 |
| 2. თსუ | 15 | 10 | 5 | 25 |
| 3. ავიამშენი | 15 | 7 | 8 | 22 |
| 4. დინამო | 15 | 6 | 9 | 21 |
| 5. ვითა | 15 | 5 | 10 | 20 |
| 6. მაკაბი | 15 | 4 | 11 | 19 |

რუსთავის "ენერჯიმ" "მაკაბისთან" და თსუ-სთან წაგებების შემდეგ დაკარგული პრესტიჟი "ავიამშენთან" მე-15 ტურის მატჩში აღიდგინა. ლიდერის, **ლაშა გამყრელიძის** გარეშე მოასპარეზე ქვემოქართლელებმა **ლევან მოსეშვილის** გუნდს მწყობრი თამაში შესთავაზეს, თავადაც დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ერთ-ერთი მთავარი ფავორიტები არიან, ხოლო "ავიას" მიანიშნეს, ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა გუნდმა შემადგენლობის შესაფერისი თამაში უჩვენოს.

ვინც მეოთხედების ანგარიშებს გადახედა, თვალში ეცემოდა ორივე გუნდის მხრიდან ალმავლობა-ჩავარდნები. მესამე პერიოდში რუსთაველები პირწმინდად დამარცხდნენ (9:24) და საბოლოო გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. თუმცა, ბოლო მეოთხედში "ენერჯიმ" ენერგია მოიკრიბა, დათვაში მჭიდროდ დადგა და 5-წუთიანი მონაკვეთი 10:2 მოიგო. დავით უსტიაშვილის შეგირდებმა ესეც არ იკმარეს და მომდევნო ორწუთეულში 7:0 სპურტი მოაწყვეს, რის შემდეგ 71:64 დაწინაურდნენ და საბოლოო გამარჯვება ხელიდან არ გაუშვიათ.

ტურის საუკეთესო კალათბურთელად რუსთაველი **ანატოლი ბოისა** დასახელდა, რომელმაც 14 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

"დინამო"-"მაკაბის" დაპირისპირებაში ტრადიციულად თანაბარი ბრძოლა ვიხილეთ. დინამოელი მეფარეები **გულივერ ახალკაცი, დავით მაისურაძე** და **რეზო ათანელიშვილი** "მაკაბის" ცენტრ **გიორგი შერმადინს** კარგად მეურვეობდნენ, ხოლო უკანა ხაზში **არჩილ ჟღენტმა ჯამლეტ ხუხაშვილის** გუნდის კალათს მასალები კარგად მოარგო, 29 ქულა ჩააგდო და "დინამოს" მე-6 მატჩი მოაგებინა.

როგორც სჩვევია ხოლმე, "ვითამ" პირველი პერიოდი მაღალ დონეზე ჩაატარა, შემდეგ ოცწუთიან მონაკვეთში კიუპირატესობა მეტოქეს გადაულოცა და 30-ქულიანი დეფიციტით შეეგება დასკვნით მეოთხედს. ბოლო 10 წუთში, თსუ მოეშვა, დიდად აღარ გამოუდვია თავი და მეტოქეს ათი ქულით დაწევის საშუალება მისცა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ქორები ფლეი ოფისკენ მიფრინავენ

ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოქსმა" ხუთმატჩიანი გასვლითი სერიის შემდეგ შინ მესამე შეხვედრა ჩაატარა და მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ჯორჯიელებმა დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბი "ლეიკერსი" დაამარცხეს - 98:95.

ლოს ანჯელესელები ახლოს იყვნენ სეზონის 32-ე გამარჯვებასთან, სამი პერიოდის შემდეგ 76:68-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლო მეოთხედში მასპინძლებმა შეტევაში თამაში გააუმჯობესეს და 30:19 იმარჯვეს.

მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** ზაზა ფაჩულიას ამჯერად არ ენდო - მხოლოდ 8 წუთი ათამაშა. ქართველმა ცენტრმა ორი ორქულიანი ააცილა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა.

"ჰოქსის" წარმატებას ორი შემოქმედი ჰყავდა - სნაიპერი **ჯო ჯონსონი,** რომელმაც 28 ქულა ჩააგდო და ზაზას უშუალო კონკურენტი **ელ ჰორფორდი.** მის ანგარიშზე 20 მოხსნა და 15 ქულაა. "ლეიკერსის" რიგებში ითამაშა გუნდის ესპანელმა ახალწვეულმა **პაუ გასოლმა,** თუმცა თავი ბევრით არ გამოუჩენია - 12 ქულა, 7 მოხსნა. ლოს ანჯელესთა ვარსკვლავმა **კობი ბრაიანტმა** დამაგვირგვინებელ ფაზაში რომ არაფერი გამოუვიდა, თანაგუნდელთა დახმარებას მიჰყო ხელი - 10 პასი და 11 ქულა მიითვალა.

"ლეიკერსის" ძლევით "ატლანტა ჰოქსმა" სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. ჯორჯიელებს 45 მატჩიდან 21 აქვთ მოგებული და სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მესამე ადგილზე არიან ("ორლანდოსა" და "ვაშინგტონს" ჩამორჩებიან). ასე თუ გააგრძელეს, წელს ფლეი ოფში აუცილებლად ითამაშებენ.

"ჰოქსი" მომდავნო მატჩს კვლავ შინ, 8 თებერვალს "კლივლენდთან" გამართავს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**



ფაჩულია წინა, ფილადელფიასთან შეხვედრაში






## თარიღი

**შანიძე დიმიტრი (დიტო).** დაიბადა 08.02.1937, დერჩი, წყალტუბო. ძალოსნობა (60 კგ). 1968 წლს მეხიკოსა და 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონი (1973) და მეორე პრიზიორი (1974). მსოფლიოს ჩემპიონატში აკვრაში მოიგო მცირე ოქროს მედალი (1969). ევროპის ჩემპიონი (1972) და ოთხგზის მეორე პრიზიორი (1968, 69, 71, 74). ევროპის ჩემპიონატებში მოგებული აქვს სამი მცირე ოქროს მედალი (1972 - ატაცსა და აკვრაში, 1973 - აკვრაში). სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1969-74) და ორგზის მეორე პორიზიორი (1968, 75). დამყარებული აქვს მსოფლიოს სამი რეკორდი: ორი აკვრაში - 153,5 კგ (1971), 156,0 კგ (1972) და ერთი სამჭიდში - 402,5 კგ (1972). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

"ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს და საკალათბურთო კლუბ "მაკაბის" მთავარ მწვრთნელს ჯამლეტ ხუხაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

# პოლიტიკა საჭადრაკო დაფაზე, თუ ჭადრაკი პოლიტიკაში?

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ხალხმა არაფერი იცოდა, თუ რა ხდებოდა კულისებს მიღმა და "რკინის ფარდებს" იქით, რადგან ყველაფერი გასაიდუმლოებული და დაფარული იყო. საბჭოური სისტემის საინფორმაციო საშუალებები - პრესა, რადიო და ტელევიზია მუდმივად და სისტემატურად შთააგონებდა, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან გამიჯნული არიან, რომ სპორტი პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალია, რომ ის დამოუკიდებელია და ა.შ. სინამდვილეში კი, სპორტი და პოლიტიკა ყოველთვის განუყოფელი იყვნენ და ერთმანეთში ასოცირდებოდნენ.

ამ წერილში გვინდა მოვიყვანოთ იმჟამინდელი ჭადრაკის ისტორიიდან ზოგიერთი პერიპეტიები და ფაქტები, თუ რა გავლენას ახდენდა პოლიტიკა ჭადრაკზე...

ფრანგულ საჭადრაკო ლექსიკონში მოყვანილია ინფორმაცია, რომ 1937 წელს **სტალინი** თითქოსდა საჭადრაკო დაფასთან **ეჟოვს** შეხვდა, რომ გათამაშდა კლასიკური სიცილიური დაცვა, რომ შავი ფიგურებით მოთამაშე ეჟოვი 37-ე სვლაზე სტალინს დანებდა და 1937 წელს ეჟოვი დახვრიტეს.

ყოველივე ზემოთქმული მტკნარი სიცრუეა და სიმართლეს არ შეესაბამება. არადა, 1937-1938 წლებში ჩატარებული რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და შემსრულებელი, ე.წ. "ეჟოვშჩინას" ფუძემდებელი, ნიკოლოზ ეჟოვი 1938 წლის მინურულს თანამდებობიდან გაათავისუფლეს და საკავშირო წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად დანიშნეს, ხოლო 1940 წელს დახვრიტეს...

1936 წელს ნოტინჰემში გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ **ალიოხინი, ეივე, ლასკერი, კაპაბლანკა** და ახალგაზრდა **მიხეილ ბოტვინიკი**. ტურნირში პირველი-მეორე ადგილები ბოტვინიკმა და კაპაბლანკამ გაიყვეს.

იმ დროს მოქმედი წესიდან გამომდინარე, ბოტვინიკმა თავისი გამარჯვება ნოტინჰემიდან სტალინს უპატაკა. პასუხად იგი "საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო მოსკოვის გაზეთმა "პრავდამ" გამოაქვეყნა სტატია - "საბჭოთა მოჭადრაკეები", სადაც ბოტვინიკს ხოტბას ასხამდა.

1938 წელს, როდესაც ბოტვინიკი თავისი გამარჯვებების ზენიტში იყო და მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთ ძირითად პრეტენდენტად ითვლებოდა, მან მატჩში გამოიწვია იმჟამინდელი მსოფლიოს ჩემპიონი ალიოხინი. ყველასთვის მოულოდნელად და განსაცვიფრებლად ალიოხინმა სურვილი გამოთქვა მატჩის მოსკოვში გამართვაზე, მხოლოდ იმ პირობით, თუ საბჭოთა კავშირი მატჩში გამარჯვებულისთვის დააწესებდა 10 ათასი დოლარის საპრიზო ფონდს. ალიოხინსა და ბოტვინიკს შორის მოლაპარაკებებისას შუამავლის როლს **სალო ფლორი** ასრულებდა. იმის გამო, რომ ალიოხინი რუსეთიდან ემიგრაციაში იყო წასული და ის ინგლისში ცხოვრობდა, მას თეთრემიგრანტად თვლიდნენ, ბოტვინიკმა საბჭოთა მთავრობას თხოვნა-წერილი გაუგზავნა, რომ მისთვის ნება დაერთოთ მატჩის გამართვის თაობაზე. ბოტვინიკმა თავის წერილზე შემდეგი შინაარსის პასუხი მიიღო: "თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით სრული მხარდაჭერით", რომელსაც ხელს აწერდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვიაჩესლავ მოლოტოვი**. სამწუხაროდ, 1939 წელს დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა დაგეგმილი მატჩის ჩატარებას ხელი შეუშალა. 1946 წელს მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელდა, მაგრამ სულ მალე ალიოხინი უეცრად გარდაიცვალა და მსოფლიოს საჭადრაკო ტახტი მფლობელის გარეშე დარჩა.

გავიდა ორი წელიწადი და 1948 წელს მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინის მოსაპოვებლად ჰოლანდიაში, სახელდობრ კი ჰააგაში, გაიმართა მატჩ-ტურნირი **ეივეს, რეშევსკის, ბოტვინიკის, სმისლოვისა** და **კერესის** მონაწილეობით. თავიდან პაულ კერესი დაწინაურდა, შემდგომში კი ლიდერობა ხელთ იგდო მიხეილ ბოტვინიკმა. მას მთელი ტურნირის მიმდინარეობისას ფეხდაფეხ მისდევდა კერესი. მაგრამ მოხდა ისე, რომ კერესმა გადამწყვეტ ფაზაში სამუელ რეშევსკისთან წააგო. ბოტვინიკმა ამერიკელ რეშევსკის მიულოცა კერესზე გამარჯვება, რაც საბაბი გახდა იმისთვის, რომ იმჟამინდელი საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, გადამდგარ გენერალს, **აპოლონოვს** შემდეგი სიტყვებით დაემოძღვრა ბოტვინიკი: "როგორ, თქვენ, კომუნისტმა მიულოცეთ ამერიკელს საბჭოთა მოჭადრაკესთან მოგება? და ეს იმ დროს, როდესაც მიმდინარეობს ბრძოლა დასავლეთისადმი მლიქვნელობის საწინააღმდეგოდ". ბოტვინიკის პასუხი ლაკონური იყო: "ბოდიშს გიხდით, მაგრამ მე შემდეგი პარტიის სათამაშოდ უნდა მოვემზადო". მას სტალინის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და სხვების არ ეშინოდა.



რობერტ ფიშერი

ასე იყო თუ ისე, 1948 წელს მიხეილ ბოტვინიკმა პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. სხვადასხვა დროს, ის კიდევ სამჯერ გახდა ჩემპიონი. იყო დრო, როდესაც საჭადრაკო გვირგვინს ერთმანეთს ეცილებოდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები - მიხეილ ბოტვინიკი, ვასილ სმისლოვი, **მიხეილ ტალი, ტიგრან პეტროსიანი** და **ბორის სპასკი**. მაგრამ გავიდა ხანი და უეცრად საჭადრაკო ჰორიზონტზე გამოჩნდა ახალგაზრდა ამერიკელი მოჭადრაკე **რობერტ ფიშერი**.

პირველი, ვინც ფიშერისგან დაზარალდა იყო **მარკ ტაიმანოვი**, რომელმაც მასთან მატჩი გამანადგურებელი ანგარიშით - 0:6 წააგო! სწორედ ეს გახდა საბაბი, რომ საკავშირო სპორტკომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარის **პავლოვის** განკარგულებით ტაიმანოვს ჩამოართვეს "სპორტის დამსახურებული ოსტატის" წოდება. ალბათ, "საერთაშორისო დიდოსტატის" წოდებასაც ჩამოართმევდნენ ეს ფიდეს პრეროგატივა რომ არ ყოფილიყო.

შემდეგ ტიგრან პეტროსიანის ჯერიც დადგა. გვახსენდება იმჟამინდელი პრესა, თუ როგორ აღწერდა პეტროსიანისჩაფრენას ბუენოს-აირესში და მასთან შესახვედრად არგენტინაში მცხოვრები ათი ათასობით სომეხის მისვლას, მათ მისალმებას- "ვივა პეტროსიან!"და მოწოდებას, რომ მასფიშერთან გამარჯვება მოეპოვებინა.

დაიწყო ფიშერ-პეტროსიანის მატჩი და მეხუთე პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმო - 2.5:2.5 იყო, მაგრამ შემდგომში ფიშერმა ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო და მატჩი მათ შორის რობერტ ფიშერის გამარჯვებით 6.5:2.5 დამთავრდა.

პეტროსიანის ცოლი ტიგრანის წაგებებს იმას აბრალებდა, რომ მის მეუღლეს საჭმელში თითქოსდა რაღაც-რაღაცეებს უყრიდნენ და ეს მასზე უარყოფითად მოქმედებდა, განსაკუთრებით მის ფსიქიკაზე და ამიტომ მას უმალვე გამოუცვალეს რესტორანი, მაგრამ არც ამან უშველა...

როდესაც ბორის სპასკიმ რეიკიავიკში გამართულ ფინალურ მატჩში ფიშერთან წააგო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაკარგა, საკითხი სსრკ ცკ-ს პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს, სადაც მკაცრ ტონებში მოითხოვდნენ, რომ რაც შეიძლება მალე დაებრუნებინათ დაკარგული საჭადრაკო გვირგვინი. აქვე შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად ფიშერს რეიკიავიკში თამაში არ უნდოდა, მაგრამ მატჩის გამართვის აუცილებლობაში იგი დააჯერა აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა **ჰენრიხ კისინჯერმა**, რომ მისი უარი პოლიტიკურ სკანდალს გამოიწვევდა...

მთელი მსოფლიო ელოდა **ფიშერ-კარპოვის** მატჩს, რომელიც ფილიპინებში უნდა გამართულიყო, მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტმა ყველაფერი გააკეთა, რომ მათი შეხვედრა აშ შემდგარიყო, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონობას ფიშერი შეინარჩუნებდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელმა ფილიპინების პრეზიდენტმა **მარკოსმა ბრეჟნევს** თხოვნა-წერილით მიმართა, საქმეს მაინც ვერ ეშველა. ასე რომ, ფიშერმა უბრძოლველად შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობის ტიტული...

ჭადრაკს და, საერთოდ, სპორტის სხვა სახეობებს გულდასმით და ყურადღებით აკვირდებოდნენ სკკპ ცკ-ს და საკავშირო კომიტეტის ცკ-ს პროპაგანდის განყოფილებები, აგრეთვე საკავშირო სუკის იდეოლოგიური სამმართველო.

როდესაც **ვიქტორ კორჩნოიმ** ვეღარგაუძლო საბჭოური სისტემის ზეწოლას და ფსიქოლოგიკურ ზემოქმედებას, ის მორიგ საერთაშორისო ტურნირზე წასვლის შემდეგ შვეიცარიაში დარჩა, პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა და მიიღო შვეიცარიის მოქალაქეობა.

ვ. კორჩნოი გაქცევის ძირითად მიზეზად თვლიდა, რომ მის საზღვარგარეთ ყოველ გამგზავრებას საერთაშორისო ტურნირებზე თან სდევდა "სუკის საცერში" გატარება, რომ მას უწყობდნენ დაკითხვებს, აკვირდებოდნენ და აანალიზებდნენ მის ყოველ მოქმედებას.

საბჭოთა კავშირიდან გაქცევის შემდეგ საკავშირო სპორტკომიტეტმა და საჭადრაკო ფედერაციამ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება: "საბჭოთა სპორტსმენის შეუფერებელი საქციელისთვის, კორჩნოი დისკვალიფიცირებული იქნეს და მას ჩამოერთვას საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, დიდოსტატის და სპორტის ოსტატის წოდებები". ასეთი მკაცრი განაჩენის მიუხედავად, მის კვალს მიჰყვნენ მოჭადრაკეები **ივანოვი** და **ალბურტი**. დიდოსტატმა **გულკომ** შვიდი წელი იჯახირა აშშ-ში გადასაბარგებლად. თანდათანობით საბჭოთა კავშირს ბევრი გაწერიდა. მათ შორის აღმოჩნდა ჩვენი დიდოსტატი **რომან ჯინჯიხაშვილი**. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გასული საუკუნის90-იანი წლების ბოლოს აშშ-ის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი მთლიანად დაკომპლექტებული იყო ყოფილი საბჭოთა დიდოსტატებით, აკი მას №2 "საბჭოთა გუნდს" უწოდებდნენ. საერთოდ, თითქმის 150 მოჭადრაკე ქალი და მამაკაცია წასული საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც მათ სპორტულ საქმიანობას ფართო გასაქანი მისცეს, ისინი თამაშობდნენ თავისუფლად, ყოველგვარი ზემოქმედების, შიშის და რისკის გარეშე...

გვახსენდება 60-იან წლებში თბილისში გამართული საკავშირო პირველობა ჭადრაკში. ვიქტორ კორჩნოი ჭადრაკისგან თავისუფალ დროს თბილისის ოფიცერთა სახლის სარდაფში არსებულ საბილიარდოში ატარებდა. სხვათა შორის, ის ბილიარდს საუცხოოდ თამაშობდა.

მაშინ ხმა დაირხა, რომ **მიხეილ ტალის** რიგელმა გულშემატკივრებმა ვიქტორ კორჩნოის ორმეტრიანი სიგრძის კია გამოუგზავნეს, წარწერით - "შენი საქმე მხოლოდ ბილიარდის თამაშია". მეორე დღეს კორჩნოიმ არ "დაინდო" ტალი და მოუგო. ამ წაგების შემდეგ ტალმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა დაკარგა. არადა, მანამდე ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობდა. ასეთი იყო კორჩნოი, - თუ გაბრაზდებოდა, არავის ინდობდა.

1978 წელს ბაგიოში გაიმართა მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩი კარპოვსა და კორჩნოის შორის. მატჩის გახსნისას მოხდა კურიოზული შემთხვევა - ფილიპინების სამხედრო ორკესტრმა შეცდომით თუ გამიზნულად, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ნაცვლად პარტიული ჰიმნი - "ინტერნაციონალი" დაუკრა, რამაც გამოიწვია დამსწრეთა შორის აურზაური და სიცილ-ხარხარი. იმ დროს, როდესაც ყველანი ფეხზე იდგნენ, კორჩნოი, პროტესტის ნიშნად, დემონსტრაციულად სავარძელში იჯდა და ირონიულად იღიმებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ ისევ არ ითვლებოდა შვეიცარიის მოქალაქედ.

ბაგიოში ვ. კორჩნოიმ არაერთხელ გააკეთა განცხადება და შემდგომშიც იმეორებდა, რომ კარპოვის თანმხლებ დელეგაციაში შედიოდა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები. აგრეთვე კარპოვის მხარდასაჭერად იყვნენ საბჭოთა კავშირის ცნობილი მოჭადრაკეები, რომელთა შორის ყველაზე აქტიურ როლს მიხეილ ტალი ასრულებდა.

როდესაც მატჩის ანგარიში კარპოვის სასარგებლოდ 5:2 გახდა, კორჩნოიმ ზედიზედ სამი პარტია მოიგო და ანგარიში გაათანაბრა - 5:5. მაგრამ მან ფსიქოლოგიურ ზეწოლას მაინც ვერ გაუძლო და საბოლოოდ მატჩი წააგო, რის შემდეგაც კორჩნოიმ წერილობით განაცხადა: "ვულოცავ კარპოვს და მთლიანად საბჭოთა დელეგაციას მშვენიერ, ელექტრონულ ტექნიკას". კორჩნოი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თამაშის დროს მას ელექტრონული სხივებით ასხივებდნენ. ასე რომ, კარპოვს ზურგს უმაგრებდა მთელი "საბჭოთა სისტემა". მისმა გამარჯვებამ ყველაზე მეტად **ლ. ბრეჟნევი** ალაფრთოვანა...

უნებლიეთ გვახსენდება ის ფათერაკები, შევიწროება, ფსიქოლოგიური ზეწოლა და უსამართლობა, რაც გადახდა ჩვენს სასიქადულო მოჭადრაკეს **ნონა გაფრინდაშვილს ალა კუშნირთან** შეხვედრების დროს. ისინი მსოფლიო ჩემპიონობის გვირგვინის მოსაპოვებელ ფინალურ სტადიაზე ზედიზედ სამჯერ - 1965, 1969 და 1972 წლებში შეხვდნენ ერთმანეთს.

მათი პირველი შეხვედრა 1965 წელს რიგაში გაიმართა და ნონას დამაჯერებელი გამარჯვებით - 8.5:4:5 დამთავრდა. მეორე შეხვედრა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე 1968 წლის გაზაფხულზე ტალინში უნდა გამართულიყო. მაგრამ შემდგომში კუშნირმა სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად დაიწყო სკანდალური და ისტერიული გამოხდომები მატჩის ჩატარების ადგილის და დროის გადაწევის შესახებ. ასეთი ახირებული და გაუმართლებელი მოთხოვნები-უფრო ნონაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის და მისი წონასწორობიდან გამოყვანისთვის იყო გათვლილი და გამიზნული. კუშნირის ასეთ ვერაგულ ოინებს მოსკოვში ბევრი მხარდამჭერები გამოუჩნდნენ და მათი ხელშეწყობით მატჩი იმ წელს არ შედგა. ეს იყო მაღალ დონეზე წინასწარ დამუშავებული სცენარის აღსრულება, რომელიც შეთანხმებული იყო მაღალ ინსტანციებში. დიდი აურზაურის, დავიდარაბისა და მოლაპარაკებების შემდეგ, საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფიდეს ეგიდით მატჩის პირველი ნახევარი 1969 წლის 5 აპრილს თბილისში დაიწყებოდა, ხოლო მეორე ნახევარი მოსკოვში გაგრძელდებოდა. თბილისში გამართული მატჩის პირველი ნახევარი ანგარიშით 5:3 ნონას სასარგებლოდ დამთავრდა, ხოლო მოსკოვში მეორე ნახევრის დამთავრების შემდეგ საერთო ანგარიშით 8.5:4.5 ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებით დასრულდა და მან მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობის დაფნის გვირგვინი.

1972 წელს ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის საჭადრაკო დედოფლის ტიტულისთვის ბრძოლა რიგაში გაიმართა, თანაც ეს იყო ზედიზედ მათი მესამე და ბოლო შეხვედრა.

ამ მატჩზე კუშნირის დასახმარებლად მოსკოველ მოჭადრაკეთა მთელი ბრიგადა იქნა მივლინებული რიგაში. დამხმარე ბრიგადაში იყვნენ ჭადრაკის ცნობილი თეორეტიკოსები და წამყვანი მოჭადრაკე ვაჟები. სწორედ ასეთ განსაკუთრებულ გარემოში შეიქმნა ის წინაპირობები, რომ ეს მატჩი გამოირჩეოდა ძალზე მწვავე ბრძოლით და დაძაბულობით. იყო შემთხვევა, როდესაც ნონა რომელიმე ტურს აგებდა, მოსკოვის რადიოტელევიზია გადმოსცემდა, ხოლო პრესა წერდა, რომ "ქართველმა მოჭადრაკემ თამაში წააგო", ნონას გამარჯვების შემთხვევაში კი უბრალო გამოხმაურებას აკეთებდნენ და დუმილს ამჯობინებდნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, მატჩი8.5:7.5 ნონამ მოიგო და მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. კუშნირმა ერთხელ და სამუდამოდ ამოწურა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი. იგი გაწერიდა საბჭოთა კავშირს და საცხოვრებლად ისრაელში გაემგზავრა. შემდგომში ალა კუშნირი საჭადრაკო სამყაროში საერთოდ აღარ გამოჩენილა...

ზოგიერთები თავიანთ წერილებში ხშირად აღნიშნავენ, რომ სტალინს მოსწონდა და უყვარდა ჭადრაკის თამაში. მაგრამ ჟურნალისტი **ჰენრიხ ბოროვიკი** გაზეთ "სოვერშენნო სეკრეტნოში" (№5. 2000 წ.) გამოქვეყნებულ ნარკვევში ბოროტგანზრახულად [illegible] აქცენტს სტალინის ხასიათის ზოგიერთ მხარეზე, სახელდობრ მის მიდრეკილებაზე საკუთარი "თეატრისადმი", რომელსაც იგი, თითქოსდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ფრიად ნიჭიერად წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ, ბოროვიკს ნარკვევის ერთ ადგილას მოჰყავს ჭადრაკთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც მას უამბო ცნობილმა კინორეჟისორმა **მიხეილ ჭიაურელმა**. იგი გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველებს დასაწყისში უყვება, რომ ჭიაურელმა შექმნა არაჩვეულებრივი მხატვრული ფილმები, როგორიცაა "უკანასკნელი მასკარადი" და "გიორგი სააკაძე", ხოლო ბოლო ფილმებზე - "ფიცი" და "ბერლინის დაცემა", ის ამბობს, რომ იქ მთავარ გმირად გამოყვანილია "ყველა ხალხის ბელადი" სტალინი...

ჰ. ბოროვიკის აზრით, სტალინის სიკვდილისა და XX ყრილობაზე **ხრუშჩოვის** გამოსვლის შემდეგ, ჩვენმა ინტელიგენციამ, უნდოდა რა ეპოვა პასუხი კითხვაზე - "ვინ არის დამნაშავე?" თითქოსდა მიხეილ ჭიაურელზე დაიწყო მსჯავრის დადება, რომ სწორედ ის იყო ერთ-ერთი დამნაშავე პიროვნების კულტის აღზევების საქმეში, რომ მან მიიღო მრავალი ჯილდო და პრემია, რომ ის სტალინის დროს კარგად ცხოვრობდა. ამასთან, ბოროვიკი არ აზუსტებს, თუ რა წვლილი შეიტანა პიროვნების კულტის დამკვიდრების საქმეში და მხოლოდ ამბობს, რომ მ. ჭიაურელი მძიმედ განიცდიდა თავდასხმებს, მაგრამ თავის დაცვას არ აპირებდა. ჭიაურელი, რომ ძალზე კარგად იცნობდა სტალინს და პირადი შეხვედრები ჰქონდა მასთან, ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ყოველივე ეს ჰ. ბოროვიკის მხრიდან ძალზე ტენდენციურადაა გაშუქებული: ბელადი კინორეჟისორს მიიპატიჟებდა ხოლმე თავისთან აგარაკზე სავახშმოდ, რათა სხვადასხვა თემაზე ესაუბრათ და თან ჭადრაკი ეთამაშათ, თურმე სტალინი ჭადრაკს არც-თუ ისე კარგად თამაშობდა, მაგრამ ერთიორი პარტიის თამაში მას საშუალებას აძლევდა ცოტა ხნით მაინც დაესვენა.

ჰ. ბოროვიკი თავის პასკვილში ყურადღებას ამახვილებდა ერთ ასეთ საჭადრაკო სეანსზე, რომლის შესახებ, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, თითქოსდა თვით ჭიაურელმა უამბო.

ერთხელ საკმაოდ გვიან, დაახლოებით შუაღამისას, სტალინმა თავისთან სტუმრად მიიწვია კინორეჟისორი, რომელსაც ჯერ გაუმასპინძლდა, ხოლო შემდეგ წინადადება მისცა ჭადრაკი ეთამაშათ. ორივე ჩუმად ფიქრობდა და საჭადრაკო ფიგურების გადაადგილებდნენ. სტალინმა, ფიქრობდა რა მორიგ სვლაზე და თვალს არ აშორებდა საჭადრაკო დაფას, თავი ოდნავ გადააქნია, ჩაილიმა და ხმადაბლა თქვა: "შეიძლება ასეთი დასიზმრება?" და დადუმდა. გავიდა რამდენიმე წუთი, სტალინი ჩაფიქრებული უყურებდა საჭადრაკო დაფას. შემდეგ მან კ ვლავ გადააქნია თავი და მძიმე ამოოხვრით გაიმეორა: "შეიძლება ასეთი დასიზმრება?" ჭიაურელმა ვერ გაბედა მისთვის ეკითხა, თუ რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ამჯერად სტალინმა თვითონვე განმარტა: "გაიგე, მე დამესიზმრა, რომ შენ ჩემს გვერდით დგახარ და პისტოლეტს მიმიზნებ"... და გამომცდელად შეხედა სტუმარს. მ. ჭიაურელს გააცივა, რატომ ეუბნება მასპინძელი ამას? რა უპასუხოს მას? - "არა, არა, ასეთი სახით თქვენ მე არ დაგესიზმრებოდით!" ის ფიქრობდა - სისულელეა, დავეჭვიცო ერთგულებაში? ალბათ, ხუმრობს? მაგრამ სტალინი არ იყო მხიარულ გუნებაზე განწყობილი. მან აურია დაფაზე საჭადრაკო ფიგურები და სტუმარი მიახვედრა, რომ თამაში დამთავრებულია...

ბოროვიკი პათეტიკურად გვიყვება ჭიაურელის "საშინელ" განცდებზე, მის შიშზე და ფსიქოლოგიურ შოკზე, რომ სტალინმა ყველაფერი გააკეთა კინორეჟისორის შესაშინებლად და დასათრგუნად.

არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტალინი გამორჩეულად აფასებდა ჭიაურელს და კინორეჟისორთა შორის იგი მიაჩნდა ყველაზე საუკეთესო ორგანიზატორად მაღალესთეტიკურ მხატვრული ფილმების შექმნის თვალსაზრისით.

საერთოდ, ბოროვიკის ეს პასკვილი თითებიდან გამოწოვილ მონაგონს უფრო ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტებას. და ასეთ გამოგონილ ამბებს ანტისტალინელები ერთმანეთისგან იწერენ და თავს ახვევენ საზოგადოებას...

დასასრულ, მინდა გავაკეთო ასეთი დასკვნა - ჭადრაკი ინტელექტუალური თამაშისა და სპორტული ხელოვნების შერწყმაა, ამიტომ ის პოლიტიკისგან ყოველთვის და ყველა დროში გამიჯნული უნდა იყოს.

**გურამ ჩხიკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ტრანსფერი

# ფინიქსი დიზელზე იმუშავებს



"ფინიქს სანზის" საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტი **სტივ კერი** დარწმუნებულია, რომ არიზონელები ამიერიდან უფრო ძლევამოსილ იერს მიიღებენ და მთავარ სუსტ წერტილს, ანუ ფარქვეშეთში დაცვას მეტად მობილურად აამუშავებენ, რისი მთავარი მიზეზიც "სანზის" გამოცდილი ახალწვეული, არც მეტი, არც ნაკლები, თვით **შაკილ ონილი** გახლავთ!

"ფინიქსი" ლიგის ერთი-ერთი გრანდია, რომელსაც ჯერაც ვერ მოუნელებია ის, რომ შარშან, ლიგის დისციპლინარულმა კომიტეტმა, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლო გადაწყვეტილებით, "სან ანტონიოსთან" დასავლეთის ნახევარფინალში **ამარე სტაუდმაიერი** და **ბორის დიაო** ერთი (და გადამწყვეტი) შეხვედრით დასაჯა, რამაც "ფინიქსს" ჩემპიონობა დააკარგვინა, ტეხასელებს კი სანუკვარი ტიტულისკენ გზა გაუხსნა.

ამჟამინდელი "ფინიქსის" ძალა, ეშხი და ფილოსოფია 80-იანების ლამაზ კალათბურთში იყო და გუშინდელი გადაწყვეტილებით, კერმა და მისმა ასისტენტებმა ყველაფერს ხაზი გადაუსვეს, რადგან გუნდმა ერთ-ერთი ლიდერი და ერთადერთი კარგი დამცველი **შონ მერიონი** ბებერ და უმოტივაციო ონილში გაცვალა. ხურდაში მიყოლებული **მარკუს ბენქსიც** მთლად ბალასტი არ გახლავთ, ასე რომ...

"ფინიქსმა" აქცენტი სამწამიანის გაძლიერებასა და ძველი "ცოდვების" მონანიებაზე, ანუ თანაკონფერენციელი გიგანტების უძლიერესი მოთამაშეების ვითომდა განეიტრალებაზე გადაიტანა. სტივ კერმა დასძინა, მოლაპარაკებებს "იუტასთან" და "მინესოტასთანაც" ვაწარმოებდითო. "ჯაზიდან" არიზონელებს **ანდრეი კირილენკო** სურდათ, ხოლო "მგლების" შემადგენლობიდან კი, ახალგაზრდა და უნიჭიერესი **ელ ჯეფერსონით** იყვნენ მოხიბლულნი. სჯობდა, ამ ორიდან რომელიმე ტრანსფერი განეხორციელებინათ.

ვინ უქმნიდა "ფინიქსს" ყველაზე დიდ პრობლემებს წინა ფლეიოფებში? **ტიმ დანკანი**, რომლის წინააღმდეგაც **ამარე სტაუდმაიერი** ბავშვივით გამოიყურებოდა და ვის შეჩერებასაც თუ ვინმე ახერხებდა, ეს ისევ და ისევ მერიონი გახლდათ.

შაკი დანკანის წინააღმდეგ დაცვაში მაშინაც კი უძლური იყო, როდესაც მთელ ლიგას აზანზარებდა და ტიმის "სპურსსაც" მისი "ლეიკერსი" იოლად იცილებდა გზიდან, მაგრამ ონილისა და დანკანის ჯახში გამარჯვება თითქმის ყოველთვის უფრო მოძრავი და მობილური დანკანის მხარეს რჩებოდა.

აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთმა მწვრთნელმა (რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა) განაცხადა: *"არ მესმის, როგორ შეიძლება შენი ერთ-ერთი ბურჯის (ანუ მერიონის) გაცვლა მოთამაშეში, რომელმაც კარიერა 2 წლის წინ დაასრულა?"*

დაასრულა მხოლოდ ფორმალურად, რადგან ონილი დღესაც იმ აზრზეა, რომ ნებისმიერი გუნდისთვის უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია და ამას მომდევნო ორი წლის განმავლობაში გააკეთებო - ირწმუნება "დიზელი". რატომ ორი წლის განმავლობაში? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას "მაიამი ჰიტთან" კიდევ ორწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს და ახლა დარჩენილი თანხაც ანუ 21.5 მილიონ დოლარი, მას "ფინიქსმა" უნდა გადაუხადოს, თუმცა არიზონელებს ბოლო წელიწადის ვალდებულებების დარღვევა შეეძლებათ და საამისოდ, ონილს საკმაოდ სოლიდური კომპენსაციაც უნდა გადაუხადონ. ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ონილის ტრანსფერი ვერ გაამართლებს.

მერიონი კი "ჰიტში", იქნებ მხოლოდ ამ სეზონის ბოლომდე დარჩეს, რადგან "ფინიქსთან" კონტრაქტით (რომელიც ამჯერად უკვე ფლორიდელთა თავის ტკივილია), შონს ამ სეზონის დასრულებისთანავე, თავად შეუძლია სასურველი გუნდის მოძიება. თავისთავად, იგი "მაიამიდან" წასვლის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებულ 17 მილიონს ველარ მიიღებს, თუმცა იქ გადავა, სადაც თვითონ მოესურვება. "ჰიტის" მესვეურებმა ყველაფერი ეს მშვენივრად იცოდნენ და გვჯერა, შონის დარ ძლიერ და სასარგებლო მოთამაშესთან ისინი თანამშრომლობის გაგრძელებას მოისურვებენ.

შაკი კი უკვე დაესწრო თავისი ახალი გუნდის პირველ მატჩს და ფანებისგან ზღვა აპლოდისმენტიც მიიღო, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ "ფინიქსს" ეს ტრანსფერი გაუმართლებს.

მიზეზები?

რამდენიც გინდათ!

1. შაკი კი არ დარბის, დაგორავს.

2. წლეულს საუკეთესო სეზონებშიც კი, ონილი არ ყოფილა ძლიერი გუნდური მოთამაშე და დამცველი, "ფინიქსში" კი იგი სწორედ ამ ორი კომპონენტის გასაუმჯობესებლად აიყვანეს.

3. წელს, "მაიამიში" **პატ რაილისთან** და **დუეინ უეიდთან** რამდენიმე კონფლიქტი იმის გამო ჰქონდა, რომ ვეტერანი ცენტრის აზრით, მას ბურთს იშვიათად აწვდიდნენ. როგორ გგონიათ, მას ბურთს "ფინიქსში" ეფრო ხშირად მიაწვდიან? არანაირად და ონილი ახალ გუნდში მხოლოდ მესამე ან მეოთხე შემტევი ვარიანტი იქნება სტაუდმაიერის, **გრანტ ჰილის, ლეანდრო ბარბოსასა** და თვით **სტივ ნეშის** შემდეგ.

4. ონილი აღმოსავლეთში მეტს ისვენებდა, რადგან ამ კონფერენციაში მისი თანაამპლუელების დიდი დეფიციტი იყო, დასავლეთში კი უამრავი მძლავრი მაღალი ბიჭია (დანკანი, **დირკ ნოვიცკი, მარკუს კემბი, პაუ გასოლი, ტაისონ ჩენდლერი, იაო მინი, ელ ჯეფერსონი, ლამარკუს ოლდრიჯი, ბრედ მილერი, კრის კამანი, ანდრის ბიედრინსი** და **კარლოს ბუზერი**). კი, ამათგან ბევრი ცენტრი საერთოდ არაა, მაგრამ მათ წინააღმდეგ ამარე მაინც საგვემი მასალასავით იყო და "მშველელი" შაკიც ხომ სწორედ ამიტომ დაიმატა "სანზმა".

და მთავარი – "ფინიქსი" რადიკალურად შეცვლის თამაშის სტილს და მაქსიმალურად დააგდებს თამაშის რიტმს, რათა 160-კილოგრამიანმა ონილმა დაცვიდან შეტევაში ჩასვლა მოასწროს და ნეშის გენიალური პასი შეირგოს.

აბა, ნეშის პასს თუ ვერ ჩაუსწრო, გინდ ყოფილხარ და გინდ - არა.

**ზურაბ თალაკვაძე**

## NBA. რეგულარული

**ფინიქსი–ნ. ორლეანი 130:132 (2 ო)**

27:27, 28:36, 27:24, 29:24, 13:13, 6:8

ფინიქსი: ნეში (32 ქ. 12 პ. 4 მ), ა. სტაუდმაიერი (26 ქ. 20 მ. 4 დ. 3 პ), დიაო (22 ქ. 7 მ. 5 პ), ბარბოსა (22 ქ. 3 მ. 2 პ), რ. ბელი (11 ქ).

ნიუ ორლეანი: პოლი (42 ქ. 9 პ. 8 ჩ. 5 მ), სტოიაკოვიჩი (26 ქ. 6 მ), პარგო (22 ქ. 4 მ), დევიდ უესტი (21 ქ. 13 მ. 2 ჩ. 2 დ).

**ვაშინგტონი–ს. ანტონიო 77:85**

15:20, 22:18, 21:19, 19:28

ვაშინგტონი: ჯეიმისონი (18 ქ. 7 მ. 2 ჩ), ბლატჩე (16 ქ. 15 მ. 2 დ), სტივენსონი (11 ქ).

სან ანტონიო: დანკანი (23 ქ. 9 მ. 4 პ), ობერტო (10 ქ. 11 მ), ჯინობილი (9 ქ. 10 პ. 6 მ), ორი (9 ქ. 6 მ).

**ატლანტა–ლეიკერსი 98:95**

27:29, 18:24, 23:23, 30:19

ატლანტა: ჯო ჯონსონი (28 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ), ჯოშ სმიტი (17 ქ. 9 მ. 9 პ. 5 დ. 2 ჩ), ლოუ (16 ქ), პორფორდი (15 ქ. 20 მ), მერვინ უილიამსი (12 ქ), ზაზა ფაჩულია (უქულოდ, 2 მ. 1 დ).

ლეიკერსი: ოდომი (19 ქ. 11 მ. 3 პ), ფიშერი (17 ქ. 3 მ. 3 პ), რადმანოვიჩი (13 ქ. 2 ჩ), გასოლი (12 ქ. 7 მ. 3 პ), ბრაიანტი (11 ქ. 10 პ), ვუიაჩიჩი (10 ქ. 2 ჩ).

**ორლანდო–ნიუ ჯერსი 100:84**

22:24, 25:14, 28:20, 25:26

ორლანდო: დ. ჰოვარდი (21 ქ. 13 მ. 2 დ), რ. ლიუისი (19 ქ. 6 მ. 4 პ. 4 ჩ), თურქოღლუ (19 ქ. 6 პ), ნელსონი (11 ქ. 8 პ. 5 მ), კუკი (11 ქ), დულინგი (11 ქ).

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (18 ქ. 4 მ. 3 პ), კიდი (13 ქ. 7 პ. 6 მ), ნახბარი (13 ქ), რ. ჯეფერსონი (11 ქ. 4 მ), ბუნი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**ნიუ იორკი–ინდიანა 100:103**

26:29, 29:26, 22:20, 23:28

ნიუ იორკი: ზ. რენდოლფი (26 ქ. 9 მ. 3 პ), ჯ. კროუფორდი (21 ქ. 7 პ), კარი (20 ქ. 8 მ), ფ. ჯონსი (12 ქ. 5 პ. 4 მ).

ინდიანა: კ. რაში (24 ქ. 7 მ), მ. დანლივი-უმცროსი (17 ქ. 9 პ. 7 მ), გრეინჯერი (16 ქ. 5 მ), მერფი (15 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), მ. დენიელსი (13 ქ. 3 ჩ), ფოსტერი (10 ქ).

**დეტროიტი–მაიამი 100:95**

18:22, 30:26, 27:16, 25:31

დეტროიტი: რ. უოლასი (26 ქ. 10 მ. 3 პ), რ. ჰამილტონი (19 ქ. 3 პ. 2 ჩ), ბილაპსი (15 ქ. 10 პ), პრინსი (14 ქ. 7 პ. 6 მ), მაკდაიესი (10 ქ. 13 მ).

მაიამი: უეიდი (30 ქ. 12 პ. 5 მ), რ. დევისი (20 ქ), დ. რაიტი (14 ქ. 8 მ), ბლაუნტი (14 ქ. 5 მ), ე. ჯონსონი (11 ქ. 8 მ. 3 პ).

**ბოსტონი–კლიპერსი 111:100**

25:29, 34:19, 25:33, 27:19

ბოსტონი: რონდო (24 ქ. 8 პ. 5 მ. 4 ჩ), რ. ალენი (19 ქ. 5 მ), ტ. ალენი (17 ქ. 2 დ), OპირსI (15 ქ. 3 მ. 3 პ), პოუ (13 ქ. 10 მ).

კლიპერსი: მაგეტი (33 ქ. 8 მ. 5 ჩ. 3 პ), მობლი (16 ქ. 4 მ. 3 პ), კამანი (12 ქ. 9 მ. 6 დ. 3 პ), როსი (10 ქ. 2 ჩ), კასელი (10 ქ).

**დალასი–მილუოკი 107:96**

29:23, 24:26, 18:22, 36:25

დალასი: ნოვიცკი (29 ქ. 12 პ. 10 მ), ტერი (23 ქ. 4 მ), ჯოშ ჰოვარდი (17 ქ. 8 მ. 2 ჩ), ბარეა (13 ქ. 4 პ. 2 ჩ), დემპიე (6 ქ. 10 მ).

მილუოკი: მო უილიამსი (36 ქ. 5 მ. 4 პ), ბოგუტი (24 ქ. 14 მ. 2 პ), ვილიანოვა (16 ქ. 7 მ. 3 პ), დ. მეისონი (11 ქ. 2 დ).

**დენვერი–იუტა 115:118 (ო)**

26:23, 15:33, 31:22, 34:28, 9:12

დენვერი: აივერსონი (34 ქ. 10 პ. 3 ჩ), ენტონი (29 ქ. 8 მ. 4 პ), კენიონ მარტინი (18 ქ. 10 მ. 4 ჩ), ე. კარტერი (12 ქ. 6 პ. 2 ჩ), კემბი (11 ქ. 17 მ. 4 დ. 2 პ).

იუტა: დ. უილიამსი (29 ქ. 11 პ. 6 მ), კორვერი (27 ქ), ოქური (15 ქ. 10 მ), პარპრინგი (13 ქ. 5 მ. 2 ჩ), მილსეპი (10 ქ. 10 მ. 3 პ), ბუზერი (8 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ).

**პორტლენდი–ჩიკაგო 100:97**

27:21, 22:22, 24:22, 27:32

პორტლენდი: როი (28 ქ. 6 პ. 4 მ), ოლდრიჯი (18 ქ. 6 მ. 2 დ), ჯეკი (17 ქ. 6 პ), ტ. აუთლო (14 ქ).

ჩიკაგო: სეფოლოშა (22 ქ. 6 პ. 4 მ. 3 ჩ. 2 დ), ნოჩიონი (22 ქ. 4 მ. 4 პ), ჯო სმიტი (16 ქ. 5 მ), ბ. უოლასი (12 ქ. 8 მ), დიუპონი (9 ქ. 9 პ).

**საკრამენტო–სიეტლი 92:105**

29:25, 20:23, 24:33, 19:24

საკრამენტო: არტესტი (20 ქ. 4 პ. 3 მ. 3 ჩ), სალმონსი (11 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), გარსია (11 ქ. 2 დ), ჰოუზი (10 ქ. 6 მ), მური (10 ქ. 9 მ), ბიბი (10 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ).

სიეტლი: ე. უოტსონი (23 ქ. 10 მ. 10 პ. 2 ჩ), დიურანი (17 ქ. 5 პ. 3 მ), უილკოქსი (15 ქ. 10 მ), კურტ ტომასი (13 ქ. 8 მ. 3 დ), კოლისონი (13 ქ. 6 მ).

ახალი ამბები

## ვარსკვლავები კაპონოს წინააღმდეგ

"ყველა ვარსკვლავის მატჩზე" ჩატენვების კონკურსის მონაწილეების შემდეგ, იმ კალათბურთელების გვარები დასახელდა, რომლებიც სამქულიანების ზუსტად შესრულებაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

კონკურსი 16 თებერვალს ჩატარდება და იქ შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას შეეცდება "ტორონტო რეპტორზის" ფორვარდი **ჯეისონ კაპონო**. მისი კონკურენტები კი, ასოციაციის ვარსკვლავები იქნებიან: **პეჯა სტოიაკოვიჩი** ("ნიუ ორლეანი"), **კობი ბრაიანტი** ("ლეიკერსი"), **დანიელ გიბსონი** ("კლივლენდი"), **რიჩარდ ჰემილტონი** ("დეტროიტი") და **სტივ ნეში** ("ფინიქსი").

წლეულს, სამქულიანების კონკურსში მონაწილეობას არ იღებს "დალასის" გერმანელი სნაიპერი **დირკ ნოვიცკი**.

## ფრენსისმა სეზონი დაასრულა

გუშინ ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ "ჰიუსტონ როკეტსის" მცველი **სტივ ფრენსისი** ამ სეზონში ველარ გავა მოედანზე. ვეტერან კალათბურთელს ფეხის კუნთი აქვს გაწყვეტილი.

*"სამწუხაროდ, ჩემი კლიენტი ამ სეზონში ველარ ითამაშებს. ის დღეიდან შეუდგება მკურნალობას, რათა მაქსიმალურად ადრე ჩადგეს მწყობრში და მომდევნო სეზონს მომზადებული შეხვდეს"*, - განაცხადა კალათბურთელის აგენტმა ჯეფ ფრიდმა.

## მაიამიმ ჯექსონი გაუშვა

"მაიამი ჰიტმა" ტრანსფერზე დააყენა თავდამსხმელი **ლიუკ ჯექსონი**. სააგენტო AP-ის ცნობით, **პატ რაილის** გუნდმა ეს კალათბურთელი 2007 წლის 12 დეკემბერს, თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა.

ამ სეზონში ჯექსონმა 14 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.6 ქულასა და 2.4 მოხსნას აგროვებდა.

## რუბიო საუკეთესო ახალგაზრდაა

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) ევროპულმა ფილიალმა 2007 წელს, კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელი დაასახელა. ეს საპატიო ტიტული 17 წლის ესპანელ მცველს, **რიკი რუბიოს** ერგო. გამარჯვებული ევროპის 25 ქვეყნის გულშემატკივრებმა, ჟურნალისტებმა, მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა გამოკითხვის შედეგად გამოავლინეს.

მეორე ადგილი საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" 20 წლის სერბმა მცველმა **მილოშ ტეოდოშიჩმა** მოიპოვა. მესამეზე კი, "გოლდენ სტეიტ უორიორზის" 21 წლის იტალიელი **მარკო ბელინელი** აღმოჩნდა.

რუბიო 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საშუალოდ 19.1 ქულას, 5.0 მოხსნასა და 4.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. ეს ნიჭიერი კალათბურთელი თავის კლუბში, "ხუვენტუდშიც" წამყვან როლებზეა - ის სასტარტო ხუთეულში შედის და საშუალოდ მატჩში 10 ქულას აგროვებს.

## ხირონამ ლიტველი ცენტრი დაიმატა

ესპანეთის "ხირონას" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა 27 წლის ლიტველ ცენტრთან, **ტომას ნაგისთან** კონტრაქტის გაფორმება. ეს უკანასკნელი წლეულს ლატვიის "ბარონსში თამაშობდა.

ხელშეკრულება ერთთვიანია და ის სეზონის ბოლოს გახანგრძლივებას ექვემდებარება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "ხირონას" შეფობას ლიტველი კალათბურთელის თამაში მოეწონება.

ნაგისის დამატებით, ესპანურმა კლუბმა ამერიკელ **ჯექსონ ვრომენს** მოუნახა შემცვლელი. ეს კალათბურთელი ცოტა ხნის წინათ, "ლეტუვოს რიტასში" გადავიდა.

## ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი

# კავშირი ასტანას ექომაგება

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი** აცხადებს, რომ ველომარათონების ორგანიზატორები ვალდებულნი არიან, თავიანთ რბოლებში საასპარეზოდ მიიწვიონ ყაზახურ-შვეიცარიული გუნდი "ასტანა", რომელიც ბოლო ხანებში ხშირად ეხვეოდა სხვადასხვა დოპინგ-სკანდალში.

*"ვერ ვხედავ მიზეზს, რომლის გამოც "ასტანას" ტურ დე ფრანსზე მიწვევას არ აპირებენ. მესმის, რომ ამ რბოლას უამრავმა დოპინგ-სკანდალმა მნიშვნელოვნად შეულახა რეპუტაცია, მაგრამ ამიერიდან სიტუაცია რადიკალურად იცვლება. გუნდებთან მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალითაც, მათ განკარგულებაში ყველა ველომრბოლის ბიოლოგიური პასპორტი იქნება. გარდა ამისა, დოპინგსაწინააღმდეგო ტესტების რაოდენობა რვაჯერ, ათასიდან 8 ათასამდე გავზარდეთ, რაც ახალი სკანდალების ალბათობას რადიკალურად ამცირებს. ჩვენს მიერ გატარებულ ღონისძიებათა წყალობით, თავისუფლად შემიძლია თქმა, რომ პრო ტურის 18 გუნდის ყველა ველომრბოლი შემოწმდება. მერწმუნეთ, ასეთი მასშტაბით, დოპინგს სპორტის არცერთ სხვა სახეობაში არ ებრძვიან. ყოველივეზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც "ასტანა" არ უნდა მიიწვიონ ტურსა და სხვა ველომარათონებზე"*, - ამბობს მაკქუეიდი.

შარშანდელი ტურის შემდეგ, რომლიდანაც "ასტანა" მას შემდეგ მოეხსნა, რაც სისხლის დოპინგის გამოყენებაზე ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვი** ჩავარდა, ყაზახური გუნდი რადიკალურად შეიცვალა. მასში შეიცვალა არამარტო ველომრბოლთა შემადგენლობა, არამედ მენეჯმენტიც. გენერალური მენეჯერის პოსტი კი "დისქავერი ჩენელის" ყოფილ შეფს, ბელგიელ **იოჰან ბრიუინეელს** ჩაბარდა, რომელმაც გუნდში რამდენიმე ძლიერი ველომრბოლი, მათ შორის ტურის მოქმედი ჩემპიონი, ესპანელი **ალბერტო კონტადორი** მოიყვანა.



მაგრამ მიუხედავად ამისა, ტურის დირექტორი **კრისტიან პრიუდომი** აცხადებს, რომ წლევანდელ ტურზე მონაწილეობა გარანტირებული არცერთ გუნდს არ ექნება. უფრო მეტიც, ჯირო დ'იტალიას ორგანიზატორებმა "ასტანა" მონაწილეთა სიაში არ შეიყვანეს.

კავშირის წესებით, პრო ტურის სერიის გუნდებს ველომარათონებზე მონაწილეობა გარანტირებული აქვთ. მაგრამ საქმე მას შემდეგ გართულდა, რაც სამივე დიდი რბოლის (ჯირო, ტური და ვუელტა) ორგანიზატორებმა უარი თქვეს პრო ტურის სერიაში მონაწილეობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ვალდებულები არ არიან, სასტარტო განაცხადში აუცილებლად შეიყვანონ პრო ტურის მიერ ლიცენზირებული გუნდები.

*"ყველა დიდი რბოლის ორგანიზატორი უნდა შეეგუოს იმას, რომ ჩვენს სპორტში წესებს კავშირი ადგენს და ყველა ვალდებულია, ამ წესებს დაემორჩილოს. რატომ უნდა შეარჩიოს გუნდები ტურის ორგანიზატორმა ინდივიდუალურად, თუ ამას სხვა რბოლების ორგანიზატორები ჩვენი წესების შესაბამისად აკეთებენ? ჩვენსა და ტურის ორგანიზატორებს შორის პრობლემა სწორედ გუნდების შერჩევისას იქმნება. მათ არ სურთ დადგენილი წესების დაცვა. მათ ან უნდა დაიცვან კავშირის წესები, ან უნდა დატოვონ ეს კავშირი. ან ერთი, ან მეორე, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ"*, - ამბობს მაკქუეიდი.

მისი თქმით, "ასტანა" ახლა სულ სხვა გუნდია და ის ძველი ცოდვებისთვის არ უნდა გაირიყოს. ახალ მენეჯმენტს არანაირი ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ ადრე გუნდი ამდენ სკანდალში ეხვეოდა. *"ისინი ყველაფერს აკეთებენ, რაც მოეთხოვებათ და თუ დამიჯერებთ, ამ საქმეში მოწინავეებიც კი არიან, რისთვისაც პატივისცემასა და ტურზე მიწვევას იმსახურებენ"*, - დასძენს კავშირის პრეზიდენტი.

## TV სპორტი

**8 თებერვალი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:23 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 სასტვენი.
17:45 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
19:30 2:1 - ტოქ-შოუ.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ჩელსი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 პირდაპირი ხაზი.
00:40 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:40 სპორტდოსიე.
08:27 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
08:58 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
09:51 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:12 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ჩიკაგო.
12:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სანდერლენდი.
13:47 ფეხბურთი. Barca TV.
13:54 ჩემი სპორტი.
14:14 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
16:01 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:28 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ჩელსი.
18:18 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
19:13 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი.
21:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:13 გოლფი. მიმოხილვა.
21:42 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
22:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:45 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
00:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
02:52 სპორტდოსიე.
03:19 ფეხბურთი. Barca TV.
03:27 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი (LIVE).
06:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სანდერლენდი.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. კვალიფიკაცია. ლიბერეცი. ჩეხეთი.
13:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. განა-კოტ დ'ივუარი. განა.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
15:00 სნუკერი. მალტის თასი. V დღე (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. კვალიფიკაცია. ლიბერეცი. ჩეხეთი.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
21:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 სნუკერი. მალტის თასი. V დღე (LIVE).
23:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
01:00 სნუკერი. მალტის თასი. V დღე.
02:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
02:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ექსტრემალური სპორტი.
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
03:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ხორვატია-ჰოლანდია.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-პოლონეთი.
14:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. თურქეთი-შვედეთი.
15:15 ახალი ამბები.
16:00 სნოუბორდი. შვეიცარია (LIVE).
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-პოლონეთი.
18:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. თურქეთი-შვედეთი.
19:00 სნოუბორდი. შვეიცარია.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)-ლეონი (ესპანეთი) (LIVE).
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 სნოუბორდი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:15 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. IX ტური. პარიზი-ბრივი (LIVE).
01:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-პოლონეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ჰოკეი. შკოდას თასი. შვეიცარია-გერმანია. ლოზანა. შვეიცარია.
03:30 ახალი ამბები.

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ნიუ ჯერსი 3:2 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 რაიანი-4 (ტალინდერი-8, მეირი-3), 2:0 პომინვილი-14 (პეი-14, ჰეხტი-18), 2:1 რახუნეკი-3 (ჯონტა-22, მადენი-15), 2:2 მოტო-3 (მადენი-17, პანდოლფო-6).

**ბულიტები გაიტანეს:** სტეფორდი (ბაფალო), ტალინდერი (ბაფალო).

**ფილადელფია-ვაშინგტონი 3:4**

0:0, 1:1, 2:3

**გოლები:** 0:1 ლეიჩი-9 (მ. გრინი-19), 1:1 ნუბლი-21 (ბრიერი-32, საიმონ განიე-11), 1:2 ბრედლი-3 (მ. გრინი-20), 1:3 ვიქ. კოზლოვი-11 (ფლიშმანი-15, პოტი-15), 1:4 ოვეჩკინი-46 (ბექსტრიომი-35, იურჩინა-6), 2:4 ს. კაპანენი-5 (ჯ. კარტერი-15, ვანდერმეერი-11), 3:4 რ. ჯონსი-4 (მ. რიჩარდსი-38, ნუბლი-16).

**ედმონტონი-ჩიკაგო 4:1**

0:1, 3:0, 1:0

**გოლები:** 0:1 შარპი-24 (კეიტი-13, ჰავლატი-14), 1:1 სტოლი-9 (ჰემსკი-34, სემ განიე-19), 2:1 პენერი-17 (სემ განიე-20, პიტკანენი-9), 3:1 მორო-5 (შმიდი-4, კოლიანო-17), 4:1 პიტკანენი-7 (რისონერი-9, გილბერტი-12).

**სან ხოსე-კოლორადო 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 გიტი-7 (ბ. კლარკი-15, ლაპერიერი-12), 1:1 მარლო-10 (ოზოლინში-12), 1:2 ჰენსიკი-6 (ბ. კლარკი-16, არნასონი-17), 1:3 ფინგერი-5.

**ტურის მოვლენები**

- "ბაფალოს" წინა ორი შეხვედრა "ნიუ ჯერსისთან" ბულიტების სერიაში ჰქონდა წაგებული. ამჯერად, მან ეს ნავსი ასევე ბულიტების სერიით გატეხა.

- "ბაფალომ" ბოლო ექვს მატჩში მეხუთედ მოიგო.

- "ნიუ ჯერსის" რუსმა ლეგიონერმა **სერგეი ბრილინმა** შეხვედრის გამოუტოვებლად, NHL-ში ზედიზედ მე-300 მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

- სეზონის სტარტზე უიმედო აუტსაიდერად მონათლულმა "ვაშინგტონ კეპიტალზმა" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში პირველ ადგილზე გადაინაცვლა, რაც პლეიოფის ზონაში მოხვედრას ნიშნავს. ეს გუნდი ახალმა მწვრთნელმა **ბრიუს ბუდრომ** მაშინ ჩაიბარა, როცა "კეპიტალზი" აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილზე იყო. იქედან მოყოლებული, ვაშინგტონელებმა 34-დან 20 თამაში მოიგეს და სტენლის თასზე მოხვედრის რეალური შანსი გაუჩნდათ.

- თამაშის წინ, გამოცხადდა, რომ "ფილადელფიას" ყოფილი მეკარე **რონ ჰექსტოლი** დიდების დარბაზში შეიყვანეს. ეს გოლკიპერი მე-19 ადამიანია ამ კლუბიდან, ვისაც მსგავსი პატივი ერგო.

- "ვაშინგტონმა" ბოლო რვა მატჩიდან მეექვსედ მოუგო "ფილადელფიას".

- ფილადელფიელმა **მაიკ ნუბლმა** ბოლო სამ მატჩში ხუთი შაიბა გაიტანა.

■ ■ ■

- "ჩიკაგომ" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო.

- ედმონტონელმა **იონი პიტკანენმა** კარიერაში მე-100 შედეგიანი პასი შეასრულა.

■ ■ ■

- "სან ხოსემ" შეწყვიტა სამმატჩიანი მოგებათა სერია.

- "კოლორადოს" ფორვარდმა **პოლ შჩასტნიმ** ზედიზედ მეცხრე მატჩი გამოტოვა, თუმცა მისი დაბრუნება შაბათს იგეგმება.

ახალი ამბები

### კალგარიმ მორიგი ლიდერი შეინარჩუნა

"კალგარი ფლეიმზის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ახალგაზრდა მცველი **დიონ ფანოფი** ექვსი წლით გააგრძელებს კანადურ კლუბთან კონტრაქტს. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ გამჟღავნებულა, მაგრამ სანდო წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ფანოფის წლიური ხელფასი 6.5 მილიონი დოლარი იქნება.

აქვე შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, "კალგარიმ" ასევე გაუგრძელა კონტრაქტები თავის სხვა ლიდერებს - **ჯერომ იგინლას, მიკა კიპრუსოფსა** და **რობინ რეგერს**.

### კროსბიმ ვარჯიში განაახლა

როგორც ცნობილია, უკვე დაახლოებით ორი კვირაა "პიტსბურგ პინგვინზის" რიგებში ვერ თამაშობს შარშანდელი სეზონის საუკეთესო ჰოკეისტი **სიდნი კროსბი**, რომელიც "ტამპა ბეისთან" მატჩში მიღებულ ტრავმას მკურნალობს.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, კროსბიმ უკვე დაიწყო ყინულზე ვარჯიში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბომბარდირი მალე დაუბრუნდება რეგულარულ ჩემპიონატს. ექიმების ვარაუდით, ახალგაზრდა თავდამსხმელს თებერვლის გამოტოვება მოუწევს და ყინულზე მარტში დაბრუნდება.

### ფორსბერგმა დეტროიტს უარი შეუთვალა

ამერიკული პრესის ინფორმაციით, **პიტერ ფორსბერგი** სავარაუდოდ, ამ სეზონში დაუბრუნდება ყინულს, მაგრამ ამას დაგეგმილზე რამდენიმე კვირით გვიან გააკეთებს.

ცნობილია, რომ შვედი ვეტერანით ჰოკეის ეროვნული ლიგის ათამდე კლუბი იყო დაინტერესებული. ფორსბერგმა თავისი აგენტის საშუალებით უარი შეუთვალა "დეტროიტს", "ნეშვილს", "დალასს", "სან ხოსეს", "კალგარისა" და "პიტსბურგს". შესაბამისად, იმ გუნდების რიცხვი, რომელშიც შეიძლება ფორვარდი გადავიდეს, ხუთამდე შემცირდა. ესენი არიან: "კოლორადო", "ფილადელფია", "ანაჰაიმი", "ოტავა" და "რეინჯერსი".

### ჰიტლი დღეს ბრუნდება

"ოტავა სენატორზის" ლიდერმა **დენი ჰიტლის** მხარის ტრავმა მოირჩინა და უკვე დღეს, "ფლორიდასთან" მატჩში შეუძლია დაეხმაროს თავის გუნდს.

*"თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ბოლო ვარჯიშზე მხარი აღარ მაწუხებდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ექიმები თამაშის წინ მიიღებენ"*, - ამბობს ჰიტლი.

შეგახსენებთ, რომ ფორვარდმა 12 იანვარს, "დეტროიტთან" მატჩში მიიღო ტრავმა და მას შემდეგ აღარ უთამაშია.

"ფლორიდასთან" ასევე ელიან "სენატორების" კაპიტნის, **დანიელ ალფრედსონის** დაბრუნებას. თუმცა თავად შვედმა ფორვარდმა აღნიშნა, რომ ის, სავარაუდოდ, შაბათს შეუერთდება გუნდს.

### ფლორიდა კაპიტანს გაუშვებს

უახლოეს დღეებში "ფლორიდა პანტერზი" თავისი კაპიტნის, **ოლი იოკინენის** სხვა გუნდში გაშვებას აპირებს.

იოკინენი კლუბის საუკეთესო ფორვარდია. მისი გასხვისებით, "ფლორიდა" კურსის შეცვლას აპირებს. ვეტერანი ფინელის ნაცვლად, "პანტერზი" რამდენიმე ჰოკეისტს და მომავალ დრაფტებზე მოთამაშეების არჩევის უფლებას მიიღებს.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

**1/2 ფინალი**

**განა-კამერუნი 0:1**

**განა:** რ. კინგსტონი, ადო, პანტსილი, სარპეი, ანანი, აიევი (86. ბარუსო), დრამანი, ესიენი, აგგო, მუნტარი, ოვუსუ-აბეიე (61. ბაფური).

**კამერუნი:** კამენი, ატუბა, ბიკეი, სონგი, ემანა (77. ბინია), ჯერემი, მბია, სონგ ბილონგი, ეტო'ო, იდრისუ (46. ეპალე), ჟობი (62. ნკონგი).

**გოლი:** 0:1 ნკონგი (71)

**გაძევება:** ბიკეი (90. კამერუნი)

**მაყურებელი:** 50 000

**კოტ დ'ივუარი-ეგვიპტე 1:4**

**კოტ დ'ივუარი:** ბარი (37. ლობუე), ბოკა, ებუე, მეიტე, კოლო ტურე, იაია ტურე, ზოკორა, დინდანე (79. დინდანე), დროგბა, ს. კალუ (60. ბ. კონე), აბ. კეიტა.

**ეგვიპტე:** ელ-ჰადარი, ფათჰი, გომაა, ჰასანი, მოავადი (77. ფათჰალა), მოჰამედი, საიდი, აბდ რაბუ, აბუთრიაქა, მოტეაბი (69. ზიდანი), ზაქი (86. იბრაჰიმი).

**გოლები:** 0:1 ფათჰი (12), 0:2 ზაბი (62), 1:2 აბ. კეიტა (63), 1:3 ზაქი (67), 1:4 აბუთრიაქა (90+2)

**მაყურებელი:** 35 000

**კალათბურთი**

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბაუზრესი-უნიკახა | 78:71 |
| ბილბაო-ბარსელონა | 70:69 |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-საპვოლინი | 77:78 |
| კლიმამიო-რომა | 75:69 |

**საფრანგეთის თასი**

| | |
|---|---|
| ლე მანი-ვიში | 65:82 |
| ნანსი-ტულონი | 98:95 (ო) |

**ჰოკეი**

**ევროტური**

| | |
|---|---|
| ფინეთი-ჩეხეთი | 6:1 |
| შვედეთი-რუსეთი | 3:4 |

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| ჩაკვეტაძე-დეში | 6:1, 6:3 |
| ჰანტუხოვა-სრებოტნიკი | 6:4, 1:6, 6:3 |
| ბარტოლი-ციბულკოვა | 7:5, 6:1 |
| კ. ბონდარენკო-ფედაკი | 6:0, 6:3 |
| რაზანო-კორნე | 6:4, 7:5 |
| მორესმო-დანიილიდუ | 6:0, 6:0 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| ბიჩკოვა-რაო | 6:4, 6:4 |
| ტანასუგარნი-პუჩკოვა | 4:6, 6:4, 6:4 |
| კრეიბასი-ვორაკოვა | 2:6, 6:1, 6:3 |
| ობზილერი-ამანმურადოვა | 4:6, 2:6 |
| კერბერი-მანასიევა | 2:6, 1:6 |
| ოსტერლო-ჩანი | 4:6, 2:6 |
| კლეპაჩი-დელაკუა | 7:5, 2:6, 6:2 |
| ა. რადვანსკა-კრემერი | 6:2, 6:2 |

## კრივი

ვარსკვლავი

### ლუისმა 40 მილიონი იუარა



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს, ბრიტანელ **ლენოქს ლუისს** 40 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ რინგზე დასაბრუნებლად. შეგახსენებთ, რომ ლუისი პროფესიული სპორტიდან 2003 წელს, ჩემპიონის რანგში წავიდა.

ცოტა ხნის წინათ, უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** გამოაცხადა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს ამერიკულ ტელეკომპანია HBO-სთან. სწორედ ამ უკანასკნელმა შესთავაზა გრანდიოზული ჰონორარი ბრიტანელ მოკრივეს.

მაგრამ ლუისმა უარი განაცხადა. ძირითადად თავისი კუმირის, **მოჰამედ ალის** მაგალითიდან გამომდინარე. ლეგენდარულმა ალიმ კარიერა 1978 წელს დაასრულა, როცა **ლეონ სფინქსი** დაამარცხა. მაგრამ ორი წლის შემდეგ დაბრუნდა და საშინლად გაილახა **ლარი ჰოლმსისგან**, შემდეგ კი, ნაღვლიანად გამოემშვიდობა მაყურებელს, როცა **ტრევორ ბერბიკთან** წააგო.

*"მოკრივე იმის გამო გავხდი, რომ ალის დავმგვანებოდი. მაგრამ ერთი გაკვეთილი კარგად შევითვისე - არ უნდა შერჩე რინგს დიდი ხანი. სწორედ ეს შეცდომა დაუშვა ალიმ და ამით დაზარალდა. მიზეზი, რის გამოც წავედი და აღარ დავბრუნდები - ისაა, რომ არ მინდა ისეთივე რამ დამემართოს, რაც მას"*, - აცხადებს ლენოქს ლუისი.



## ფედერერი სუპერბოულს დაესწრო

როგორც ცნობილია, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ავსტრალიის ღია პირველობაზე წაგების შემდეგ, ერთთვიანი შვებულება აიღო. მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამერიკაში იმყოფება და იქ წლის მთავარ სპორტულ მოვლენას დაესწრო. ფედერერი იმ 70 ათას ადამიანს შორის იყო, ვინც ამერიკული ფეხბურთის ფინალური მატჩი (სუპერბოული) ტრიბუნიდან იხილა. ფინალში "ნიუ იორკ ჯაინტსმა" "ნიუ ინგლენდ პეტრიოტზი" დაამარცხა.

შვეიცარიელი ATP-ის ტურში დაბრუნებას მარტის დასაწყისში გეგმავს, როცა დუბაიში პირველი კატეგორიის ტურნირი - Barclays Tennis Championships გაიმართება.

## სერბეთი ტიპსარევიჩის გარეშე

მომავალ უიქ ენდზე, დევისის თასის მერვედფინალური მატჩები იმართება. ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დაპირისპირებას მოსკოვში ელიან, სადაც რუსეთის ნაკრების **ნოვაკ ჯოკოვიჩის** სერბეთს უმასპინძლებს.

სერბები რუსეთის დედაქალაქში უძლიერესი შემადგენლობით კი ჩავიდნენ, მაგრამ ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის დროს, ბარძაყის ტრავმა მიიღო მსოფლიოს 42-ე ჩოგანმა, **იანკო ტიპსარევიჩმა** და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის ამ მატჩში ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ეს ის ჩოგბურთელია, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრეში დიდი ბრძოლა გაუმართა **როჯერ ფედერერს** და მეხუთე სეტში 10:12 დამარცხდა.

უფრო გაუმართლათ რუსებს. წესით, ამ გუნდის რიგებში არ უნდა ეთამაშა **მარატ საფინს**, რომელმაც ასევე ვარჯიშზე, ფეხის თითი დაიზიანა. მაგრამ ბოლო მომენტში გაირკვა, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კორტზე გასვლას შეძლებს, ამიტომაც **შამილ ტარპიშჩევმა** ის წყვილთა მატჩზე დააყენა.

## სერენა ფილმს გადაიღებს

გრძელდება ამერიკელი **სერენა უილიამსის** უიღბლო პერიოდი. კბილზე სასწრაფო სტომატოლოგიური ოპერაციისა და შემდეგ აღდგენითი ციკლის გამო, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამ კვირას პარიზში ვერ ჩავიდა, სადაც Gaz de France-ის ტურნირი მიმდინარეობს. როგორც ირკვევა, სერენა ვერც მომავალ კვირას, ბელგიის ქალაქ ანტვერპენის ტურნირზე მიიღებს მონაწილეობას - ამის შესახებ, ჩოგბურთელის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

ტურნირის ორგანიზატორებმა უკვე დაიწყეს უმცროსი უილიამსის შემცვლელის ძებნა. სავარაუდოდ, ძირითად ბადეში ამერიკელის ადგილს **ელენა დემენტიევა** ან **ნადია პეტროვა** დაიკავებს. ანტვერპენში პირველ ნომრად მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენია** განთესილი.

სანამ სერენა ტრავმას იშუშებს, ის კინემატოგრაფიით დაინტერესდა. მას სურს ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელის, **ალთეა გიბსონის** ბიოგრაფიული ფილმი გადაიღოს. გიბსონი პირველი შავკანიანი ქალი ჩოგბურთელი იყო, რომელსაც ამერიკულ ტურნირებზე გამოსვლის ნება დართეს.

ეს ამბავი შორეულ 1950 წელს მოხდა, მაგრამ გიბსონი დღემდე რჩება ბევრი თანამედროვე ჩოგბურთელის კერპად. ალთეა გიბსონმა 1958 და 1959 წლებში უიმბლდონის მოგება შეძლო.

## ნესტორი მოთამაშე მწვრთნელი გახდა

კანადელი ჩოგბურთელი **დანიელ ნესტორი** თავისი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ამ უიქ ენდზე, კანადელებს დევისის თასზე ამერიკულ ჯგუფში მექსიკასთან ელით შეხვედრა. გარდა მწვრთნელის მოვალეობებისა, ნესტორი გუნდში მოთამაშის სტატუსითაც იქნება.

*"მიხარია, რომ ნესტორმა ეროვნულ გუნდში მწვრთნელის თანამდებობა დაიკავა. მისი ცოდნისა და გამოცდილების გამო, ბიჭები დანიელს დიდ პატივს სცემენ"*, - ამბობს კანადის ნაკრების კაპიტანი **მარტინ ლორენდო**.

დანიელ ნესტორი დევისის თასზე 15 წელია თამაშობს. მის ანგარიშზე 32 მატჩი მოდის, რომლებშიც მან ერთეულებში 37 და წყვილებში 22 შეხვედრა მოიგო.

კანადისა და მექსიკის წყვილში გამარჯვებული აპრილში ჩილეს ნაკრებს შეხვდება.

## შარაპოვა ამერიკასთან არ ითამაშებს?

გასულ კვირას, ქალთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა რუს **მარია შარაპოვას**. ფედერაციის თასის მეოთხედფინალში რუსეთის ნაკრებმა ისრაელი დაამარცხა და ახლა, ნახევარფინალში ამერიკის ნაკრებთან ელის შეხვედრა. რუსების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** განაცხადა, რომ შესაძლოა, შარაპოვა არ გამოიძახონ აშშ-ის ნაკრებთან სათამაშოდ - მწვრთნელს არ სურს, ცვლილებები შეიტანოს მარიას ინდივიდუალურ გრაფიკში.

*"თუ აშშ-ის ნაკრები ძლიერი შემადგენლობით არ ჩამოვა, მაშინ შარაპოვას არ გამოვიძახებთ. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში, მას ამერიკაში რამდენიმე ტურნირი აქვს სათამაშო და ოკეანის გაღმა გამოფრენა გრაფიკს აურევს. შარაპოვას სვეტლანა კუზნეცოვა შეცვლის, რომელსაც ისრაელის წინააღმდეგ არ უთამაშია"*, - მოჰყავს ტარპიშჩევის სიტყვები სააგენტო "როიტერს".



ფორმულა 1. გუნდების პრეზენტაცია

# ინდოელების პირველი ნაბიჯი

ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველმა ინდურმა გუნდმა თავისი პირველი "ბედაური" (VJM01) გუშინ, მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა. *"ვამაყობ იმით, რომ ფორმულა ერთში პირველი ინდური გუნდის თანამფლობელი ვარ. თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ხელი იოლი საქმისთვის არ მომიკიდია"*, - ეს იყო პირველი სიტყვები, რომლებითაც "ფორს ინდიას" შეფმა **ვიჯეი მალიამ** პრეზენტაციის დამსწრეებს მიმართა.

მალია დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი მალე იმავე დონეს დაუბრუნდება, რა დონეზეც თავის დროზე მისი შორეული წინაპარი "ჯორდანი" იმყოფებოდა. თუმცა, კარგად იცის, რომ სანამ ეს მოხდებოდეს, ბევრი შრომა და ბევრი თანხის გაღება მოუწევს.

*"ჩვენ ის გუნდი შევისყიდეთ, რომელიც პელტონის ბოლოში იმყოფებოდა. ვიცით, მისი ფეხზე დაყენება ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ამისთვის მზად ვართ. იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანი გავხდეთ, ბევრი შრომა იქნება საჭირო. ამასთან, ეს ის სპორტია, რომელშიც ერთი ფეხის დაცდენაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს და მთელი შრომა წყალში ჩაიყაროს"*, - ამბობს მალია.

პირველი, რაც ახალმა შეფმა გუნდისთვის გააკეთა, ის იყო, რომ მისი ბიუჯეტი 120 მილიონ დოლარამდე გაზარდა. შემდეგ მან გუნდის პილოტები გამოცვალა და იზრუნა იმაზე, რომ გაზრდილიყო გუნდის შესაძლებლობები აეროდინამიკაში.

მალია იმედოვნებს, რომ "ფორს ინდია" თანდათან წაიწევს წინ და 2010 წელს, როდესაც ინდოეთში პირველი დიდი პრიზი ჩატარდება, მისი პილოტი პირველად შეძლებს კვარცხლბეკზე ასვლას.

*"მე და ჩემმა პარტნიორმა, მოლის ოჯახმა, ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ გუნდი ფინანსურად უზრუნველყოფილი ყოფილიყო, გაზრდილიყო მისი ტექნიკური შესაძლებლობანი და მოგვეზიდა გამოცდილი ინჟინრები, რომელთა გარეშეც საქმე არ გაკეთდებოდა. ყველაფერი კი იმის თქმის საბაბს მაძლევს, რომ ჩვენი გუნდი თანდათან წინ წაიწევს და მჯერა, როცა ინდოეთში პირველი დიდი პრიზი ჩატარდება, მასზე ჩვენი გუნდის პილოტი კვარცხლბეკზე ასვლას შეძლებს"*, - ამბობს მალია.

ცნობისთვის, მალია ფორმულა ერთში ახალი მოსული არაა. მისი ავიაკომპანია "კინგფიშერი" წლების განმავლობაში აფინანსებდა "ტოიოტას" გუნდს, თუმცა, ყოველთვის ოცნებობდა, რომ ოდესმე რბოლებში ინდური გუნდიც მიიღებდა მონაწილეობას. და ეს ოცნება თავად აისრულა...



მარცხნიდან: გუნდის პილოტები ჯანკარლო ფიზიკელა, ადრიან სუტილი და ტესტპილოტი ვიტანტონიო ლიუცი



ოლიმპიზმი

# ჯონსონი პისტორიუსის წინააღმდეგ

ლეგენდარული მორბენალი, 200 და 400 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდების ავტორი, ამერიკელი **მაიკლ ჯონსონი** ამბობს, რომ მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია (IAAF) მართებულად მოიქცა, როცა პეკინის ოლიმპიაზე გამოსვლის ნება არ მისცა სამხრეთ აფრიკელ **ოსკარ პისტორიუსს**, ვისაც ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს, თუმცა ულტრათანამედროვე პროთეზების მეშვეობით, ჯანმრთელი ადამიანების სისწრაფით დარბის.

IAAF-ის წესები კრძალავს ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც მორბენალს სხვებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც IAAF-მა პისტორიუსის თანხმობით შექმნა, დაადგინა, რომ ინგლისური J-ს ფორმის პროთეზები, რომლებიც ნახშირბადოვანი კომპოზიტისგანაა დამზადებული, პისტორიუსს სოლიდური უპირატესობით უზრუნველყოფს. მეცნიერულმა კვლევამ დაადგინა, რომ ორივე ფეხის არმქონე მორბენალი, თავისი პროთეზების მეშვეობით, სირბილისას ჯანმრთელ სპორტსმენებთან შედარებით, 25%-ით ნაკლებ ენერგიას იყენებს.

პისტორიუსი ამ გადაწყვეტილების გაპროტესტებას აპირებს, თუმცა განაცხადა, რომ მისთვის პეკინის ოლიმპიადაზე ოცნება დასრულებულია, რადგან სააპელაციო პროცედურა დროში გაიწელება, რის გამოც ის ოლიმპიადისთვის მომზადებას და მის საკვალიფიკაციო ტურნირებზე გამოსვლას ვერ მოასწრებს.

*"ვფიქრობ, IAAF-მა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა პისტორიუსს პეკინში გამოსვლის უფლება არ მისცა. ამისთვის ყოვლისმომცველი, კომპეტენტური გამოკვლევა ჩატარდა და უფლება არ მაქვს, კომისიის დასკვნა ეჭვ ქვეშ დავაყენო"*, - ამბობს ჯონსონი, ვინც 400 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდი (43.18 წამი) სევილიაში, 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობისას დაამყარა.



შედარებისთვის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მოქმედი ჩემპიონის, ამერიკელი **ჯერემი უორინერის** საუკეთესო შედეგი 43.45 წამია, პისტორიუსის პირადი (მსოფლიოსიც) რეკორდი კი 46.34 წამია.

ჯონსონი დარწმუნებულია, რომ ოლიმპიადაზე რომც დაუშვან, პისტორიუსი პირველობისთვის მაინც ვერ იბრძოლებს. თუმცა ის თვლის, რომ ოლიმპიადაზე სამხრეთ აფრიკელის დაშვება უსამართლობა იქნებოდა იმ მორბენლისთვის, ვინც ამით, პეკინში გამგზავრების უფლებას დაკარგავს.

პისტორიუსს ორივე ფეხის ამპუტაცია 11 თვისას ჩაუტარდა, რისი მიზეზიც თანდაყოლილი, მისი სიცოცხლისთვის პოტენციურად საშიში ნაკლი გახდა. სირბილი კი მან ოთხი წლის წინათ დაიწყო.

პისტორიუსის დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა. მან პირველივე დიდ ტურნირზე – ათენის პარალიმპიურ თამაშებზე ისახელა თავი, რომელზეც 200 მეტრზე სპრინტში ოქროს მედალს დაეუფლა, 100 მეტრზე სპრინტში კი ბრინჯაოს დასჯერდა. მოგვიანებით, ამ ორივე დისტანციაზე უნარმოკლებულთა შორის მსოფლიოს რეკორდები (შესაბამისად, 21.58 და 10.91 წამი) დაამყარა.

*"რა თქმა უნდა, მას დიდი მიღწევები აქვს. ამის უარყოფას არანაირად არ ვაპირებ. მისი მიღწევები სხვებისთვის მაგალითის მიმცემია. მას ისევე შეუძლია, იამაყოს ამით, როგორც მე ჩემი მიღწევებით ვამაყობ. ოსკარი სპორტში ნამდვილი მოვლენაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება უნდა მიეცეს"*, - დასძენს ჯონსონი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგვაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბ[illegible]ილაია (1976-83)
არჩილ [illegible]ელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა